

178  
1968 / 2.




# სახჭოთა სამაკთაღი

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიზაჰის გამომცემლობა

1968

3



Բild des Monats



# საბჭოთა სამართალი

## № 3

მაისი—ივნისი

1968 წელი

გამოცემის XV წელი

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთანაარსებული იურიდიული კომისიის ორგანო**  
**ორთვიური ჟურნალი**

### ზინაარსი

#### ბ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის

- ვ. ქარუმიძე — კ. მარქსი კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ . . . . . 3
- ს. ჯორბენაძე — საცხოვრებელი სადგომის გაცემა . . . . . 12
- უ. კობიაშვილი — თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ . . . . . 24

#### კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

- ა. შუშანაშვილი—ხუთიგნობის საქმეების სისხლის სამართალწარმოების თავისებურებები . . . . . 36
- ა. ფალიაშვილი — სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური პრინციპები . . . . . 45

10756

#### ოფიციალური მასალა

- საღუძველები სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ . . . . . 53
- ვ. მეტრეველი — ილია ჭავჭავაძე სამართლის წარმოშობისა და არსის შესახებ . . . . . 63

#### გამოჩენილი ქართველი იურისტები

- ი. სურგულაძე — იონა ბოჭორიშვილი . . . . . 70
- ნ. ნოდარიძე — თაოსანი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი . . . . . 77

#### მრთხროზა

- გ. ციმაკურიძე — „სული“ ტოვებს კვალს . . . . . 79

#### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

- თ. შავგულიძე — მონოგრაფია დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ . . . . . 86
- მოკლე ცნობები . . . . . 91
- სასამართლო პრაქტიკა . . . . . 92





**СОДЕРЖАНИЕ**

**К 150-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ К. МАРКСА**

В. Карумидзе — К. Маркс о двух фазах коммунистического общества . . . . .	3
С. Джорбенадзе — Обмен жилого помещения . . . . .	12
У. Кобишвили — Об акцессорской теории соучастия . . . . .	24

**КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ**

А. Шушанашвили — Особенности судопроизводства по делам о хулиганстве	36
А. Палишвили — Процессуальные принципы судебной экспертизы . . . . .	45

**ОФИЦИАЛЬНЫЙ МАТЕРИАЛ**

Основы законодательства Союза ССР и союзных республик о браке и семье	53
В. Метревели — Илья Чавчавадзе о происхождении и сущности права . . . . .	63

**ВЫДАЮЩИЕСЯ ГРУЗИНСКИЕ ЮРИСТЫ**

И. Сургуладзе — Иона Бочоришвили . . . . .	70
Н. Нодаридзе — Инициатор — Луарсаб Андроникашвили . . . . .	77

**РАССКАЗ**

Г. Цимакурдидзе — «Дух» оставляет следы . . . . .	79
---	----

**КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ**

Т. Шавгулидзе — Монография о соучастии в преступлении . . . . .	86
Краткие заметки . . . . .	91
Судебная практика . . . . .	92

**სარედაქციო კოლეგია**

შგკ. № 2467  
ტირაჟი 14.000  
შე 00542

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,  
თ. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,  
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,  
გ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 20/VI-68 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-68 წ. ანაწყოების ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



### კ. მარქსის კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ

#### 3. მარქსი

5 მაისს შესრულდა 150 წელი მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადებიდან. მარქსიზმის წარმოშობა უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. მას შემდეგ იგი მსოფლიო მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის დროშა გახდა. ამ სტატიის ნაჩვენებია კ. მარქსის შეხედულებები კომუნისტური საზოგადოების განვითარების ფაზების შესახებ.

კ. მარქსმა თავის ნაშრომში — „გოთას პროგრამის კრიტიკა“, რომლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ფასდაუდებელია, პირველად ჩამოაყალიბა დებულება სოციალიზმისა და კომუნიზმზე, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილების განვითარების ორი ფაზაზე.

კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ კომუნისტური საზოგადოება თავის განვითარებაში ორი ფაზას გაივლის: სოციალიზმს და კომუნიზმს. სოციალიზმი, რომელიც ეს-ეს არის გამოდის კაპიტალისტური საზოგადოებიდან, არ შეიძლება ეკონომიურად, ზნეობრივად, გონებრივად სავსებით თავისუფალი იყოს ძველი წეს-წყობილებისაგან. როგორც კ. მარქსი წერდა: „აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც თავის საკუთარ საფუძველზე განვიტარდა, არამედ პირიქით, ისეთთან, რომელიც ეს არის ახლა გამოდის კაპიტალისტური საზოგადოებიდან, ამიტომ, მას ყოველმხრივ, — ეკონომიურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდან ის გამოვიდა“<sup>1</sup>.

კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ კომუნიზმის პირველ ფაზაში საზოგადოების ყველა წევრი „შრომის შემოსავალს“ ვერ მიიღებს „შეუკვეცავად და თანასწორი უფლებით“. საზოგადოების მთელ საზოგადოებრივ შრომას სოციალიზმის დროს აუცილებლად გამოაკლდება სათადარიგო და წარმოების გაფართოების ფონდები, „გაცვეთილი“ მანქანების საზღაური და ა. შ. კ. მარქსი წერს: „ეს ანარქიზმის, შრომის შეუკვეცავი შემოსავლიდან“ წარმოადგენს ეკონომიურ აუცილებლობას და მათი სიდიდე უნდა განისაზღვროს არსებულ საშუალებათა და ძალთა საფუძველზე“<sup>2</sup>.

კ. მარქსი შემდეგ აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ რჩება ერთობლივი პროდუქტის მეორე ნაწილი, რომელიც მოხმარებისათვისაა განკუთვნილი, მაგრამ ვიდრე მისი ინდივიდუალური განაწილება მოხდებოდეს, მას უნდა გამოაკლდეს მმართველობის, სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხარჯები, ფონდი შრომისუნარმოკლებულთათვის და სხვ.

კ. მარქსი იმასაც მიუთითებს, რომ მმართველობის ხარჯები თავიდანვე მნიშვნელოვნად შეიზღუდება კაპიტალისტურ საზოგადოებასთან შედარებით და თანდათან შემცირდება ახალი საზოგადოების — სოციალიზმის განვითარე-

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 16.

2 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 14.



ბასთან ერთად. რაც შეეხება ხარჯებს საერთო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (სკოლები, საავადმყოფოები და ა. შ.). იგი მნიშვნელოვნად გაიზარდება ამასთან შედარებით, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებაშია, და ახალი საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ მოიმატებს.

თანასწორი უფლება სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ზღუდეებშია მოქცეული, რადგან მწარმოებელთა უფლება მათი შრომის პროპორციულია. უფლება თავისი ბუნებით მდგომარეობს მხოლოდ თანასწორი მასშტაბით გამოყენებაში. „თანასწორობა იმაში მდგომარეობს, — წერდა კ. მარქსი, — რომ ვაზომვა თანასწორი მასშტაბით, შრომით ხდება“.<sup>3</sup>

სოციალიზმის შეზღუდულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ თანასწორი მუშაობისა და საზოგადოებრივი მოხმარების ფონდში თანასწორი მონაწილეობის დროს ფაქტიურად ერთი მეტს იღებს, ვიდრე მეორე, ერთი უფრო შეძლებული აღმოჩნდება, ვიდრე მეორე; კ. მარქსი წერს: „ერთი მუშა ცოლიანია, მეორე — არა; ერთს მეტი ბავშვები ჰყავს, ვიდრე მეორეს და სხვ. და სხვ. — თანასწორი მუშაობით და, მამასადამე, თანასწორი წილით საზოგადოებრივი მოხმარების ფონდში ფაქტიურად ერთი მეტს მიიღებს, ვიდრე მეორე, ერთი უფრო მდიდარი აღმოჩნდება, ვიდრე მეორე და სხვ. ყველა ამ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად უფლება, თანასწორის ნაცვლად, უთანასწორო უნდა იყოს“.<sup>4</sup>

მაგრამ ამ შეზღუდულობის თავიდან აცილება სოციალიზმის დროს შეუძლებელია. კ. მარქსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ამ ნაკლთა თავიდან აცილება შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში, როდესაც იგი ეს არის წარმოიშვა კაპიტალისტური საზოგადოებიდან ხანგრძლივი მშობიარობის ტკივილების შემდეგ. უფლება არასოდეს არ შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე არის საზოგადოების ეკონომიური წყობილება და მით შეპირობებული კულტურული განვითარება საზოგადოებისა“.<sup>5</sup>

კ. მარქსი ითვალისწინებდა იმას, თუ როგორ უნდა გაუძღვეს მეურნეობას სოციალისტური საზოგადოება. საზოგადოება იძულებულია ჯერ მოსპოს მხოლოდ ის უსამართლობა, რომ წარმოების საშუალებანი ხელში აქვთ ჩაგდებული კერძო პირებს, რადგან ერთბაშად არ შეუძლია მოსპოს მეორე უსამართლობაც — შრომის მიხედვით განაწილება. ამიტომ კომუნისმის პირველ ფაზაში ბურჟუაზიული უფლება უქმდება არა სავსებით, რამდენადაც ეკონომიური გადატრიალება მიღწეულია მხოლოდ წარმოების საშუალებათა მიმართ. ბურჟუაზიული უფლება ამ საშუალებებს ცალკეულ პირთა კერძო საკუთრებად აღიარებდა. სოციალიზმი მათ საერთო საკუთრებად აქცევს. ამდენად სოციალიზმში ისპობა ბურჟუაზიული უფლება.

ფ. ენგელსი წერდა: „...განაწილება, რამდენადაც მას წმინდა ეკონომიური მოსაზრებანი განაგებენ, წარმოების ინტერესებით მოწესრიგდება, ხოლო წარმოება ყველაზე უკეთესად განვითარდება განაწილების ისეთი წესით, რომელიც საზოგადოების ყველა წევრს ნებას მისცემს თავისი უნარი, რამდენადაც შესაძლებელია, ყოველმხრივ განავითაროს, დაიცვას და გამოავლინოს“.<sup>6</sup>

ფ. ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ როგორც კი საზოგადოება საწარმოო საშუალებებს დაეპატრონება და მას უშუალოდ გამოიყენებს წარმოე-

3 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 17.

4 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 17.

5 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 17.

6 ფ. ენგელსი, ანტი-დიუბინგი, გვ. 237.

ბისათვის, „თითოეული ცალკე პიროვნების შრომა, როგორ განსხვავებულიც უნდა იყოს მისი სპეციფიკური სასარგებლო ხასიათი, თავიდანვე და უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა გახდება“<sup>7</sup>.

მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებელთა დასკვნით, როცა საზოგადოება წარმოების საშუალებებს დაეპატრონება, ადამიანი, — გარკვეული აზრით, — საბოლოოდ გამოეთიშება ცხოველთა სამეფოს, აჩსებობის მხეცური პირობებიდან ნამდვილ ადამიანურ პირობებში გადავა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი კომუნისტურ საზოგადოებას მიიჩნევდნენ საზოგადოებრივი განვითარების მაღალ საფეხურად, სადაც ადამიანები შეგნებულად მუშაობენ, ებრძვიან ბუნების ძალებს. სწორედ ამ საზოგადოებაში „ადამიანები პირველად ხდებიან ბუნების შეგნებულნი, ნამდვილი ბატონები, სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი თავისი საკუთარი განსაზოგადოებრივებული ცხოვრების ბატონები ხდებიან... მხოლოდ ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოწყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზნებს უმთავრესად და თანდათან გაზრდილი ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები. ესაა კაცობრიობის ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“<sup>8</sup>.

ფ. ენგელსი გმობდა დიუბინგის ბავშვურ წარმოდგენას იმის შესახებ თითქოს საზოგადოებას შეეძლოს დაეპატრონოს საწარმოო საშუალებებს მთლიანად, ისე რომ ძირფესვიანად არ გადაატრიალოს წარმოების ძველებური წესი და, უწინარეს ყოვლისა, არ მოსპოს შრომის ძველებურად დანაწილება.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი 1850 წელს ნაშრომში „ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი“ წერდნენ: „ჩვენთვის საქმე შეეხება არა კერძო საკუთრების შეცვლას, არამედ მის მოსპობას, არა კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვას, არამედ კლასების მოსპობას, არა არსებული საზოგადოების გაუქმობესებას, არამედ ახალი საზოგადოების დაარსებას“<sup>9</sup>.

სოციალისტური გადატრიალება იწვევს მუშათა ხელისუფლების დამყარებას. ექსპლოატატორულ კლასებს ერთმევათ პოლიტიკური ხელისუფლება, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ ტოვებენ კლასობრივი ბრძოლის ასპარეზს. ამ გადატრიალებით იწყება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდი, როდესაც ხდება კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა სოციალისტურ საზოგადოებად. ის ძალა, რომელიც ასეთ გარდაქმნას ახორციელებს, შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასის რევოლუციური დიქტატურა.

კ. მარქსმა „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ პირველად აღნიშნა აუცილებლობა და ისტორიული გარდუვალობა იმ „პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდისა“, რომლის სახელმწიფო უნდა გახდეს პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა. კ. მარქსი წერს: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს ერთის მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“<sup>10</sup>.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი 1848—1851 წლებში საფრანგეთის კლასთა ბრძო-

7 ფ. ენგელსი, ანტი-დიუბინგი, გვ. 370.

8 ფ. ენგელსი, ანტი-დიუბინგი, გვ. 337, 340.

9 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, გვ. 104.

10 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 27.



ლის გამოცდილების განზოგადების შედეგად, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ძველი სამხედრო ბიუროკრატიული მანქანის, ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის აპარატის დამსხვრევა. კ. მარქსი წერდა: „ყველა გადატრიალება აუძეობესებდა ამ მანქანას იმის ნაცვლად, რომ ის დაემსხვრია“<sup>11</sup>.

უფრო გვიან პარიზის კომუნის გამოცდილების საფუძველზე კ. მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორედ პარიზის კომუნის ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია და არა პარლამენტური რესპუბლიკა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას. კ. მარქსი წერდა: „განსაკუთრებით კომუნამ დაამტკიცა, რომ „მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის“<sup>12</sup>. და შემდეგ: „ბოლო დროს სოციალ-დემოკრატიული ფილისტერი ხელახლა განმკურნებელ შიშის ძრწოლას განიცდის პროლეტარიატის დიქტატურის გავრცელებაზე. ძალიან კარგი, ბატონებო: გნებავთ თუ არა იცოდეთ, როგორი სანახავია ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას. ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა“<sup>13</sup>.

მარქსიზმის მიხედვით პროლეტარიატის დიქტატურა გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოა, რომლის მიზანია კომუნის პირველი ფაზის — სოციალიზმის — აშენება. ვ. ი. ლენინი პროლეტარიატის დიქტატურის მთელ პერიოდს მიიჩნევდა „კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდად“. ლენინი ამბობდა, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა საჭიროა სოციალიზმის საბოლოო დამყარებისა და განმტკიცებისათვის“<sup>14</sup>.

კ. მარქსის დებულების სისწორე დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ. პროლეტარიატის დიქტატურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის — კომუნის პირველი ფაზის — სრული და საბოლოო გამარჯვება შეასრულა თავისი ისტორიული მისია. „სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ“<sup>15</sup>.

ფ. ენგელსი ახასიათებდა რა კაპიტალიზმს, აღნიშნავდა: „ასეთი მდგომარეობა თანდათან უფრო უაზრო და ზედმეტი ხდება. იგი უნდა მოისპოს, იგი შესაძლებელია მოისპოს. შესაძლებელია ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელშიც დღევანდელი კლასობრივი განსხვავება გაქრება, და სადაც — შესაძლოა მოკლე, ცოტა არ იყოს შეჭირვებულ, მაგრამ ზნეობრივად მეტად სასარგებლო გარდამავალი ხანის შემდეგ — ადამიანები გეგმის მიხედვით გამოიყენებინან და განავითარებენ უკვე არსებული საზოგადოების ყველა წევრთა უზარმაზარ საწარმოო ძალებს, ასე რომ, თუ მუშაობა საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულო იქნება, სამაგიეროდ ყველა თანასწორად და თანდათანობით გადიდებული რაოდენობით მიეცემა საშუალება ცხოვრებისა, დატობისა, ხორციელი და სულიერი ნიჭის განვითარებისა და ამოძრავებისათვის“<sup>16</sup>.

11 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 371.

12 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 2.

13 იქვე, გვ. 555.

14 ვ. ი. ლენინი, თხ. ტ., 29, გვ. 444.

15 სკკპ პროგრამა, 1967, გვ. 114.

16 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 66.



კ. მარქსის განმარტებით კაპიტალისტურ საკუთრებას, რომელიც ფაქტიურად კოლექტიური წარმოების ფორმაზეა დამყარებული, მხოლოდ საზოგადოებრივ საკუთრებად გარდაქმნა შეუძლია.

მარქსიზმი არასწორად მიიჩნევს იმ აზრს, თითქოს სოციალიზმი მოითხოვს საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებებისა და პირადი ყოფაცხოვრების გათანაბრებას, გათანასწორებას, ნიველირებას.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გვიჩვენეს, რომ კომუნისტური თანასწორობა გულისხმობს ადამიანთა შორის არა ყოველგვარი განსხვავების, არამედ მხოლოდ ისეთი განსხვავებისა და ისეთი პირობების მოსპობას, რომლებიც წარმოშობენ განსხვავებას სოციალურ მდგომარეობაში. კომუნისმის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის არის, რომ ის უზრუნველყოფს თანასწორობის იმ უმაღლეს საფეხურს, რომლის დროსაც, როგორც კ. მარქსი ამბობდა, თვით განსხვავება მოღვაწეობაში, შრომაში, არ იწვევს არავითარ უთანასწორობას, არავითარ პრივილეგიას ფლობისა და მოხმარების აზრით<sup>17</sup>.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ავრცელებდნენ სულელურ მონაჭორს, თითქოს კომუნისტებს სურთ საკუთარი შრომით შექმნილი საკუთრების მოსპობა. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გამოამჟღავნეს ეს სიცრუე. „კომუნისტური პარტიის მანიფესტოში“ მათ მიუთითეს, რომ კომუნისტები იბრძვიან არა ყოველგვარი საკუთრების ლიკვიდაციისათვის, არამედ საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსასპობად, რადგან ის წარმოშობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

„კომუნისმი არავის არ ართმევს საზოგადოებრივი პროდუქტების მისაკუთრების შესაძლებლობას, იგი მხოლოდ იმის შესაძლებლობას ართმევს, რომ ამ მისაკუთრების შემწეობით დაიმონონ სხვისი შრომა“<sup>18</sup>.

სოციალიზმის მხოლოდ შემდგომ, თავის საკუთარ საფუძველზე განვითარებას მიეყავართ კომუნისმის უმაღლეს ფაზამდე.

კ. მარქსი წერდა: „კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, მას შემდეგ, რაც ვაჰჭრება ინდივიდთა დამმონაგებელი დაქვემდებარება შრომის დანაწილებისადმი და მასთან ერთად გონებრივი და ფიზიკური შრომის წინააღმდეგობაც, როდესაც შრომა არა მარტო ცხოვრების საშუალება იქნება, არამედ — თვით პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება; როდესაც ინდივიდთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება და საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გადმოინდება, — მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულიად გადალახულ იქნას ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი და საზოგადოებამ თავის ღრმისა წააწეროს: ყველამ — თავისი უნარის მიხედვით, ყველას — მისი მოთხოვნილების მიხედვით“<sup>19</sup>.


კ. მარქსი ნათლად ამბობს, იმისათვის, რომ განხორციელდეს კომუნისმის პრინციპი, აუცილებელია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურად გარდაქმნა და ახალი ადამიანის აღზრდა.

ვ. ი. ლენინი ანალიზს უკეთებს რა კ. მარქსის და ფ. ენგელსის შეხედულებებს, აღნიშნავს: „მეცნიერული განსხვავება სოციალიზმსა და კომუნისმს შორის ნათელია. იმას, რასაც ჩვეულებრივ სოციალიზმს უწოდებენ, მარქსმა კო-

17 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 3, 1955, გვ. 542 (რუსულად).

18 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 29-30.

19 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 18.



მუნისტური საზოგადოების „პირველი“ ანუ დაბალი ფაზა უწოდა. რამდენადაც წარმოების საშუალებანი საერთო საკუთრება ხდება, იმდენად სიტყვა „კომუნისმი“ აქაც შეიძლება ვიხმაროთ, თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს სრული კომუნისმი არ არის“<sup>20</sup>.

თავის პირველ ფაზაში კომუნისმი ჯერ კიდევ არაა ეკონომიურად სავსებით მომწიფებული, სავსებით თავისუფალი კაპიტალიზმის ტრადიციებისა და ნაშთებისაგან. ამიტომ კომუნისმზე გადასვლისათვის აუცილებელია ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალების და მის საფუძველზე საზოგადოებრივი სიმდიდრის გაზრდა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი თვლიდნენ, რომ განაწილების წესი განისაზღვრება წარმოების წესით. წარმოების კაპიტალისტური წესიდან სოციალისტურზე გადასვლა იწვევს განაწილების ძველი წესის შეცვლას. კ. მარქსი წერდა: „როდესაც წარმოების ნივთიერი პირობები თვით მუშების კოლექტიური საკუთრება იქნება, მაშინ აქედან მიიღება მოხმარების საშუალებათა თანამედროვეობისაგან განსხვავებული განაწილება“<sup>21</sup>.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ დისკუსიის ყველა მონაწილეს „სოციალისტური საზოგადოება“ ჰგონია არა როგორც განუწყვეტილ ცვალებად და წინსვლაში მყოფი საზოგადოება, არამედ როგორც სტაბილური რამ, როგორც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, რომელსაც, მაშასადამე, განაწილების ხერხიც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი უნდა ჰქონდეს. ენგელსის აზრით. ეს არაა სწორი.

ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — რომ 1. აღმოვაჩინოთ განაწილების ის ხერხი, რომლითაც უნდა დაწყებულ იქნეს და 2. ვიპოვოთ ის საერთო ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მოხდება შემდგომი განვითარება.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ საწარმოო ძალების ზრდის, მატერიალური დოვლათის წარმოების გადიდების კვალობაზე სოციალისტური პრინციპი „თვითეთლისაგან — უნარის მიხედვით, თვითეთლს შრომის მიხედვით“ თანდათანობით ადგილს დაუთმობს კომუნისტურ პრინციპს „თვითეთლისაგან — უნარის მიხედვით, თვითეთლს — მოთხოვნილების მიხედვით“.

შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი ხელს უწყობს მოთხოვნილების მიხედვით განაწილების კომუნისტურ პრინციპზე გადასვლისათვის საჭირო წინამძღვარების მომზადებას.

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია სოციალიზმის პრინციპი: „თვითეთლისაგან — უნარის მიხედვით, თვითეთლს — შრომის მიხედვით“. იგი უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა მატერიალურ დაინტერესებას შრომის შედეგებით, საშუალებას იძლევა საუკეთესოდ შევასხამოთ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები და წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდების, ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის მძლავრ სტიმულს. შრომის მიხედვით განაწილება ადამიანს გამოუმუშავებს ჩვევას იშრომოს უნარის მიხედვით, შეგნებულად დაიცვას შრომითი დისციპლინა.

მარქსიზმის ფუძემდებლები თვლიდნენ, რომ საზოგადოებრივი საწარმოო ძალები იმდენად გაიზარდა, რომ ბურჟუაზია ვეღარ გაუძღვება მას და მხოლოდ

<sup>20</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 586.

<sup>21</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 11, გვ. 18-19.

იძას ელოდება, რომ მას დაეპატრონოს მუშათა კლასი, რომელიც შექმნის ისეთ წყობილებას, როდესაც საზოგადოების თვითეულ წევრს მიეცემა საშუალება მონაწილეობა მიიღოს არა მარტო საზოგადოებრივ სიმდიდრეთა წარმოებაში, არამედ აგრეთვე მათ განაწილებასა და წარმართვაში და რომელიც მთელი წარმოების გეგმიანი ორგანიზაციით იმდენად გაზრდის საზოგადოების საწარმოო ძალებსა და მათ მიერ შექმნილ პროდუქტებს, რომ ყველა რაციონალურ, მუდამ მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თვითეულისათვის უზრუნველყოფილი იქნება.<sup>22</sup>

ფ. ენგელსი ჯერ კიდევ 1847 წელს „კომუნისმის პრინციპებში“ წერდა: „საზოგადოებას საკმაო პროდუქტების წარმოება ექნება იმისათვის, რომ მოაწყოს განაწილება, ნავარაუდევია ყველა მის წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამით ზედმეტი გახდება საზოგადოების დანაწილება სხვადასხვა, ერთმანეთის მტრულ კლასებად. მაგრამ იგი არა თუ ზედმეტი გახდება, იგი შეუთავსებადიც იქნება ახალ საზოგადოებრივ წყობილებასთან“<sup>23</sup>.

მარქსიზმის ფუძემდებელთა დასკვნით კომუნისმის დროს შრომა იქცევა თავისუფალ, ნებაყოფლობით საქმედ, შინაგან მოთხოვნილებად, საზოგადოების ყველა წევრის ჩვევად, რადგან შემოქმედებითი შრომა ყოველ ნორმალურ ადამიანს სიამოვნებს და როგორც ფ. ენგელსი წერდა: „წარმოდგენს უმაღლეს სიამოვნებას, რომელსაც კი ჩვენ ვიცნობთ“<sup>24</sup>.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ისიც გვიჩვენეს, რომ საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნა განუყრელად არის დაკავშირებული ახალი ადამიანის აღზრდასთან, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

ფ. ენგელსი „კომუნისმის პრინციპებში“ აღნიშნავდა, რომ სოციალისტური წარმოების საზოგადოებრივი გაძღოლა არ შეიძლება განხორციელდეს დღევანდელთა მსგავსი ადამიანების მიერ, რომელთაგან თვითეული „ემორჩილება წარმოების ერთ რომელსამე დარგს, მიჯაჭულია მასზე, განიცდის ექსპლოატაციას მის მიერ, ავითარებს თავის უნართა მხოლოდ ერთ მხარეს ყველა დანარჩენის ხარჯზე და იცის მთელი წარმოების მხოლოდ ერთი დარგი ან დარგის რომელიმე ნაწილი. უკვე დღევანდელ მრეწველობას სულ უფრო და უფრო ნაკლებ ძალუძს ასეთი ადამიანების გამოყენება“<sup>25</sup>.

ენგელსი მიუთითებს, რომ მით უფრო ის მრეწველობა, რომლის გაძღოლა წარმოებს გეგმაზომიერად მთელი საზოგადოების მიერ, გულისხმობს ყოველმხრივ განვითარებული ნიჭის ადამიანებს, რომელთაც შესწევთ უნარი გაერკვნენ წარმოების მთელ სისტემაში. მომავალი „აღზრდა ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას სწრაფად აითვისონ პრაქტიკაში წარმოების მთელი სისტემა. იგი საშუალებას მისცემს მათ რიგრიგობით გადავიდნენ წარმოების ერთი დარგიდან მეორეზე, საზოგადოების მოთხოვნილებებსა და მათ საკუთარ მიდრეკილებაზე დამოკიდებულებით.

ამგვარად, კომუნისტურ საფუძველზე ორგანიზებული საზოგადოება შე-

22 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 187.

23 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1940, გვ. 87.

24 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1959, გვ. 171.

25 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ. 1940, გვ. 87-88.



საძლებლობას მისცემს თავის წევრებს ყოველმხრივ გამოიყენონ თავიანთი ყოველმხრივად განვითარებული უნარი<sup>26</sup>.

აღზრდის ქვეშ კ. მარქსი გულისხმობს: 1. გონებრივ აღზრდას, 2. ფიზიკურ აღზრდას, 3. პოლიტექნიკურ სწავლებას, რომელიც ბავშვს აცნობს წარმოების ყველა პროცესის ძირითად პრინციპებს და იმავე დროს აძლევს წარმოების უმარტივესი იარაღების გამოყენების უნარს.

ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა და აღზრდა უნდა შეკავშირდეს და ამით უზრუნველყოფილი იქნება როგორც ყოველმხრივი ტექნიკური მომზადება, ისე პრაქტიკული საფუძველი მეცნიერული აღზრდისათვის. კ. მარქსი წერდა: საფაბრიკო სისტემიდან... აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, როცა ყველა ბავშვისათვის განსაზღვრული ასაკის ზევით საწარმოო შრომა დაუკავშირდება სწავლებას და გიმნასტიკას არა როგორც ერთ-ერთი საშუალება საზოგადოებრივი წარმოების ზრდისათვის, არამედ აგრეთვე ერთადერთი საშუალებაც ყოველმხრივად განვითარებულ ადამიანთა წარმოებისათვის<sup>27</sup>.

კ. მარქსს ბავშვთა შრომის საყოველთაო აკრძალვა შეუთავსებლად მიაჩნდა მსხვილი მრეწველობის არსებობასთან. „მისი განხორციელება, — წერდა კ. მარქსი, — შესაძლებელიც რომ ყოფილიყო რეაქციული იქნებოდა, ვინაიდან, სამუშაო დროის მკაცრი მოწესრიგებისას სხვადასხვა ასაკობრივი საფეხურების მიხედვით და ბავშვთა დასაცავად მიღებული სხვა სახედამხედველო ღონისძიებებით, პროდუქტიული შრომის აღრიანი დაკავშირება სწავლა-განათლებასთან თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას წარმოადგენს“<sup>28</sup>.

კომუნისმის დროს დარჩება პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით“, თუმცა კომუნისმს ღრმა ცვლილებები შეაქვს მის შინაარსში.

ჯერ ერთი, კომუნისმი იწვევს ადამიანის ყველა უნარის განვითარებას, რაც შრომას უფრო ნაყოფიერს ხდის; მეორე, იმასთან დაკავშირებით, რომ ბოისპობა შრომის ძველებური დანაწილება, თანდათან შეიქმნება ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ თვითეულმა შეასრულოს თავისი უნარისა და მიღწევილებების შესაფერისი სამუშაო, მესამე, კომუნისმის დროს თვითეული იშრომებს მორალური სტიმულების, მაღალი შეგნებულობის გამო: „შრომა არა მარტო ცნობრების საშუალება იქნება, არამედ, თვით პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება“<sup>29</sup>.

ისევე როგორც ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წარმოიშვა კლასები და მასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა სახელმწიფო, ასევე კომუნისტური რევოლუციის შედეგად უნდა გაქრეს კლასები და ბუნებრივია, მასთან ერთად სახელმწიფოც.

კ. მარქსი წერდა: „ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მოასწავებს არა ბრძოლას კლასობრივი პრივილეგიებისა და მონოპოლიებისათვის, არამედ თანასწორი უფლებებისა და მოვალეობებისათვის და ყოველგვარი კლასობრივი ბატონობის მოსპობისათვის“<sup>30</sup>.

26 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1940, გვ. 87-88.

27 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 611-612.

28 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 81.

29 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 48.

30 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 435.

ფ. ენგელსი სწორად მიუთითებდა, რომ თუ კლასებად დანაწილებას ერთგვარი ისტორიული გამართლება ჰქონდა, მხოლოდ განსაზღვრული დროისა და განსაზღვრული საზოგადოებრივი პირობებისათვის, იგი დაფუძნებული იყო წარმოების უკმარისობაზე; იგი აღგვილი იქნება თანამედროვე საწარმოო ძალების სრული განვითარების წყალობით.

მარქსისტული წარმოდგენა კომუნიზმზე ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი ვ. ი. ლენინის შრომებში, სკკპ პროგრამაში. სკკპ პროგრამაში მოცემულია კომუნისტური საზოგადოების ძირითადი ნიშნები, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა, კომუნისტური ადამიანის ზნობრივ თვისებათა გაშლილი დახასიათება.

სკკპ XXIII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964) და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში ეს ამოცანები ყოველმხრივ არის დასაბუთებული და დაკონკრეტებული საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობების, არსებული რეალური შესაძლებლობების, მატერიალური და ფინანსური რესურსების, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით.

## საცხოვრებელი სადგომის გასვლა

პროფ. ს. ჯორჯენაძე

საცხოვრებელი სადგომის გაცვლის შესაძლებლობა დამქირავებლის უფლებამოსილების უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია.

გაცვლა პირადი განკარგვის უფლების შემადგენელი ნაწილია. დამქირავებლის მხრივ ამ უფლების გამოყენებას რიგი თავისებურება ახლავს. გაცვლის უფლება, რომელსაც დამქირავებელი იყენებს არ შეიძლება ავიწროებდეს და დევნიდეს მესაკუთრის უფლებამოსილებას. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით თუ პირადი მესაკუთრე უარს ეუბნება დამქირავებელს საცხოვრებელი სადგომის გაცვლაზე, უარი საბოლოოა და არც ერთ ორგანოში და არავითარი წესით მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

დამქირავებლისათვის გაცვლის უფლების მიკუთვნება საბინაო პრობლემის თანამედროვე მდგომარეობითაა განპირობებული.

გიგანტური საბინაო მშენებლობის მიუხედავად ჯერ კიდევ მწვავედ დგას ბინებით მოქალაქეთა დაკმაყოფილების საქმე. ამ ვითარებაში სრულიად მიუღებელია წინადადება, რომელიც მოითხოვს გაცვლის ნაცვლად არსებითად საცხოვრებელი სადგომის გეგმიურ გადასაწილებას იმის შიშით, რომ შესაძლოა ზოგიერთი პირი, გაცვლის გზით ზედმეტად გაფართოვდეს და გაიუმჯობესოს საბინაო პირობები.<sup>1</sup>

ერთი ქალაქიდან მეორეში გადასულ მოქალაქეს ყოველთვის როდი ხვდება თავისუფალი საცხოვრებელი სადგომი, ხოლო ბინის მიღების რიგში მისი დაყენება ყოვლად გაუმართლებელია. ამ ვითარებაში სწორედ საქალაქთაშორისო გაცვლა ბინებისა უზრუნველყოფს ხელშეკრულების მონაწილეთა ინტერესებს.

ყოველთვის არ არის შესაძლებლობა მაღალ სართულზე მცხოვრებ პირს, რომელიც დაავადმყოფდა ანდა მოხუცდა, დაბალ სართულზე საცხოვრებელი სადგომი მიეცეთ. ხშირად ოჯახის წევრებს ერთად უნდათ იცხოვრონ ანდა განცალკევდნენ, ზოგჯერ მძიმე სულიერი ტრავმით მიყენებული განცდების შემსუბუქებისათვის პირს სურს საცხოვრებელი ბინის გამოცვლა, ხშირად საცხოვრებელი ბინა და სამუშაო ადგილი ძალზე დაშორებულია ერთმანეთს. ამ და მსგავსი მიზეზების დროს საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ხელშეკრულებას დიდი სარგებლობა მოაქვს მოქალაქეებისათვის, და, მათსადამე, საზოგადოებისთვისაც.

მოზინადრეთა ინტერესების დაცვის საჭიროებამ წარმოშვა უფლება საცხოვრებელი სადგომის გადაცვლისა.

სამოქალაქო სამართლის პირველი საბჭოთა კოდექსები დიდხანს არ ითვალისწინებდნენ საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ძირითადი წესები კოდექსსგარეშე არსებულ ნორმატულ აქტებში ვითარდებოდა. ამასთან ბინების გაცვლის სიხშირე მდიდარ ადმინისტრაციულ

<sup>1</sup> იხ. В. С. Тадевосян, Некоторые вопросы жилищного права, жур. «Советское государство и право», 1958, № 7, стр. 51.

და სასამართლო პრაქტიკას ჰქმნიდა. ყოველივე ამას შედეგად მოყვა ბიუჯეტის გაცვლის სამართლებრივი ნორმების დეტალური დამუშავება<sup>2</sup>.

გაცვლის ხელშეკრულების ვაერცელება შესაბამისად ნიშნავდა მოზინადრეთა იძულებითი შემჭიდროებისა და გადმოსახლების უარყოფასა და გამოდევნას.

1937 წელს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გამოიტანა განმაზოგადებელი დასკვნა, რომ „საცხოვრებელი სადგომის იძულებითი გაცვლა და ადგილობრივი საბჭოების სახლებიდან იძულებითი გადმოსახლება არ არის ვათვალისწინებელი მოქმედი კანონმდებლობით“<sup>3</sup>. მართალია შემდგომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით ვათვალისწინა იძულებითი გაცვლის ერთი ცალკე შემთხვევა (საბინაო კონფლიქტის თავიდან აცილებისათვის), მაგრამ ეს გამოჩაქვლიანი უკვე წესის დადასტურება იყო.

საქართველოს სსრ მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319—320 მუხლებში მოცემულია საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ძირითადი პირობები. დეტალურად ურთიერთობა მოწესრიგებულია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1965 წლის 30 დეკემბრის ინსტრუქციით— „ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანოების სახლებში, აგრეთვე მოქალაქეთა პირად კუთვნილებაში მყოფ სახლებში საცხოვრებელი სადგომის გაცვლის წესის შესახებ“. გაცვლის უფლება ნიშნავს უფლებას კონკრეტულად განსაზღვრულ საცხოვრებელ სადგომზე. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ დამქირავებელს უფლება არა აქვს დააყენოს საბინაო ორგანოებისა და შემდეგ სასამართლოს წინაშე გადაცვლის საერთო ნებართვის საკითხი. დამქირავებელმა ყოველთვის უნდა მოძებნოს გაცვლის კონკრეტული ვარიანტი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შემოწმდეს გაცვლის კანონიერება და მოხდეს ხელშეკრულების მეორე მხარის ნების გამოძეგნება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ სასამართლოს შეუძლია განიხილოს სარჩელი საბინაო ორგანოების მიმართ გაცვლის თაობაზე, ისე, რომ მოსარჩელე არ მიუთითებდეს ვადაცვლელ კონკრეტულ სადგომზე. აქ სასამართლო ადგენს უფლებას გაცვლაზე. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირს შეუძლია დადგეს აღრიცხვაზე გაცვლის ბიუროში და მოძებნოს გაცვლის ობიექტი. „როცა სასურველი ობიექტი მოიძებნება შეიძლება კვლავ წარმოიშვას დავა, მაგრამ უკვე საცხოვრებელი ფართობის გაცვლის კონკრეტული ვარიანტის თაობაზე, მაშინ სასამართლო უშუალოდ განიხილავს საკითხებს, რომელიც ამ გაცვლასთანაა დაკავშირებული“<sup>4</sup>.

ვფიქრობთ, რომ საკითხის ამგვარი დაყენება არ არის მისი სწორი გადაწყვეტის გზა.

<sup>2</sup> Ученые записки Пермского государственного университета, т. XXIV, вып. 4. Юридические науки, 1963, зб. 69—100.

<sup>3</sup> იხ. «Советская юстиция», 1939 г. № 11, зб. 64.

<sup>4</sup> В. М. Остроухова, О. Н. Фишкова, Рассмотрение гражданских жилищных дел в суде, 1955, зб. 62.



### I. საცხოვრებელი სადგომი, რომელიც შეიძლება გახდეს გაცვლის ობიექტი.

კანონით ნებადართული არაა ყოველგვარი საცხოვრებელი სადგომის გაცვლა. მაგალითად, არ შეიძლება ოთახის ნაწილის გაცვლა სხვა ბინის ოთახის ნაწილზე; არ შეიძლება სამზარეულოს გადაცემა სხვა ბინის სამზარეულოზე და ა. შ.

დასაშვებია მხოლოდ მთლიანი ბინის ან ცალკე ოთახის გაცვლა<sup>5</sup>. ამასთან მთავარია იმის აღნიშვნა, რომ დასაშვებია მხოლოდ იმ ბინის ოთახის გაცვლა, რომელიც უკვე არის დამქირავებლის სარგებლობაში, ე. ი. როდესაც დამქირავებელს თავისი უფლებები უკვე რეალიზებული აქვს. ეს ამ ხელშეკრულების არსებითი ნიშანია. ამიტომ მიღებული ორდერების გადაცემა, როცა პირები ჯერ კიდევ არ არიან შესახლებულნი, არ არის მოწესრიგებული სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319—320 მუხლებით; ასევე არ მოწესრიგდება ამ მუხლებით საცხოვრებელი სადგომის გაცვლა მომავალში ბინის მიღების უფლებაზე ე. წ. საგარანტიო ხელშეკრულების შესაბამისად. რასაკვირველია, ეს ურთიერთობანი პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას და კიდევაც წარმოიშვება, მაგრამ მათი რეგულირება არ ხდება მარტოდენ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით.

მაშასადამე, ბინების გაცვლის საკითხი დგება მაშინ, როცა საცხოვრებელი სადგომი პირს რეალურ სარგებლობაში აქვს. ამასთან საბინაო სამართალი არ ადგენს საცხოვრებელ სადგომში ცხოვრების ხანგრძლივობის მინიმალურ ვადას. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს შეუძლია გადაცვლის საკითხი დააყენოს შესახლების პირველ დღიდანვე.

დაშვებულია არა მარტო ორი, არამედ სამი და მეტი საცხოვრებელი სადგომების გაცვლა. ამასთან სრულიად უსაფუძვლოა შიში, რომ გაცვლა სამზე მეტ მოქირავნეს შორის უნდა ხდებოდეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, რათა ადგილი არ ექნეს გარიგებების დადებას სპეკულაციური მიზნით<sup>6</sup>.

სპეკულაციური გარიგების წინააღმდეგ ბრძოლის გზა არ არის იმ მოქირავნეთა რიცხვის ხელოვნურად შემცირება, რომლებიც გაცვლაში მონაწილეობენ. მეტიც, ნორმალურ ვითარებაში მრავალი მოქირავნის მონაწილეობით ჩატარებული გაცვლა შესაბამისად უზრუნველყოფს მრავალი ოჯახის ინტერესებს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319-ე მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლების გაცვლას ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პირადი საკუთრების სახლებში. გაცვლის ხელშეკრულება გულისხმობს დამქირავებლის უფლებამოსილების გადასვლას საცხოვრებელ სადგომზე. ამით საცხოვრებელი სახლის გაცვლის ხელშეკრულება პრინციპულად განსხვავდება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 266—267-ე მუხლებით გათვალისწინებულ გაცვლილობის ხელშეკრულებისაგან. გაცვლილობის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების წესები. გაცვლილობის ხელშეკრულების ყოველი მონაწილე მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც სცვლის და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. ამიტომ პირად მესაკუთრეთა შორის

<sup>5</sup> იხ. Ю. К. Толстой, Советское жилищное право, 1967, зб. 130 — 131.

<sup>6</sup> იხ. С. И. Аскназий, И. Л. Браудзе, А. И. Пергамент, Жилищное право, 1956, зб. 148.



საცხოვრებელი სახლების გაცვლილობა დაიშვება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 238—239 მუხლების დაცვით. გაცვლილობას სანოტარო ორგანოები ახორციელებენ.

გაცვლილობის ობიექტი არ არის თვითნებურად აშენებული ან დაუშთავრებული საცხოვრებელი სახლი. გაცვლილობის ხელშეკრულების სიახლოვე ყიდვა-გაყიდვასთან იმაშიც სჩანს, რომ ზოგჯერ იგი შერეული ხელშეკრულების სახით წარმოგვიდგება.

გაცვლის ხელშეკრულებას ყოველთვის მიმართავს მოქირავნე, გაცვლილობისას კი — საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე<sup>7</sup>.

პირადი საკუთრების სახლის მოქირავნეს მესაკუთრის და საბინაო ორგანოების თანხმობის დროს უფლება აქვს საცხოვრებელი სადგომის გაცვლილობა<sup>8</sup>. ასევე პირადი სახლის მესაკუთრეს შეუძლია საბინაო სამშენებლო კოოპერატივში წევრად შესვლის გზით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნებართვით გაცვალოს თავისი საცხოვრებელი სახლი საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ბინაზე.

საბინაო კანონმდებლობა არ იცნობს საცხოვრებელი სადგომის გარდა სხვა შენობისა და ნაგებობის გაცვლის დამოუკიდებელ ხელშეკრულებას. შენობებისა და ნაგებობების გადაცემა სახელმწიფო სექტორის შიგნით ხდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით. ამასთან სახელმწიფო ფონდის შენობები და ნაგებობანი ერთი სახელმწიფო ორგანიზაციისაგან მეორე ორგანიზაციას გადაეცემა უსასყიდლოდ. მამასადამე, ცალკეულ სახელმწიფო ორგანიზაციას მხოლოდ შეუძლია დააყენოს ზემდგომი კომპეტენტური ორგანოს წინაშე საკითხი შენობებისა და ნაგებობების ახლებურად გადასაწილებისა.

ამგვარად, გაცვლის ხელშეკრულება სხვადასხვა საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლების მიმართ გამოიყენება.

## II. პირები, რომელთაც საცხოვრებელი სადგომის გაცვლის უფლება აქვთ.


სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს ურთიერთობებს მარტოოდენ მოქალაქეთა შორის და არ ითვალისწინებს საცხოვრებელი სადგომის გაცვლას იურიდიულ პირებს შორის.

საცხოვრებელი სადგომის გაცვლა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, ვისთანაც დადებულია ბინის (ოთანის) ქირავნობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, რომ მისთვის საკმარისი არ არის მარტოოდენ მხარეთა შეთანხმება. საჭიროა ამ ორგანოს (პირის) ნებართვა, რომელსაც ეკუთვნის საცხოვრებელი სადგომი.

ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა ზოგიერთი სხვა პირის თანხმობაც.

<sup>7</sup> ტერმინოლოგიურად გაცვლა (Обмен) კოდექსში განსხვავებულია გაცვლილობის (мена) ხელშეკრულებისაგან. სამწუხაროდ, ეს ტერმინოლოგიური სხვაობა ვერ არის შესაბამისი ურთიერთობის ადეკვატური. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ტ. 2) ფვლის, რომ გაცვლა-გამოცვლა, გაცვლილობა იგივეა, რაც გაცვლა. იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი) გაცვლასა და გაცვლილობას აგრეთვე სინონიმებად წარმოგვიდგენს. საჭიროა ზუსტი იურიდიული ტერმინების შემუშავება, რომ განსხვავებულ იქნეს ჩვენი სინამდვილისათვის ასე გავრცელებული საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ხელშეკრულება პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების გაცვლილობისაგან.

<sup>8</sup> იხ. ს. ი. ასენაზის და სხვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 150.



საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით საცხოვრებელი სადგომის სადგომის გაცვლისათვის საჭიროა დამქირავებელთან ერთად მცხოვრებლები მისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობა, მათ შორის დროებით სხვაგან მყოფისაც. ზოგიერთი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა თვლის, რომ საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ხელშეკრულება არ შეიძლება გაბათილდეს მარტო იმ მოტივით, რომ არ არის დამქირავებლის ოჯახის წევრთა წერილობითი თანხმობა, თუ პირი თავისი მოქმედებით ადასტურებდა, რომ იგი გაცვლის თანახმა იყო.

საცხოვრებელი სადგომის გაცვლის უფლება აქვთ არა მარტო დამქირავებელს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოჯახური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

გაცვლის დროს კანონი მიუთითებს ოჯახის სრულწლოვან წევრებზე. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან მხოლოდ ქმედობაუნარიან პირებს შეუძლიათ გამოხატონ ნება და თავისი მოქმედებით განახორციელონ უფლებანი და მოვალეობანი.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ოჯახის არასრულწლოვან წევრთა ინტერესები დაცული არ არის საცხოვრებელი სადგომის გაცვლის დროს. მეურვეობაში მყოფი პირის საცხოვრებელი სადგომის გაცვლა მეურვეს არ შეუძლია მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების წერილობითი თანხმობის გარეშე.

გაცვლის ობიექტი შეიძლება იყოს არაიზოლირებული ბინა და ამან შელახოს მომიჯნავე ოთახებში მცხოვრებ პირთა ინტერესები. ამიტომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით საერთო შესასვლელის მქონე მომიჯნავე ოთახების ან თუნდაც ერთი მათგანის გაცვლისათვის საჭიროა ამ ოთახების მცხოვრებლები ყველა დამქირავებლის და მათი ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობა.

თანხმობის გაცემის უფლება პირმა არ უნდა დაუკავშიროს არაკანონიერ მიზნებს, იმას რომ ხელი შეუშალოს მობინადრეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ პირებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ არ დაეთანხმონ გაცვლას, როცა ამის შედეგად მათი საბინაო პირობები უარესდება. უარი ყველა შემთხვევაში (გარდა პირადი მესაკუთრის საცხოვრებელი სადგომებისა) შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლო საქმის არსებითად განხილვის შემდეგ გადაწყვეტს მოტივირებულია თუ არა უარი. როცა სასამართლო აღმოაჩენს, რომ უარი გაცვლაზე არაა დასაბუთებული, იგი დაავალდებულებს მხარეს დაეთანხმოს გაცვლას. ამ დროს სასამართლო იცავს მოდავე მხარეთა ინტერესებს, მათ შორის იმ პირისაც, რომელიც არ იყო თანახმა საცხოვრებელი სადგომის გაცვლაზე. სასამართლო ვალდებულია დასაბუთოს, რომ გაცვლის შედეგად არ უარესდება ამ პირის საბინაო პირობები.

საცხოვრებელი სადგომის გაცვლის დამოუკიდებელი უფლება არა აქვთ დროებით მდგმურებსა და ქვემოქირავნებს. ამიტომ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1965 წლის 30 დეკემბრის ინსტრუქციის მე-12 მუხლით დროებითი მობინადრეები და შინამოსამსახურენი, რომელნიც არ ცლიან დამქირავებლის მიერ გაცვლილ საცხოვრებელ სადგომს, ან შინამოსამსახურეთა სპეციალურ სადგომებს, შეიძლება გამოსახლებული იქნენ გამცვლელი მხარეების მიერ სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

თუ გადაჭირავების ხელშეკრულება დადებულია ვადის ჩვენების ვაგონზე, მაშინ გამჭირავებელი ვალდებულია გააფრთხილოს ქვემოჭირავნე მოსალოდნელ გაცვლაზე 3 თვით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ქვემოჭირავნე ექვემდებარება გამოსახლებას სასამართლოს წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

პრაქტიკაში არც თუ იშვიათად დგება საბინაო სამშენებლო კოოპერატივების ბინების გაცვლის საკითხი. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1965 წლის 30 დეკემბრის ინსტრუქციის მე-2 მუხლით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში ბინების გაცვლა წარმოებს მხოლოდ საერთო კრების თანხმობით, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული პირობებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 31-ე მუხლით კოოპერატიული ბინის გაცვლის აუცილებელი პირობაა ის, რომ საცხოვრებელი ფართობის გადამცვლელი მიღებულ იქნას კოოპერატივის წევრად. მაშასადამე, თუ ამგვარ გაცვლას წინ არ უსწრებს წევრად მიღება იმის გამო, რომ პირი უარს ამბობს კოოპერატივის წევრობაზე, ანდა არა აქვს უფლება იყოს კოოპერატივის წევრი, შეუძლებელია მოხდეს გაცვლა საცხოვრებელი სადგომებისა.

ამგვარი გაცვლისათვის საჭიროა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნებართვა. კოოპერატივის წევრად მიღებული პირი მოვალეა შეიტანოს პაი საცხოვრებელი სადგომის საბალანსო ღირებულების ოდენობით. მაშასადამე, მეპაიე ნებაყოფლობით ვადის კოოპერატივის წევრობიდან, რათა კოოპერატივში შემოსულმა პირმა შეიძინოს მისი უფლება-მოვალეობანი. დასაშვებია კოოპერატივის წევრთა შორის საცხოვრებელი სადგომის გაცვლა, მეპაიეს ნებაყოფლობით გასვლა კოოპერატივიდან ბინის გაცვლის მიზნით უნდა განვასხვაოთ ნებაყოფლობით გასვლისაგან, ან პაის დათმობისაგან, როცა ეს არაა დაკავშირებული კოოპერატიული ბინის გაცვლასთან. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1965 წლის 30 დეკემბრის დებულების 31-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით კოოპერატივის წევრს უფლება აქვს ნებაყოფლობით, თავისი განცხადებით, გავიდეს კოოპერატივიდან მისი არსებობის ყოველ დროს, როგორც მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ისე დამთავრების შემდეგ.


**III. შემთხვევები, როცა საცხოვრებელი სადგომის გაცვლა არ დაიშვება.** მოჭირავნის მიერ საცხოვრებელი სადგომის გაცვლის უფლება კანონითაა დაცული, მაგრამ არის მთელი რიგი ისეთი მომენტები, როცა მისი განხორციელება ეწინააღმდეგება თვით ამ უფლების დანიშნულებას. ასეთ დროს საცხოვრებელი სადგომის გაცვლა აკრძალულია.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 320-ე მუხლი განსაზღვრავს ხუთ შემთხვევას, როცა არ არის დაშვებული საცხოვრებელი სადგომების გაცვლა:

1. არ დაიშვება გაცვლა თუ დამჭირავებლისადმი წაყენებულია სარჩელი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ.

საბინაო კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ საფუძვლებს, როცა დამჭირავებელს წაეყენება სარჩელი ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის თაობაზე. ამ ვითარებაში საცხოვრებელი სადგომის გაცვლა გაუმართლებელია. მან მხარეებს მეტად მერყევი მდგომარეობა შეიძლება შეუქმნას. ამიტომ ვიდრე

2. საბჭოთა სამართალი № 3.



სარჩელზე უარი არ არის ნათქვამი, არ უნდა იქნეს დაშვებული საცხოვრებელი სადგომის გაცვლა.

2. არ დაიშვება საცხოვრებელი სადგომის გაცვლა თუ მას სპეკულაციური ან ფიქტიური ხასიათი აქვს.

გაცვლის სპეკულაციური ან ფიქტიური ხასიათი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადასტურდეს მარტო ვარაუდით, რომ გარიგება შეიძლება სპეკულაციური ან ფიქტიურია არ უნდა მოხდეს მისი გაბათილება. ზუსტად უნდა ვიცოდეთ თუ რა ესმის კანონმდებელს სპეკულაციურისა და ფიქტიურის ცნების ქვეშ.

სასამართლო პრაქტიკა დიდი ხანია მტკიცედ ადგას იმ თვალსაზრისს, რომ გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომების ფართობის სხვაობა — მათი არატოლფარდოვნება თავისთავად არ კმარა გაცვლაზე ნებართვის უარისთქმისათვის. უნდა დამტკიცდეს, რომ არატოლფარდოვნება გარიგების სპეკულაციურ და ფიქტიურ ხასიათთანაა დაკავშირებული.

საცხოვრებელი სადგომის ტოლფარდოვნობას მარტო ფართობი როდი საზღვრავს, არამედ მთელი რიგი სხვა გარემოებებიც: სართულიანობა, ბინის ქალაქში მდებარეობა, კეთილმოწყობა, კომფორტი და ა. შ.

აბსულუტურად ტოლფარდოვანი ბინები თითქმის არც გვხვდება და გაცვლის ხელშეკრულების გამოყენებაც უკიდურესი იშვიათობა იქნებოდა. მეტიც, არსებითად ქალაქის შიგნით გაცვლა უაზროც შეიძლება გახდეს თუკი მის აუცილებელ ნიშნად მოვითხოვთ გადასაცვლელ სადგომთა აბსოლუტურ ტოლფარდოვნებას. შეიძლება უარის თქმა გაცვლაზე ფართობების დიდი სხვაობის გამო, მაგრამ ამ საფუძვლის პრინციპად გადაქცევა უკიდურესად შეზღუდავდა საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ხელშეკრულების გამოყენების სფეროს.

სავსებით სწორია სასამართლო პრაქტიკაში განმტკიცებული თვალსაზრისი, რომ თუ კი სხვა რაიმე კანონსაწინააღმდეგო საფუძველი არ არსებობს, შეიძლება ასეთი ბინების გადაცვლა. ამგვარი მითითება თბილისის სასამართლო პრაქტიკის თაობაზე გამოიტანა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჯერ კიდევ 1948 წლის 13 იანვარს.

მოგვყავს ამ საქმის შინაარსი: სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა საბინაო სამმართველოს სარჩელი ბინების გაცვლის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე იმის გამო, რომ გასაცვლელი ბინები არ იყო ტოლფარდოვანი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგიამ მიუთითა: „სასამართლოს მტკიცება ბინის არატოლფარდოვნების შესახებ დაფუძნებულია იმაზე, რომ ერთ-ერთი გასაცვლელი ბინა ზომით მეტია, ხოლო მეორე — ნაკლები, მაგრამ საქმეში არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ბინა თუმცა ნაკლებია ზომით, მაგრამ გაცვლის წინ ეს სახლი მთლიანად შეკეთდა და მას უკეთესი სათავსოები გააჩნია, ვიდრე საბჭოს ქუჩაზე მდებარე სახლს“<sup>9</sup>.

მავსადადამე, საცხოვრებელი სადგომების ფართობის სხვაობამ ავტომატურად როდი უნდა გამოიწვიოს გაცვლის ხელშეკრულების ბათილობა. უნდა დადგინდეს გარიგების სპეკულაციური ხასიათი.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ 1965

<sup>9</sup> Судебная практика Верховного суда СССР, 1948, 4, стр. 10.

წლის 30 დეკემბერს მიღებული ინსტრუქციით გაცვლა სპეკულაციურად ითვლება, თუ გაცვლაში მონაწილე ერთი მხარე მაინც საცხოვრებელი სადგომის დათმობისათვის იღებს გასამრჯელოს ფულით ან სხვა ქონებრივი ღირებულებით.

მაშასადამე, თუ დადასტურდება, რომ მხარემ საცხოვრებელი სადგომის გაცვლის დროს გასამრჯელო მიიღო, გარიგება გაბათილდება.

გაცვლა გაბათილდება თუ იგი ფიქტიური ხასიათისაა.

ფიქტიური ხასიათი გარიგებისა იმას ნიშნავს, რომ გაცვლის სახით ხდება ფართობის გადაცემა გაცვლის შედეგად მიღებული ფართობის რეალური სარგებლობის გარეშე. მოქალაქეს აღარა აქვს მოთხოვნილება დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე (სხვა ქალაქში გადასვლის, პირადი საკუთრების სახლის აშენების გამო და ა. შ.). ისინი ამ დროს მიმართავენ ვითომდაც გაცვლას ანგარიშითი მიზნით. ეს გარიგება ბათილია არა მარტო როგორც ფიქტიური, არამედ როგორც სპეკულაციურიც, ვინაიდან ერთი მხარე გასამრჯელოს იღებს სადგომის დათმობისათვის. ყოველთვის როდღი კმარა გარიგების გაბათილება მისი შედეგებით. მეტიც, ამ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს — ბინების ან ოთახების უკანონო დათმობისათვის საზღაურის მიღებით იმ სახლებში, რომლებიც ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოებს ან დაწესებულებებს.

3. არ დაიშვება გაცვლა თუ ერთ-ერთი გასაცვლელი სადგომთაგანი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლში აღნიშნული საწარმოს ან დაწესებულების სახელშია, მეორე სადგომის დამქირავებელს კი ამ საწარმოსთან ან დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა არა აქვს (გარდა შემთხვევისა, როდესაც დამქირავებელი სარგებლობს სადგომით შესაბამის საწარმოს თუ დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის გარეშე და არ შეიძლება გასახლებულ იქნეს სხვა ფართობის მიუცემლად); გარდაცვლილი მუშაკის ოჯახის წევრებს უფლება აქვთ ამ საცხოვრებელი სადგომის გაცვლისა.

4. არ შეიძლება გაცვლა საცხოვრებელი სადგომისა თუ არსებობს საფრთხე, რომ სახლი ჩამოიქცევა, ანდა თუ იგი ასადებად არის განკუთვნილი. ეს გარემოებები უფლებას აძლევენ მოზინადრეებს მიიღონ სხვა კეთილმოწყობილი ბინა.

5. არ დაიშვება გაცვლა თუ საცხოვრებელი სადგომი სამსახურებრივია ან საერთო საცხოვრებელში იმყოფება.

ამ საცხოვრებელ სადგომებს სპეციალური დანიშნულება აქვთ და არასწორი იქნებოდა მათზე გაგვევრცელებინა სადგომის გაცვლის საერთო წესი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 320-ე მუხლი ჩამოთვლის ხუთ დამაბრკოლებელ შემთხვევას, რომელთა არსებობის დროს აკრძალულია საცხოვრებელი სადგომის გაცვლა. ამ გავებით გარიგების ბათილობის საფუძვლების ჩამოთვლა ამომწურავია.

რა თქმა უნდა, გარიგება სხვა შემთხვევაშიც შეიძლება გაბათილდეს, როცა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და სასამართლოები და-



ადასტურებენ მის კანონსაწინააღმდეგობას, მაგრამ ვიდრე ეს დადასტურდებოდეს გარიგება შესაცილებელ გარიგებად ითვლება, მაშინ როცა ზემოთ დასახელებული ხუთი საფუძვლის არსებობისას გარიგება თავიდანვე არაა გარიგება.

გარიგება შეიძლება გაბათილდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე, როცა გაცვლის ხელშეკრულება დადებულია არსებითი მნიშვნელობის მქონე ცდომილების გავლენით. მაგალითად, პირმა სადგომში გადასვლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მას ისეთი ნაკლი აქვს, რაც მის ნორმალურ გამოყენებას შეუძლებელს ხდის, ხოლო ამ ნაკლის შემჩნევა უბრალო დათვალიერების დროს შეუძლებელი იყო.

ასევე შეიძლება გაცვლის გარიგების გაბათილება იმ საფუძველით, რომ იგი დადებულია მოტყუების, ძალადობის, მუქარის ან მძიმე მდგომარეობის დამთხვევის შედეგად, მაგრამ ყველა ამ და მსგავს შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადასტუროს ამ საფუძვლების არსებობა.

**IV. საცხოვრებელი სადგომის გაცვლის გაფორმება.** საცხოვრებელი სადგომის გაცვლის მსურველს განცხადება შეაქვს გაცვლის ბიუროში (ან იმ ორგანოში, რომელიც ბიუროს ფუნქციებს ასრულებს). განცხადების მიღება შეუზღუდველად ხდება და არცერთ ამ ორგანოთაგანს უფლება არა აქვს უარი თქვას მათ მიღებაზე.

გაცვლა შეიძლება, როგორც ქალაქთაშორის, ისე ქალაქს შიგნით, თბილისში ქალაქთაშორის და ქალაქის სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებთა შორის გაცვლას აწესრიგებს საქალაქო საბჭოსთან არსებული საბინაო განყოფილების ბინების გაცვლის ბიურო. რაიონებში კი — მათი შესაბამისი ორგანოები.

საცხოვრებელი სადგომის გაცვლის შესახებ განცხადების შეტანა შეუძლია ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრს, რომელსაც ბინის (ოთახის) სარგებლობის უფლება აქვს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1965 წლის 30 დეკემბრის ინსტრუქცია, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან, დანართში განსაზღვრავს დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა საცხოვრებელი ფართობის გაცვლისათვის.

გასაცვლელი საცხოვრებელი ფართობის უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად სადგომის გაცვლის ნებართვა ფორმდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სათანადო ორგანოში (კომუნალური მეურნეობის განყოფილება, საბინაო სამმართველო და სხვ.) გაცვლითი ორდერით.

გასაცვლელი ორდერები მხარეებმა უნდა მიიღონ ერთი თვის ვადაში, დღიდან გაცვლის ნებართვაზე შეტყობინების მიღებიდან.

დადგენილ ვადაში თუნდაც ერთი მხარის მიერ გასაცვლელი ორდერის მიუღებლობა, გაცვლას ძალადაკარგულად აქცევს.

გამცვლელი მხარეები მოვალენი არიან გადასვლამდე გადასცენ სათანადო სახლმმართველობებს ხელწერილის ქვეშ გასაცვლელი ორდერები, რომლებიც წარმოადგენენ ერთადერთ კანონიერ საფუძველს გაცვლილი საცხოვრებელი სადგომის დაკავებისათვის.

მხარეები ვალდებული არიან გასაცვლელი საცხოვრებელი სადგომების

დაქირავების ხელშეკრულებებზე გააკეთონ წარწერა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ყველა უფლებისა და ვალდებულების გადაცემისა და თავისთავზე აღების შესახებ. ამ აღნიშვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვემოქირავანებთან მოსალოდნელი დავის გადაწყვეტის დროს.

აღმასკომის მიერ გაცემული გასაცვლელი ორდერის გარეშე ჩასახლებული პირები ითვლებიან თვითნებურად ჩასახლებულად და ადმინისტრაციულ წესით გამოსახლებას ექვემდებარებიან.

გასაცვლელი ორდერი მათი მხარების მიერ მიღების შემდეგ მხოლოდ სასამართლოს მიერ შეიძლება გაბათილდეს. თუ ორდერი ბათილად იქნება ცნობილი, მაშინ ამ ორდერით მიღებულ საცხოვრებელ სადგომში მცხოვრები ყველა მოქალაქე ექვემდებარება სასამართლოს წესით გამოსახლებას, სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. თუ ორდერში ნაჩვენები მოქალაქენი საცხოვრებელი სადგომების დაქირავების ხელშეკრულებით სარგებლობდნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერატიული ან საზოგადოებრივი ორგანოების სახლებში, მაშინ მათ უნდა მიეცეთ საცხოვრებელი სადგომები, რომლებიც ეკავათ ადრე, ან სხვა საცხოვრებელი სადგომები.

არა მარტო დაინტერესებულ პირებს, არამედ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის საბინაო-კომუნალურ ორგანოებს, ან შესაბამისად სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ სასამართლოს მეშვეობით მოითხოვონ საცხოვრებელი სადგომის გაცვლის უკანონოდ ცნობა.

დამქირავებელს უფლება აქვს სხვა დამქირავებლის ან საბინაო ორგანოს უარი გაცვლაზე გასაჩივროს სასამართლოში. გამონაკლისს წარმოადგენს მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლები. პირადი მესაკუთრის უარი საბოლოოა და იგი არ გასაჩივრდება სასამართლოში.

სასამართლოს, როცა იხილავს დამქირავებლის სარჩელს ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართ კი არ გამოაქვს გადაწყვეტილება საცხოვრებელი სადგომის გაცვლაზე, არამედ ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების კანონიერებას. სასამართლო იხილავს ურთიერთობის მთელ კომპლექსს და არ კმაყოფილდება უარის ფორმალური საფუძვლის აღნიშვნით. სასამართლო ადგენს რამდენად ემყარება კანონიერ საფუძველს უარი გაცვლაზე. ამასთან სასამართლოს გადაწყვეტილება როდი ასრულებს ორდერის მაგვირობას. ასეთი ორდერი უნდა გასცეს აღმასკომმა.

დავა სასამართლოს არ ექვემდებარება თუ ადგილი აქვს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 320-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, როცა საცხოვრებელი ფართობის გაცვლა არ შეიძლება.

**V. ე. წ. „იძულებითი გაცვლის“ შესახებ.** საცხოვრებელი სადგომის გაცვლა მხარეთა და დაინტერესებულ პირთა ნების გამომჟღავნებით და სათანადო ორგანოს თანხმობით ხდება. ამასთან იძულებით გადაყვანას (გამოსახლებას) ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით ცალკეულ პირებს (მაგალითად, ყოფილ მეუღლეს) საშუალება ეძლევა ჩაშალოს საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ორთავე მხარისათვის ხელსაყრელი ვარიანტი. სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია აიძულოს მხარე დაეთანხმოს ხელსაყრელ გადაცვლას. გაცვლის ეს სახე, როგორც სწორად არის შენიშ-

ნული ცივილისტურ ლიტერატურაში, არ უნდა ავუროთ იმ იძულებით გაცვლაში, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილითაა გათვალისწინებული<sup>10</sup>.

ოჯახის წევრ-თანადაქირაავებელთა უარის გამო სასამართლოს დავა სრულიადაც არ იწვევს რაიმე სანქციას იმ პირთა მიმართ, რომელნიც უარს ამბობენ გაცვლაზე. მათი საბინაო პირობები, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლება შეილახოს.

სხვანაირი მდგომარეობა იქმნება იმ პირთა მიმართ, რომლებიც სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს ან სისტემატურად არღვევენ სოციალისტურ საერთო ცხოვრების წესებს და ამით სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთად ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას, ხოლო გაფრთხილება და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი შედეგს არ იძლევა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 326-ე მუხლით დამრღვევი დაქირაავებლისა და სხვა უფლებამოსილი პირების მოთხოვნით შეიძლება გასახლებულ იქნეს სასამართლოს წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. როგორც ვხედავთ კოდექსი არ ითვალისწინებს ამ პირთა საცხოვრებელი სადგომის იძულებით გაცვლას. ეს წესი შემუშავდა სასამართლო პრაქტიკამ, როგორც კიდევ ერთი გაფრთხილება უკიდურესი ღონისძიების — სხვა სადგომის მიუცემლად დამრღვევი პირის გამოსახლების გზაზე. სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული ეს წესი არ ეწინააღმდეგება კანონს და მისი გამოყენება ზოგჯერ შეიძლება ეფექტურიც აღმოჩნდეს<sup>11</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1964 წლის 25 მარტის დადგენილებაში მე-13 მუხლით გაითვალისწინა, რომ იმ პირს, რომლის ბრალეული მოქმედებით შეიქმნა ვითარება, როცა შეუძლებელი გახდა ერთად ცხოვრება, სასამართლომ შეიძლება დაავალოს განახორციელოს დაკავებული სადგომის გაცვლა სხვა სადგომზე, რომელზედაც მიუთითებს გაცვლის მსურველი მხარე.

ამგვარი იძულებითი გაცვლა უადრესად ლოკალური ხასიათისაა, ვინაიდან ითვალისწინებს საბინაო კონფლიქტის გადაწყვეტას დამრღვევის ბრალეული ქმედობის დროს. მისი გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ ზემოქმედების სხვა ზომები ამოწურულია. ამგვარ გაცვლას შეიძლება წინ უსწრებდეს მაგალითად, საცხოვრებელი ფართობის გაყოფა. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა გაყოფა სრულიადაც ვერ აქრობს მწვავე საბინაო კონფლიქტს და მხოლოდ საცხოვრებელი ფართობის გაყოფას და მის შემდეგ გაცვლას შეუძლია ერთობლივად უზრუნველყოს კონფლიქტის ამოწურვა<sup>12</sup>.

ამრიგად, იძულებით გაცვლას, ანუ სასამართლოს გადაწყვეტილებით საცხოვრებელი სადგომის გაცვლას ორი აუცილებელი პირობა უნდა ახლდეს:

<sup>10</sup> იხ. Научный комментарий судебной практики по гражданским делам за 1964—1965 гг., 1966, გვ. 141—142.

<sup>11</sup> სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა შეხედულება, რომ მიზანშეუწონელია საერთო ცხოვრების წესების დამრღვევის მიმართ იძულებითი გაცვლის გამოყენება, ვინაიდან ამით კონფლიქტი მხოლოდ ერთ ადგილას ისობა და ჩნდება საფრთხე მისი სხვა ადგილას გამწვავებისა. იხ. А. Г. Потюков. Жилищные споры в судебной практике 1962 г., გვ. 23.

<sup>12</sup> იხ. М. Г. Гурвич. Вопросы обмена жилой площади в судебной практике, ученые записки Пермского государственного университета, том XXIV, вып. 4, გვ. 146.



ერთი, დადგენილი ფაქტი, რომ მოპასუხე მართლაც ქმნის თავისი მოქმედებით ერთად ცხოვრების შეუძლებლობის ვითარებას<sup>13</sup> და მეორე თუ გაცვლის მომხრე მხარე მიუთითებს სასამართლოს საცხოვრებლად ვარგის სადგომზე, რომელზედაც შეიძლება მოხდეს გაცვლა.

მაშასადამე, სასამართლოს ევალება არა საერთოდ იძულებითი გაცვლის შესაძლებლობის, არამედ გაცვლის კონკრეტული ვარიანტის დადგენა. სასამართლომ უნდა განსაზღვროს გაცვლის ვადაც და გაცვლის კონკრეტული ობიექტიც.

იძულებითი გაცვლის წინადადება სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს იმ პირობით, რომ ამას შედეგად არ მოჰყვეს სხვა დამჭირავებელთა საბინაო პირობების გაუარესება. ამგვარი გაცვლა მხოლოდ ერთადერთი საფუძვლის — საერთო ცხოვრების წესების ბრალეული დარღვევის გამო ერთად ცხოვრების შეუძლებლობის დროს დაიშვება.

იძულებითი გაცვლა მართალია სანქციაა დამრღვევის მიმართ, მაგრამ იგი არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს საცხოვრებელი სადგომის გაცვლის იმ პირობების დაცვას, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსითა და ინსტრუქციითაა დადგენილი. სწორედ ამას ითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილების მე-15 მუხლი. ამიტომ გაცვლისათვის შეთავაზებული სადგომი საცხოვრებლად ვარგისი უნდა იყოს. ამასთან გაცვლის მსურველი მხარე უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება ხელსაყრელი ვარიანტი მოძებნოს გაცვლისათვის. ამიტომ როდი შეიძლება მოვიწონოთ მტკიცება, რომ „სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს სარჩელი იძულებითი გაცვლაზე დამოუკიდებლად იმისა რა ზომისაა და როგორაა კეთილმოწყობილი გადასაცვლელი საცხოვრებელი სადგომი“<sup>14</sup>. ამგვარი დასკვნა აშკარად ეწინააღმდეგება იმ მოთხოვნას, რომ იძულებითი გაცვლა ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების დაცვით უნდა მოხდეს.

სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებით გაცვლაზე არ ათავისუფლებს მხარეებს ეს ურთიერთობანი გააფორმონ გაცვლის შესახებ არსებული წესების შესაბამისად.

იძულებით გაცვლაზე გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო ადგენს გამოსახლების ვადას. თუ დამრღვევი პირი არ ასრულებს ამ მოთხოვნას, მაშინ იგი გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. ახალ სადგომზე გადასვლის ვადის განსაზღვრა მხოლოდ იმ პირობით შეიძლება მოხდეს, თუ არის კონკრეტული საცხოვრებელი ადგილი. ამიტომ არასწორია, როცა სასამართლო ადგენს იძულებით გაცვლის ვადას ისე, რომ არ მიუთითებს გაცვლის კონკრეტულ ვარიანტზე, ასევე არასწორია როცა საბინაო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სადგომის იძულებით გაცვლას სასამართლო საბინაო ორგანოებს ავალდებს.

<sup>13</sup> იხ. «Бюллетень Верховного суда СССР», 1963, № 4, გვ. 31—32.

<sup>14</sup> იხ. С. И. Асиназий, И. Л. Брауде, А. И. Пергамент, Жилищное право, 1956 г., гл. 154.

# თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ

უ. კოზიაშვილი

თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორიის წარმოშობა დაკავშირებულია ე. წ. კლასიკურ მიმართულებასთან ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში. ამ თეორიის თანახმად თანამონაწილეობის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ამსრულებელი და მხოლოდ მისი მოქმედებაა დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობის მქონე. რაც შეეხება სხვა თანამონაწილეობა მოქმედებებს, ისინი მოკლებულნი არიან დამოუკიდებელ იურიდიულ მნიშვნელობას და წარმოადგენენ მხოლოდ დამატებით, დამხმარე საქმიანობას<sup>1</sup>. გამომდინარე აქედან, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ის, რომ წამქეზებელი და დამხმარე მონაწილეობენ სხვის ქმედებაში და ამიტომ მათი საკუთარი საქმიანობა დამოუკიდებელ საქმიანობას არ წარმოადგენს, რის გამოც მათი პასუხისმგებლობაც დაკავშირებულია და დამოკიდებული, ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის ხასიათი და მოცულობა განსაზღვრავს დანარჩენ თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის ხასიათსა და მოცულობას. მაშასადამე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის დედააზრი მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ თანამონაწილეობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. სამართლიანად შენიშნავდა ა. ნ. ტრაინინი, რომ თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის აღიარება ნიშნავს თანამონაწილეობაზე დაუკავშირო ამსრულებლის ბედს<sup>2</sup>.

გამომდინარე აქედან საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად უარყოფილია თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორია, რაც ძირითადად იმ არგუმენტზეა დაფუძნებული, რომ ამ თეორიის დებულებები ეწინააღმდეგებიან პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და მხოლოდ საკუთარი მოქმედებისათვის, პირადი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპებს.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში განასხვავებენ აქცესორულობის სხვადასხვა ფორმებს (თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის ჰიპერაქცესორულ, უკიდურეს, ლიმიტირებულ და მინიმალურ აქცესორულობის ფორმებს). ამიტომ, თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორიის უარყოფა ნიშნავს, უარყო თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის ყოველგვარი დამოკიდებულება ამსრულებლის მოქმედებისა და მისი პასუხისმგებლობისაგან და აღიარო მისი დამოუკიდებელი ხასიათი. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში კი კრიმი-

1 თვით სიტყვა აქცესორული ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დამატებითს.

2 А. Н. Трайнин. Учение о соучастии, М., 1941, стр. 124.

ნალისტთა უმრავლესობა ერთის მხრივ უარყოფს თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას, ხოლო მეორეს მხრივ თვით საკითხის ზოგადი დაყენების შემთხვევაშიც კი აკეთებენ დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ამ თეორიიდან. სწორად აფასებს მათ პოზიციას პროფ. თ. წერეთელი, რომელიც თვლის, რომ ამ კრიმინალისტების კრიტიკა არსებითად მიმართულია თანამონაწილეობის ე. წ. ჰიპერაქცესორული თეორიის წინააღმდეგ<sup>3</sup>, რომელიც აღიარებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან, ამ უკანასკნელის პირადი თვისებებით დამძიმებული პასუხისმგებლობის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე ზეგავლენის გავებითაც კი.

ასე მაგალითად, მ. შნეიდერი ერთის მხრივ კატეგორიულად უარყოფს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორულ თეორიას, ხოლო მეორეს მხრივ მიუთითებს, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამსრულებლის მოქმედებას არ ენიჭება მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების განსაზღვრისათვის<sup>4</sup>.

ასეთივე წინააღმდეგობას ვხვდებით ვ. ს. პროხოროვთანაც. მიუთითებს რა, რომ თანამონაწილეობა თავისი იურიდიული მნიშვნელობით დამოუკიდებელია და არა აქცესორული, იგი ამასთან ერთად თვლის, რომ ერთის მხრივ წამქეზებლების და დამხმარეთა, ხოლო მეორეს მხრივ ამსრულებლის მოქმედებას შორის არსებობს გარკვეული კავშირი, რომელიც განაპირობებს პირველთა პასუხისმგებლობის მოცულობის დამოკიდებულებას ამსრულებლის მოქმედების ხასიათისაგან<sup>5</sup>.

თუ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების განსაზღვრა ხდება ამსრულებლის მოქმედების მიხედვით, თუ მათი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედების ხასიათზე, ეს სხვა არაფერია, თუ არა თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის აღიარება.

მ. ა. გელფერი ჩეხოსლოვაკიელი კრიმინალისტი<sup>6</sup> ვ. სოლნარჟის თანამონაწილეობისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორს უსაყვედურებს, რომ იგი ერთის მხრივ დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კანონმდებლობამ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა აქცესორულობის პრინციპს, ხოლო მეორეს მხრივ ამტკიცებს, რომ ჩეხოსლოვაკიის კანონმდებლობაში ეს პრინციპი მოქმედებს რაღაც შეზღუდულ ფარგლებში. მ. ა. გელფერი თვლის, და ვფიქრობთ სამართლიანადაც, რომ პრინციპი შეიძლება ცნობილ იქნეს ასეთად, თუ იგი მოქმედებს სრული მოცულობით. თუ კანონმდებლობა მისგან აკეთებს არსებით გამონაკლისებს, მაშინ არ შეიძლება მტკიცება, რომ მოცემული პრინციპი ახასიათებს ამ კანონმდებლობას<sup>6</sup>. მაგრამ როცა თვითონ განიხილავს ამ საკითხს, იგი ერთის მხრივ უარყოფს აქცესორულობის პრინციპს, ხოლო მეორეს მხრივ თვლის, რომ ამ პრინციპზე უარს თქმა არ ნიშნავს, რომ ამსრულებლის მოქმედებას არ ეძლევა განსაზღვრული მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგ-

<sup>3</sup> თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 74.

<sup>4</sup> М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 66.

<sup>5</sup> В. С. Прохоров, вопросы теории соучастия в советском уголовно-правовой литературе, «Правоведение», 1962, № 2, стр. 126—127.

<sup>6</sup> В. Солнарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики, М., 1962, стр. 14.

ლების დადგენისათვის<sup>7</sup>. ჩვენი აზრით, ეს უკვე თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპიდან არსებითი გამონაკლისის გაკეთება კი არ არის მხოლოდ (რაც თვით მ. ა. გელფერის მიხედვით უკვე ნიშნავს იმას, რომ ეს პრინციპი არ ახასიათებს კანონმდებლობას), არამედ ფაქტიურად აქცესორულობის პრინციპზე დადგომაა, რადგან ამ უკანასკნელის ამოსავალი დებულება სწორედ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ასეთ დამოკიდებულ ხასიათის აღიარებაში მდგომარეობს.

სავსებით სამართლიანად მიუთითებს პროფ. თ. წერეთელი იმ ავტორების მსჯელობის არათანამიმდევრობაზე, რომლებიც ერთის მხრივ თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის წინააღმდეგ ილაშქრებენ და ამავე დროს უშედეგო თანამონაწილეობის შემთხვევებში მოითხოვენ პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის<sup>8</sup>. თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის უარყოფა და ამის პარალელურად წამქეზებლის და დამხმარის მოქმედებათა განხილვა თანამონაწილეობად ან მომზადებად იმასდა მიხედვით, დაიწყო თუ არა ამსრულებელმა დანაშაულის ფაქტიური განხორციელება, ნიშნავს ზოგადად უარყო აქცესორული თეორია, ხოლო პასუხისმგებლობის კონკრეტული საკითხების განხილვისას გამოხვიდე ამ თეორიის დებულებებიდან.

ასეთ წინააღმდეგობებს ადგილი აქვს სხვა საბჭოთა კრიმინალისტების შრომებშიც.

უკანასკნელ პერიოდში მ. ი. კოვალიოვმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის ცნობა და რომ ეს თეორია უსაფუძვლოდაა უარყოფილი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში<sup>9</sup>. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა ვ. ა. ვლადიმიროვის მიერ<sup>10</sup>, ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ იგივე პოზიცია დაიკავა პროფ. თ. წერეთელმა<sup>11</sup>.

რასაკვირველია, თვით ეს ავტორებიც უარყოფენ თანამონაწილეობის ე. წ. ჰიპერაქცესორულ თეორიას და გამომდინარე აქედან იმას, თითქოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა და მათი დასჯადობის ოდენობა მთლიანად და აუცილებლად იყო დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე და მისი დასჯადობის ოდენობაზე, მაგრამ ისინი მართებულად და მისაღებად თვლიან ისეთ აქცესორულობას, „რომლის დროსაც თანამონაწილის პასუხისმგებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამსრულებელმა დანაშაული ჩაიდინა, ე. ი. როდესაც იგი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად“<sup>12</sup>. მაგრამ, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება, როგორც არ უნდა განმარტო იგი, ნიშნავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის

<sup>7</sup> М. А. Гельфер, Основные черты уголовного права зарубежных социалистических государств. Автореферат докторской диссертации, М., 1965, стр. 47—48.

<sup>8</sup> თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 79.

<sup>9</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. I, Свердловск, 1960, стр. 98.

<sup>10</sup> В. А. Владимиров, Рецензия на книгу М. И. Ковалева «Соучастие в преступлении», ч. I, Свердловск, 1960, «Советское государство и право», 1961, № 5.

<sup>11</sup> თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 71—84.

<sup>12</sup> თ. წერეთელი, იქვე, გვ. 74.

დამოკიდებულების აღიარებას ამსრულებლის პასუხისმგებლობასთან. ამიტომაც რომ პროფ. თ. წერეთელი განმარტავს რა აქცესორულობას, მიუთითებს, რომ „თანამონაწილობის აქცესორული ბუნება გულისხმობს იმას, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის შესრულებაზე. თანამონაწილენი პასუხს აგებენ დამთავრებული დანაშაულისათვის, თუ ამსრულებელმა დამთავრებული დანაშაული ჩაიდინა, ისინი პასუხს აგებენ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, თუ ამსრულებლის მოქმედება მცდელობის ან მომზადების სტადიაზე შეჩერდა... ხოლო თუ ამსრულებელს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, თანამონაწილეობას ადგილი არ ექნება“<sup>13</sup>.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხში არსებითად იმავე პოზიციას იკავებს ზოგიერთი ის ავტორიც, რომელიც პრინციპულად უარყოფს თანამონაწილეობის აქცესორულობას<sup>14</sup>.

გფიქრობთ, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან ისეთი დამოკიდებულების აღიარება, რომლის მიხედვით თანამონაწილეთა მოქმედებების იურიდიული შეფასება და კვალიფიკაცია განისაზღვრება იმით, თუ რა სტადიაზე შეწყდა ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედება, ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და მხოლოდ საკუთარი მოქმედებისათვის, პირადი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპებს. ეს პრინციპები კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუძემდებელ პრინციპებს წარმოადგენენ და მათ მცირეოდენმა დარღვევამაც კი არ შეიძლება ზიანი არ მოუტანოს სოციალისტური კანონიერების ზუსტად და განუხრელად განხორციელების საქმეს.

მას შემდეგ, რაც თანამონაწილეებმა განახორციელეს თავიანთი მიზანდასახული მოქმედება, ხელი შეუწყვეს დანაშაულს ანუ ამოსწორეს თავიანთი როლი თანამონაწილეობაში, ის, რაც შემდეგ მოხდება დანაშაულის განვითარებაში მათი სუბიექტური მოსაზრებებისაგან დამოუკიდებლად და ობიექტური მონაწილეობის ვარეშე, გავლენას არ უნდა ახდენდეს მათ პასუხისმგებლობაზე. ყველა იმ შემთხვევაში, როცა თანამონაწილეთა მოქმედებანი უკვე გახდნენ კონკრეტული დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორები, სახეზეა ამ დანაშაულში თანამონაწილეობა, და მათი მოქმედების იურიდიული შინაარსი არ იცვლება იმით, შესძლო ამსრულებელმა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოახერხა ეს.

რაც შეეხება უშუალოდ თანამონაწილეობას, ე. ი. ისეთ შემთხვევებს, როდესაც მიუხედავად თანამონაწილეთა ზემოქმედებისა, ამსრულებელმა საერთოდ არ ჩაიდინა გათვალისწინებული დანაშაული, იგი ავტორთა უმრავლესობის მიერ და სასამართლო პრაქტიკაშიც მართლაც განიხილება არა როგორც თანამონაწილეობა, არამედ როგორც მომზადება იმ დანაშაულისა, რომელიც უნდა შესრულებინა ამსრულებელს. მაგრამ უკანასკნელი პერიოდის საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ არგუმენტირებული მოსაზრებანი იქნა წამოყენებული უშუალოდ თანამონაწილეობის დანაშაულის მომზადებად მიჩნევის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, ა. ნ. სანტალოვი, განიხილავს რა სპეციალური სუბიექ-

<sup>13</sup> თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 17.

<sup>14</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 124; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву. М., 1958, стр. 66.

ტის შემცველ დანაშაულში უშედეგო თანამონაწილეობის საკითხს, ხაზს უსვამს იმ შეუსაზამობას, რომ ერთის მხრივ მომზადებისათვის საჭიროა ისეთივე სუბიექტი, როგორც დამთავრებული დანაშაულისათვის, ხოლო მეორეს მხრივ უშედეგო თანამონაწილეობა განიხილება, როგორც მომზადება. ასეთ შემთხვევებში გამოვა, რომ არასამხედრო პირი პასუხისგებაში მიეცეთ სამხედრო დანაშაულის მომზადებისათვის, არათანამდებობის პირი თანამდებობრივი დანაშაულის მომზადებისათვის და ა. შ.<sup>15</sup>

მ. ი. კოვალიოვი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამონაწილეობის აქცესორულობის მომხრეა, ვერ უარყოფს, რომ სპეციალური სუბიექტის შემცველ დანაშაულში უშედეგო თანამონაწილეობის დროს პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს დანაშაულის მომზადებისათვის. გამოსავალს იგი იმაში პოულობს, რომ მომზადება ასეთ სიტუაციაში თითქოს მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას<sup>16</sup>. გამოდის, რომ თუ მაგალითად საქმე გვაქვს ქურდობის უშედეგო წამქეზებლობასთან, ასეთი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია, ხოლო მაგალითად, დეზერტირობის უშედეგო წამქეზებლობის შემთხვევაში მოქმედება მოკლებულია ასეთ საშიშროებას.

გარდა ამისა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არის შეხედულება, რომელიც თვლის, რომ არის განზრახ დანაშაულთა შემადგენლობის გარკვეული კატეგორია, რომელთაც არ გააჩნიათ მომზადების სტადია<sup>17</sup> (უმოქმედობით ჩადენილი „ფორმალური“ დანაშაული, სადაც მთლიანად შემადგენლობა პირველივე აქტით ხორციელდება). თანამონაწილეობა კი შესაძლებელია ყველა განზრახ დანაშაულში. თუ უშედეგო თანამონაწილეობას დანაშაულის მომზადებად მივიჩნევთ, მაშინ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში თანამონაწილეებმა ან პასუხი უნდა აგონ ისეთი დანაშაულის მომზადებასათვის, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია მომზადების სტადია ან საერთოდ უნდა განთავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან.

აღიარებს, რა თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას და ახასიათებს რა მის არსს, მ. ი. კოვალიოვი მიუთითებს, რომ ამ თეორიის არსი იმ უცილობელთ ფაქტის აღიარებაში მდგომარეობს, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გარკვეული პირობები და ფორმები შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელმა შეასრულა თანამონაწილეთა მიერ მოფაქრებული დანაშაულის შემადგენლობა ან, უკიდურეს შემთხვევაში დაიწყო მისი შესრულება<sup>18</sup>.

ჩვენი აზრით, დებულება, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა, არ არის სწორი. თანამონაწილეობა, კერძოდ, წამქეზებლობა, როგორც სუბიექტის ქცევის კონკრეტული აქტი; იწყება და მთავრდება კიდევ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პიროვნება, როგორც მომავალი დანაშაულის ნაგულისხმევი ამსრულებელი, ჯერ კიდევ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ამსრულებლად, რამდენადაც არ შესდგომია დანაშაულის ფაქტიურ განხორციელებას. სუბიექტი ამსრულებელი არ არის არა მარტო მაშინ, როდესაც დამთავ-

<sup>15</sup> А. Н. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, «Правоведение», 1960, № 1, стр. 104.

<sup>16</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, стр. 184—185.

<sup>17</sup> Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 73; И. С. Тишкевич, приготовление и покушение по уголовному праву, М., 1958, стр. 205—206; А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 518—519

<sup>18</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. I, 1960, стр. 98—99.

რდა მის ნებაზე წამქეზებლობითი ზემოქმედება, არამედ მაშინაც კი, როდესაც ამ ზემოქმედების შედეგად მან უკვე მიიღო დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, მაგრამ მის სარეალიზაციოდ რაიმე ფაქტიური ღონისძიების განხორციელებას ჯერ არ შესდგომია.

ამიტომ წამქეზებლის მოქმედების იურიდიული შეფასების, კერძოდ, მისი ევალიფიკაციის და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის ფარგლების დაკავშირება, იმასთან დაიწყებს თუ არა ამსრულებელი დანაშაულის შესრულებას და, თუ დაიწყებს, შესძლებს ან მოისურვებს თუ არა მის ბოლომდე მიყვანას, არაფრით არ მიგვაჩნია გამართლებულად.

ამასთან, თანამონაწილობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საერთოდ არ არის ამსრულებელი. მაგალითად, როდესაც ვინმე ფიქრობს, რომ დანაშაულის ჩასადენად აქეზებს ან მის ჩადენაში დახმარებას უწევს სულიერად ჯანსაღს და ეს უკანასკნელი სულით ავადმყოფი აღმოჩნდება, მაშინ დანაშაულის ფაქტიურად განხორციელების შემთხვევაში წამქეზებელი ან დამხმარე პასუხს აგებენ როგორც თანამონაწილენი, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ამსრულებელი. აქცესორული თეორიის მომხრეთა თვალსაზრისით ეს თითქოს არ ეწინააღმდეგება აქცესორულობის პრინციპს, რამდენადაც ასეთი პირი ობიექტურად ამსრულებლის როლს ასრულებს, ხოლო სუბიექტურად წამქეზებელი ან დამხმარეა და ამიტომ, ამ სუბიექტური მომენტის გამო, ბრალის სისხლისსამართლებრივ დებულებათა საფუძველზე იგი მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც თანამონაწილე<sup>19</sup>.

რახეც არ უნდა დავამყაროთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ობიექტურ თუ სუბიექტურ მომენტზე, თუ მათ ერთიანობაზე, ერთი რამ ცხადია, რომ პასუხისმგებლობა დგება თანამონაწილეობისათვის, მაშინ როცა ამსრულებელი არ არის.

ამიტომ აქცესორული თეორიის არაი იმაში კი არ მდგომარეობს, თითქოს ამსრულებლის გარეშე არ იყოს თანამონაწილეობა, არამედ იმაში, რომ ეს თეორია აღიარებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გარკვეულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორია, ეს არის თეორია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველის, ამ პასუხისმგებლობის მოცულობის, პირობებისა და ფარგლების შესახებ. მართლაც, თუ თანამონაწილეთა მოქმედებანი დამატებითი ხასიათისაა, თუ ცენტრალურ ფიგურას ამსრულებელი წარმოადგენს, რომლის მოქმედების ფაქტიურ ხასიათზეცაა დამოკიდებული სხვა თანამონაწილეთა მოქმედებების იურიდიული შეფასება, მაშინ ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ამსრულებლის მოქმედება და დანაშაულის ის შემადგენლობა, რომელიც ამ მოქმედებით ხორციელდება. თვით პროფ. თ. წერეთელიც მიუთითებს, რომ აქცესორულობა ნიშნავს იმას, რომ „როგორც წესი თანამონაწილე პასუხს აგებს იმავე შემადგენლობის მიხედვით, რომლითაც პასუხისმგებელია ამსრულებელი და იმავე სანქციის ფარგლებში, რომლითაც კანონი ამსრულებლის მოქმედებას ემუქრება“<sup>20</sup>. მაგრამ, ვინაიდან თანამონაწილენი თავიანთი უშუალო მოქმედებით არ ასრულებენ დანაშაულის ამ შემადგენლობას, რომლითაც პასუხისმგებელია ამსრულებელი, ხოლო პასუხს კი ამ შემადგენლო-

19 თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 82.

20 თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 83.

ბისათვის აგებენ, მართებულად მიგვაჩნია ვ. ს. პროხოროვის შენიშვნა, რომ აქცესორულობა ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ძვეს მათ მიერ ჩადენილი ქმედობის ფარგლებს გარეთ<sup>21</sup>. მაშასადამე, თუ აქცესორული თეორიიდან თანმიმდევრულ ლოგიკურ დასკვნას გავაკეთებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ძვეს არა მათ საკუთარ, არამედ სხვის, კერძოდ, ამსრულებლის მოქმედებაში, რაც თავის მხრივ ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამ თეორიის წინააღმდეგობას მხოლოდ საკუთარი მოქმედებისა და პირადი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპთან. ამასთან, თუ პროფ. თ. წერეთლის მიერ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათის აღიარება გარკვეულად ეთანხმება მისსავე დებულებას იმის შესახებ, რომ თანამონაწილენი პასუხს აგებენ შემადგენლობისათვის, რომელსაც უშუალოდ ამსრულებელი ახორციელებს, გაუგებარია მ. ი. კოვალიოვის პოზიცია, რომელიც ერთის მხრივ აღიარებს თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას, ხოლო მეორეს მხრივ ცდილობს დასაბუთოს, რომ თანამონაწილეებს აქვთ პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი, ამსრულებლის მოქმედებაში არსებულ შემადგენლობისაგან განსხვავებული საფუძველი, კერძოდ, დანაშაულის ზოგადი შემადგენლობა. თუ თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აქვს დამოუკიდებელი, ამსრულებლის მოქმედებაში არსებული დანაშაულის შემადგენლობისაგან განსხვავებული საფუძველი, მაშინ რაშიც არ უნდა გამოხატოს ეს უკანასკნელი, თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიისაგან აღარაფერი რჩება.

თუ აქცესორულობა ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს დანაშაულის იმ შემადგენლობისათვის, რომლითაც პასუხისმგებელია ამსრულებელი და იმავე საწყისის ფარგლებში, რომლითაც კანონი ამსრულებლის მოქმედებას ემუქრება, მაშინ აქედან გარდუვალად გამომდინარეობს დასკვნა მათი მოქმედებების ერთნაირი კვალიფიკაციის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე სწორად შენიშნავს პროფ. მ. დ. შარგოროდსკი, რომ აქცესორული თეორიის თანახმად თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით, რომელიც ამსრულებლის ქმედობას ითვალისწინებს.

ამასთან დაკავშირებით თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების საწინააღმდეგოდ მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ერთის მხრივ ამსრულებლის, ხოლო მეორეს მხრივ თანამონაწილეთა მოქმედების კვალიფიკაცია ყოველთვის და აუცილებლად როდი ხდება სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იგივე მუხლით. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად გვხვდება შემთხვევები ამსრულებლისა და თანამონაწილეთა მოქმედებების სხვადასხვა მუხლებით დაკვალიფიცირებისა. ამსრულებლისა და სხვა თანამონაწილეთა მოქმედებების განსხვავებულ კვალიფიკაციას ანუ ე. წ. შემადგენლობათა გათიშვას ადგილი აქვს ამსრულებლის ექსცესის დროს. მაგალითად თუ ა-მ წააქეზა ბ ქურდობისათვის, ამ უკანასკნელმა კი ჩაიდინა ყაჩაღობა, მაშინ ა. პასუხს აგებს ქურდობის წამქეზებლობისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-

<sup>21</sup> В. С. Прохоров. Вопросы теории соучастия в советском уголовно-правовой литературе, «Правоведение», 1962, № 2, стр. 126.

<sup>22</sup> М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения и соучастия, «Правоведение», 1960, № 1, стр. 87.



დექსის 19—150 მუხლებით, ხოლო ბ. ყაჩაღობისათვის ამავე კოდექსის 152 მუხლით. შემადგენლობათა გათიშვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმის მიხედვით, თუ რა მიზნით მოქმედებს თითოეული თანამონაწილე. მაგ. თუ ა. წააქეზებს ბ—ს სოციალისტური ქონების განადგურებისათვის და ამასთან მოქმედებს საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით რაც ბ-სათვის ცნობილი არ არის, მაშინ ა. პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—69 მუხლებით, დივერსიის წამქეზებლობისათვის, ხოლო ბ. ამავე კოდექსის მე-100 მუხლით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის.

ასეთ გათიშვას ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორცაა შემადგენლობით გათვალისწინებული რომელიმე თანამონაწილისათვის დამახასიათებელი რაიმე პირადი ინდივიდუალური თვისება (მაგ. რეციდივისტი), დანაშაულის მოტივი, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, საშუალება და სხვ. თუ ყველა ამ შემთხვევებში შესაძლებელია თანამონაწილეთა და ამსრულებლის მოქმედებათა განსხვავებული კვალიფიკაცია, ძნელია ეს შემთხვევები ჩასთვალო გამოჩაქვას და წესად აღიარო, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს იმ შემადგენლობისათვის, რომლისთვისაც პასუხისმგებელია ამსრულებელი. ამასთან დაკავშირებით, ჩვენის აზრით, სწორად მიუთითებს პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლისთვისაც ხელშეწყობა ან წამქეზებლობა შედიოდა მის განზრახვაში. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევები, როდესაც თანამონაწილის განზრახვით მოცული და ამსრულებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული დანაშაული ემთხვევა ერთმანეთს, რაც თავის ასახვას ერთნაირ კვალიფიკაციაში პოულობს, მაგრამ ეს არ არყვეს წინა დებულების სისწორეს და ასეთი შემთხვევები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მისგან გამოჩაქვას, რადგან ამ დროს თანამონაწილეთა განზრახვაში შედის სწორედ იმ დანაშაულისათვის ხელისშეწყობა, რომელიც ფაქტიურად განხორციელა ამსრულებელმა.

გამომდინარე აქედან, თუ თანამონაწილე, როგორც წესი, პასუხს აგებს იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც შედიოდა მის განზრახვაში და არა იმისათვის, რაც ფაქტიურად ამსრულებელმა ჩაიდინა, მაშინ არც ეს უკანასკნელი და არც მასში არსებული შემადგენლობა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მის პასუხისმგებლობას, რაც თავის მხრივ ამ პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ და არა აქცესორულ ხასიათზე მიუთითებს.

მიუხედავად თანამონაწილეობის აქცესორული თეორიიდან გამომდინარე დასკვნების მიუღებლობისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობა ერთის მხრივ უარყოფს ამ თეორიას, ხოლო მეორეს მხრივ ვერ იჩენს თანამიმდევრობას და არ მიდის თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარებამდე, რაც ფაქტიურად აქცესორული თეორიის პოზიციიზე დადგომას ნიშნავს და რამაც მისცა საფუძველი სწორედ მ. კოვალისკის და თ. წერეთელს გაეკეთებინათ დასკვნა, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში მონაწილეობა აქცესორულ ხასიათს ატარებს.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა და პოზიციითა გაურკვევლობა გაპირობებულია იმით, რომ თანამონაწილეთა მოქმედებებისათვის დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობის მინიჭების ცდა თავის დროზე აქცესორული თეორიის



მომხრეთა მიერ განიხილებოდა, როგორც საერთოდ უარის თქმა თანამონაწილეობის ინსტიტუტზე. თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია წარმოიშვა აქცესორული თეორიის წინააღმდეგობათა დაძლევის მოთხოვნის საფუძველზე. ისევე, როგორც ყველა ახალი თეორია, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიაც, რასაკვირველია, არ იყო საკმაოდ დახვეწილი და თავისუფალი ზოგიერთი ლოგიკური წინააღმდეგობებისაგან. ამასთან, ამ თეორიის წარმოშობა, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია სოციოლოგიურ მიმართულებასთან ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში, რომლის ამოსავალი დებულება მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს დასჯითი მოღვაწეობის ობიექტს წარმოადგენს არა სუბიექტის რომელიმე კონკრეტული მავნე მოქმედება, არამედ თვით პირის საშიში მდგომარეობა, გამოვლინებული რაიმე გარეგნულ აქტში.

ბუნებრივია, თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიაც, რომელიც დაფუძნებული იყო რეაქციულ სოციოლოგიურ მიმართულებაზე, განიხილებოდა ამ მიმართულების ამოსავალ დებულებათა პრიზმაში და რეაქციულ ელფერს აძლევდა თვით ამ თეორიას. მაგალითად, ამ თეორიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ი. ა. ფონინციკი აღნიშნავდა, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი უფრო მარტივად და სწორად გადაწყდება, თუ უარს ვიტყვით დავინახოთ რამდენიმე პირის მოქმედებაში ერთი დანაშაულებრივი ქმედობა და ამოსავალ დებულებად ავიღებთ იმას, რომ სახელმწიფოს დასჯითი ხელისუფლების საგანი არის არა ქმედობა, არამედ თვით ადამიანი, მისი დანაშაულებრივი ფსიქიკური მდგომარეობით, რომელიც ექვემდებარება დასჯით ღონისძიებებს იმდენად, რამდენადაც ეს მდგომარეობა გამოიხატა გარეგნულ გარეგან გამოვლინებაში<sup>24</sup>.

სწორედ შენიშნავს პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი, რომ კრიმინალისტი-სოციოლოგები ობიექტურ მომენტს — დანაშაულებრივ ქმედობას აძლევდნენ მხოლოდ სიმბტომატურ მნიშვნელობას, პიროვნების საშიშროების მაჩვენებლის მნიშვნელობას. აქედან ისინი აკეთებდნენ დასკვნას, რომ რამდენადაც წამქეზებელმა ან დამხმარემ საკუთარი ქცევით გამოავლინა თავისი საშიშროება ამდენად თითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ დამნაშავეს<sup>25</sup> ე. ი. ფაქტიურად კრიმინალისტი სოციოლოგები თანამონაწილეს განიხილავდნენ დამოუკიდებელ დამნაშავედ.

რასაკვირველია, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის სოციოლოგიური მიმართულების იმ მცდარ ამოსავალ დებულებაზე დაფუძნება, რომ დასჯითი პოლიტიკის საგანს წარმოადგენს პიროვნების საშიში მდგომარეობა და რომ მოქმედება მხოლოდ ამ მდგომარეობის მაჩვენებელია, იწვევდა არა მარტო ამსრულებლის მოქმედების მნიშვნელობის უარყოფას თანამონაწილეთა მოქმედებების საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის, არამედ თვით ამ უკანაქნელთა მნიშვნელობის უარყოფასაც და საბოლოო ჯამში თანამონაწილეობის ინსტიტუტის საჭიროებაზე უარის თქმასაც. მაგრამ, ასეთი დასკვნა გამომდინარეობდა არა თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუ-

<sup>24</sup> И. Я. Фионицкий, Уголовно-правовая доктрина о соучастии, «Юридический вестник», 1891, том VII, кн. I, стр. 17.

<sup>25</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 612—613.

ხისმგებლობის თეორიის არსიდან, არამედ იქიდან, რომ ეს თეორია ემყარებოდა სოციოლოგიური მიმართულების მცდარ დებულებებს.

თვით თეორიის თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობისა, ჩვენის აზრით, საესებით შეეფერება რეალურ სინამდვილეში არსებულ ვითარებას და საყოველთაოდ აღიარებულ ზოგად სისხლისსამართლებრივ პრინციპებს.

სწორად ესმოდა რევოლუციამდელ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ამ თეორიის არსი ნ. ს. ტიმოშევეს. იგი აღნიშნავდა, რომ ახალი თეორიის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილეობის საშუალებით იქმნება ზოგიერთი დამატებითი შემადგენლობანი, რომელთა განხორციელებისათვისაც აუცილებელი და საკმარისია იგივე ზოგადი პირობები, რაც განსაკუთრებულ ნაწილში უშუალოდ გათვალისწინებულ შემადგენლობათა კონკრეტიზაციისათვის<sup>26</sup>. მაშასადამე, ამ თეორიის არსი იმის მოთხოვნაში კი არ მდგომარეობს, რომ გაუქმდეს თანამონაწილეობის ინსტიტუტი, არამედ იმაში, რომ დაზუსტდეს ამ ინსტიტუტის ნამდვილი, რეალური შინაარსი და დანიშნულება. ამის თაობაზე სწორად აღნიშნავდა იგივე ნ. ს. ტიმოშევე, რომ ეს თეორია არ უარყოფს თანამონაწილეობის თვით ცნებას, მაგრამ თავიდან გვაცილებს რთულ და ხელოვნურ მსჯელობათა აუცილებლობას. ახალი თეორია დგას სრულ შესაბამისობაში თანამედროვე სისხლის სამართლის ძირითად საწყისებთან და ეს საშუალებას იძლევა მიეცეს თითოეულ კერძო საკითხს ის გადაწყვეტა, რომელიც პასუხობს სამართლიანობას და ცხოვრებისეულ მოთხოვნებს. შეიძლება ამიტომ ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ მას და მხოლოდ მას ეკუთვნის მომავალი<sup>27</sup>.

მაშასადამე, თანამონაწილეობის ინსტიტუტის გაუქმების მოთხოვნა იმთავითვე გამომდინარეობდა არა თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიიდან, არამედ იქიდან, რომ თავისი წარმოშობის პირველ პერიოდში ეს თეორია დაფუძნებული იყო ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის რეაქციულ-სოციოლოგიური მიმართულების მცდარ და ყალბ ამოსავალ დებულებებზე.

ამის ნათელ დადასტურებას გვაძლევს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის საკანონმდებლო წესით განხორციელების ორი ცდა. ამ თეორიის საკანონმდებლო განხორციელებას სოციოლოგიური საფუძველი დაედო ნორვეგიის 1902 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსით საერთოდ უარყოფილია თანამონაწილეობა, მაგრამ კერძო ნაწილის მუხლები ისეა ფორმულირებული, რომ ისინი მოიცავენ დანაშაულში მონაწილეობის ყველა ფორმას და თვითეული მათგანი მიჩნეულია როგორც ამსრულებლობა.

სულ სხვა გზით წავიდა ჩეხოსლოვაკიის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი თეორია აღიარა ისე, რომ უარი არ უთქვამს თანამონაწილეობის ინსტიტუტზე. ამ კოდექსმა დანაშაულად აღიარა წამქეზებლობა და დახმარება (§ 75, პუნქტი პირველი), საკანონმდებლო წესით მიუთითა, რომ წამქეზებლის და დამხმარის დასჯადობა არ არის დამოკიდებული უშუალო ამსრულებლის დასჯადობასთან (§ 7, პუნქტი მე-3) და რომ დებულებანი მცდელობისათვის პასუხისმგებლობის

<sup>26</sup> Н. С. Тимошев, Юридическая природа уголовной ответственности соучастников, «Известия Петроградского политехнического института Императора Петра Великого». 1915 г. Отдел наук экономических и юридических, т. XXIV, П., 1915, стр. 120.

<sup>27</sup> იხ. რ. ს. ტიმოშევე, იქვე, გვ. 127.

შესახებ გამოიყენება წაქეზებისა და დახმარების მცდელობის მიმართაც (სა 7, პუნქტი მე-4)<sup>28</sup>.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში იმ ავტორების მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც მოითხოვენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ხასიათის აღიარებას, წამოყენებულია იგივე არგუმენტი, რაც თავის დროზე წამოყენებული იყო თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრე სოციოლოგი იურისტების მიმართ, კერძოდ, თითქოს ასეთ მოთხოვნას გარდუვლად მივყავართ თანამონაწილეობის ინსტიტუტის უარყოფამდე.

ასეთი არგუმენტი, ვფიქრობთ, დამაჯერებლობას ვერ მატებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორიის მომხრე საბჭოთა კრიმინალისტების მოსაზრებებს. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მოთხოვნა ემყარება არა იმას, რომ თითქოს თანამონაწილეთა მოქმედებებს ჰქონდეთ სიმპტომატური მნიშვნელობა და ისინი დასჯილ უნდა იქნან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ მოქმედებებში გამომყდვანდა მათი დანაშაულებრივი განწყობილება, არამედ იმას, რომ თანამონაწილეთა მოქმედებანი, რამდენადაც ხელს უწყობენ გარკვეულ დანაშაულის ჩადენას, ამდენად თვითონაც წარმოადგენენ საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებებს, რომლებიც მოიცავენ დანაშაულის განსხვავებულ შემადგენლობებს, რაშიც მდგომარეობს სწორედ მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯადობის საფუძველი. საკითხის ასეთი დაყენების დროს საქმე ეხება არა თანამონაწილეობის ინსტიტუტის გაუქმებას თუ შენარჩუნებას, არამედ იმას, რომ სწორად და მართებულად იქნეს გაგებული ამ ინსტიტუტის არსი, დანიშნულება და ამოცანები.

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მოთხოვნა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ემყარება იმ რეალურ ფაქტს, რომ რამდენადაც წამქეზებელი და დამხმარე არ შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი სხვისი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, სხვის ბრალში მონაწილეობისათვის, რამდენადაც მათ არ შეიძლება პასუხი ავონ აგრეთვე იმ დანაშაულის დამოუკიდებელი რეალობისათვის, რომლისთვისაც პასუხს აგებს ამსრულებელი, ამდენად, თუ საერთოდ უნდა დადგეს მათი პასუხისმგებლობა (რის აუცილებლობაც არასოდეს არ იწვევდა და არც იწვევს ეჭვს), — მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის დამოუკიდებელი, ამსრულებლის მოქმედებაში არსებული შემადგენლობისაგან განსხვავებული შემადგენლობისათვის.

<sup>28</sup> ჩეხოსლოვაკიის ახალმა, 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა რატომღაც უარყო ასეთი კონსტრუქცია და დაიკავა ისეთი პოზიცია, როგორც თანამონაწილეობის საკითხში ამაჟამად უკავია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

## ხუდიგნობის საქმეების სისხლის სამართალის თავისებულებები

### ა. შუზანაშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებამ „ხუდიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ დაადგინა ხუდიგნობის საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის შემკიდროვებული ვადები. გარდა ამისა, ბრძანებულებამ გაამარტივა სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხუდიგნობაზე საქმის აღძვრის პროცესუალური წესი. ამასთან დაკავშირებით, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი იქნა შესაბამისი დამატებანი და ცვლილებები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა სპეციალური თავი ხუდიგნობის საქმეთა წარმოების თავისებურებათა შესახებ.

ხუდიგნობის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოების წესში შეტანილი ცვლილებების მიზანია საქმის გამოკვლევისა და სამსჯავრო განხილვის დაჩქარება, ხუდიგნობის ჩამდენი პირის სწრაფი დასჯის უზრუნველყოფა. პროცესუალური თვალსაზრისით ხუდიგნობის საქმე არ არის რთული. ხუდიგნობა ისე აშკარა კვალს ტოვებს გარე სინამდვილეში, რომ დამნაშავეისა და საქმის ფაქტური გარემოებების დადგენა მაინცა და მაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს ხუდიგნობის საქმეების წარმოებისას პროცესუალური ნორმების უგულებელყოფას, საქმეში მონაწილე პირთა სამართლებრივი გარანტიების შესუსტებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ივლისის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის საფუძველზე. ეს მოთხოვნა ხუდიგნობის საქმეების წარმოებისას თანაბრად ეხება როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო სამართლის ნორმების დაცვას. კანონით გათვალისწინებულ გამოწვევებს გარდა ხუდიგნობის საქმეებზე მთლიანად ვრცელდება სისხლის სამართალწარმოების საერთო რეჟიმი. სსსკ მე-400 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ხუდიგნობის საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრება წინამდებარე კოდექსის საერთო წესით, გარდა იმისა, რაც დადგენილია ამ თავის მუხლებით“.

განვიხილოთ რა თავისებურებები ახასიათებს ხუდიგნობის საქმეების წინასწარ გამოკვლევას.

სსსკ 401-ე მუხლის თანახმად, სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხუდიგნობასთან დაკავშირებით მილიციის და მოკვლევის სხვა ორგანოები არა უგვიანეს ხუთი დღისა დაადგენ ჩადენილი დანაშაულის გარე-

მოკვლევებს, სამართალდამრღვევის პიროვნებას, რის შესახებაც შეადგენენ რომელიც პროკურორის სანქციის შემდეგ წარმოადგენს სასამართლოში საქმის აღძვრისა და განხილვის საფუძველს. ამ კატეგორიის საქმეზე მოკვლევა ჩატარდება მაშინ, როდესაც: ა) მოკვლევის ორგანოს უფროსი აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს იმ მიზეზით, რომ ხუთი დღის ვადაში შეუძლებელია გარკვევს ჩადენილი დანაშაულის არსებითი გარემოებები, და ბ) როდესაც სასამართლო დააბრუნებს საქმეს ან მასალებს არსებითი მნიშვნელობის დამატებით გარემოებათა დასადგენად, როცა სასამართლო სხდომაზე მათი დადგენა შეუძლებელია. გარდა ამისა, სსსკ 211-ე მუხლის შესაბამისად პროკურორს უფლება აქვს თვითონ აღძრას სისხლის სამართლის საქმე ან მისცეს მითითება მოკვლევის ორგანოს საქმის აღძვრისა და მოკვლევის ჩატარების შესახებ. რაც შეეხება წინასწარ გამოძიებას, მარტივი ხულიგნობის საქმეზე იგი წარმოებს სსსკ 126-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ე. ი. საქმეებზე ისეთ დანაშაულთა შესახებ, რაც ჩადენილია არასრულწლოვანთა ან იმ პირთა მიერ, რომელთაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლება დაცვაზე. ყველა სხვა შემთხვევაში მარტივი ხულიგნობის საქმეზე წინასწარი გამოძიება ჩატარდება მხოლოდ მაშინ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის სასამართლო ან პროკურორი.

სსკ 228--ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ხულიგნობის საქმეზე წარმოებს მოკვლევა, ხოლო ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ხულიგნობის საქმეზე — წინასწარი გამოძიება. ხულიგნობის საქმეების მოკვლევას აწარმოებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გამოძიებლები, წინასწარ გამოძიებას კი — პროკურატურის გამოძიებლები.

ხულიგნობის ყველა კატეგორიის საქმეზე მოკვლევა და წინასწარი გამოძიება წარმოებს საერთო პროცესუალური წესების დაცვით გარდა შემდეგი გამონაკლისისა: მოკვლევა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ოცი დღისა სისხლის სამართლის საქმი საღძვრის ან საქმის დაბრუნების დღიდან, ხოლო წინასწარი გამოძიება არა უგვიანეს ერთი თვისა სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ხულიგნობის საქმეზე მოკვლევას გამოძიებელი აწარმოებს. ამ შემთხვევაში გამოძიებელი აღჭურვილია სსსკ 127-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილებით, კერძოდ, მას უფლება აქვს მოკვლევის წარმოებისას მისცეს დავალებანი და მითითებები მოკვლევის ორგანოებს სამძებრო და საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების შესახებ, მოითხოვოს მოკვლევის ორგანოებისაგან დახმარება ცალკეული საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროს. გამოძიებლის ასეთი დავალებანი და მითითებანი მოკვლევის ორგანოსათვის სავალდებულოა. მოკვლევის წარმოებისას კანონის შესაბამისად გამოძიებლის მიერ საქმეზე გამოტანილი დადგენილება სავალდებულოა შეასრულოს ყველა დაწესებულებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ, თანამდებობის პირმა და მოქალაქემ. რაც შეეხება მოკვლევის წარმოებისათვის სსსკ 119-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილ შეზღუდვებს, ისინი ძალას ინარჩუნებენ მაშინაც, როდესაც მოკვლევას გამოძიებელი ატარებს, ესე იგი: ა) დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს მოკვლევის დამთავრების შემდეგ არ აცნობენ მოკვლევის მასალებს, არამედ შეტყობინებას უგზავნიან მხოლოდ მოკვლევის დამთავრებისა და საქმის პროკურორისათვის გადაცემის შესახებ; ბ) მოკვლევის წარმოების დროს დამცველი არ იღებს მონაწილეობას.

საქართველოს  
სამართლებრივი

როგორც ვხედავთ ყველაზე არსებითი თავისებურება ახასიათებს სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხულიგნობის წინასწარ გამოკვლევას. ეს თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მოკვლევის ორგანო: ა) მარტივი ხულიგნობის შესახებ აუცილებელ მასალებს აფორმებს და სასამართლოში აგზავნის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე; ბ) საქმის აღძვრამდე ატარებს პროცესუალურ მოქმედებებს. ხულიგნობის შესახებ მასალების აფორმებისა და სასამართლოში წარგზავნის წესი რეგლამენტირებულია პროცესუალური კანონმდებლობით. ამ წესის ზუსტად და განუხრელად დაცვა ისევე აუცილებელი და სავალდებულოა, როგორც აღძრულ საქმეზე სამართალწარმოების ნორმების დაცვა; გ) მტკიცებას ანხორციელებს, საქმის ფაქტიურ გარემოებებს ადგენს, როგორც წესი, საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების გარეშე.

ერთგვარი მსგავსების მიუხედავად მარტივი ხულიგნობის შესახებ მასალების აფორმება და სასამართლოში წარგზავნა თავისი ხასიათით და მოცულობით არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი წარმოების დროს საქმის აღძვრამდე ჩატარებული წინასწარი შემოწმებისაგან. სსკ 110-ე მუხლის საფუძველზე მოკვლევის ორგანოს უფლება აქვს დანაშაულის შესახებ შემოსული განცხადების ან ცნობის გამო გამოითხოვოს საჭირო მასალები და მიიღოს ახსნა-განმარტება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად. ამ შემთხვევაში წინასწარი შემოწმების ამოცანა არა დანაშაულის გახსნა, არამედ მხოლოდ იმ საკითხის გადაწყვეტა, არსებობს თუ არა საფუძველი სისხლის სამართლის საქმის დაწყებისათვის. სსკ 401-ე მუხლის წესით კი მოკვლევის ორგანო ხულიგნობის მასალებს აფორმებს სასამართლოში საქმის აღძვრისა და არსებითად განხილვისათვის. თუ ჩვეულებრივი წარმოებისას სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საკმარისია იმ ფაქტიური მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნების არსებობაზე, მარტივი ხულიგნობის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრისა და განხილვისათვის ასეთი მონაცემები არ კმარა. მოკვლევის ორგანოს მიერ აფორმებული მასალები ხულიგნობის შესახებ უნდა შეიცავდნენ პასუხს ყველა იმ გარემოებაზე, რომელთა დადგენა აუცილებელია ჩვეულებრივი წარმოებისას გამოკვლევის დამთავრებისა და საბრალდებო დასკვნის შესადგენად<sup>1</sup>.

მარტივი ხულიგნობის შესახებ აფორმებული მასალები, რომ სასამართლოში საქმის აღძვრისა და განხილვის საფუძველი გახდეს აუცილებელია ეს მასალები შეიცავდნენ ფაქტიურ მონაცემებს: ა) სამართალდამრღვევის პიროვნე-

<sup>1</sup> ზოგი ავტორი მარტივი ხულიგნობის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრისა და განხილვის საფუძველად მიიჩნევს ფაქტიური გარემოებების არსებობას იმ მოცულობით, რაც საკმარისია ჩვეულებრივი წარმოების დროს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისათვის (იხ. მაგალითად, С. Вицин, Особенности производства по делам о хулиганстве. предусмотренном ч. I, стр. 206 УН РСФСР, «Советская юстиция», 1966, № 22, გვ. 23). ჩვენის აზრით, ეს შეხედულება არ არის მართებული. თუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისათვის საკმაო იმ მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ გარკვეული პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, ეს მტკიცებულებები ჯერ კიდევ არ არის საკმაო გამოძიების დამთავრებისა და საქმის სასამართლოში გადაგზავნისათვის. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შემდეგ გამოძიება გრძელდება, დგინდება ყველა ის გარემოება, რაც აუცილებელია საქმის სამსჯავრო განხილვისათვის. მოკვლევის ორგანო მარტივი ხულიგნობის შესახებ ფაქტიურ გარემოებებს იკვლევს და მასალებს ამზადებს არა ბრალდების წარდგენისათვის, არამედ საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისათვის.

ბის შესახებ: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების დრო და ადგილი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა, წინამართლობა წარსულში და სხვა მონაცემები, რაც აუცილებელია საქმის არსებითად სწორი გადაწყვეტისათვის; ბ) ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ: ხულიგნობის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, მოტივები, მიყენებული ზიანის ხასიათი, დანაშაულის კონკრეტული მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, ცნობები დაზარალებულის შესახებ და სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ დამნაშავის პასუხისმგებლობას.

აღნიშნული გარემოებების დასადგენად მოკვლევის ორგანოები იღებენ განმარტებებს სამართალდამრღვევისაგან, დაზარალებულისა და თვითმხილველისაგან, მოითხოვენ დახსიათებას სამართალდამრღვევის სამუშაო ადგილიდან ან სასწავლებლიდან, გამოითხოვენ ცნობას იმის შესახებ აქვს თუ არა მას წინამართლობა და სხვა მასალებს, რომლებსაც მნიშვნელობა ექნებათ სასამართლოში საქმის განსახილველად (სსსკ 401-ე მუხლი). ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი სამართალდამრღვევისა და იმ პირთა პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, რომელთაგან მოკვლევის ორგანო იღებს ინფორმაციას ჩადენილი ხულიგნობის ფაქტიური გარემოებების შესახებ.

სსსკ 404-ე მუხლის თანახმად, მოკვლევის ორგანოს უფლება აქვს დააკავოს ხულიგნობის ჩამდენი პირი. დაკავების საფუძველი და წესი იგივეა, რაც ეჭვმიტანილის მიმართ. სასამართლოში სისხლის საშარტლის საქმის აღძვრამდე და განხილვამდე მარტივი ხულიგნობის ჩამდენი პირის მიმართ კანონი უშვებს აღკვეთის ღონისძიებებს შეფარდებას. უფრო მეტიც, კანონის თანახმად, აღმკვეთ ღონისძიებად, როგორც წესი, გამოყენებული უნდა იქნეს პატიმრობა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პირი, რომლის მიმართ მოკვლევის ორგანო აწარმოებს სსსკ 401-ე მუხლით მასალების შეგროვებას, თავისი პროცესუალური მდგომარეობით, ეჭვმიტანილს წარმოადგენს, და, მაშასადამე, უნდა სარგებლობდეს ყველა იმ უფლებით, რასაც კანონი ეჭვმიტანილს ანიჭებს<sup>2</sup>. სსსკ 404-ე მუხლი საგანგებოდ მიუთითებს მოკვლევის ორგანოს ვალდებულებაზე შემოწმების დამთავრების შემდეგ საქმის ყველა მასალა გასაცნობად წარუდგინოს სამართალდამრღვევს. გარდა ამ უფლებისა, სამართალდამრღვევს, როგორც ეჭვმიტანილს უფლება აქვს გაასაჩივროს მოკვლევი პირის მოქმედება, მისცეს ახსნა-განმარტება და განაცხადოს შუამდგომლობა. ეჭვმიტანილის პროცესუალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს მოკვლევის ორგანოს ვალდებულება მარტივი ხულიგნობის ჩამდენი პირის დაკავების შესახებ შეადგინოს ოქმი დაკავების საფუძვლისა და მოტივების აღნიშვნით, რაც 24 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს პროკურორს. პროკურორი მოვალეა მიღებული შეტყობინება განიხილოს 48 საათის განმავლობაში და მისცეს დაპატიმრების სანქცია ან გაათავისუფლოს დაკავებული. ეჭვმიტანილი უნდა დაიკითხოს არა უგვიანეს 24 საათისა დაკავების მომენტიდან. დაკითხვა წარმოებს ბრალდებულის დაკითხვისათვის დადგენილი წესების დაცვით.

ხულიგნობის შესახებ საქმის სსსკ 401-ე მუხლით წარმოებასთან დაკავშირებით მოკვლევის ორგანოს უფლება აქვს მიიღოს განმარტება დაზარალებულისა და თვითმხილველისაგან. განმარტება შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ იმ

<sup>2</sup> ასეთვე აზრისა ა. ჩუვილევი. იხ. მისი სტატია «Процессуальные гарантии по делам о хулиганстве без отягчающих обстоятельств», ჟურნალი «Социалистическая законность», 1967, № 1, გვ. 16—17.



პირს, ვისაც ხულიგნობამ მიაყენა რაიმე ზიანი (ფიზიკური, მატერიალური, მორალური), ან ვინც უშუალოდ ხულიგნური ქმედობის მხილველია. სხვა პირებისაგან განმარტებების მიღება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს ფაქტიურად გადაიზრდება დაკითხვაში, რასაც კანონი აღნიშნული სახის წარმოების დროს დაუშვებლად თვლის. დაზარალებულისა და თვითმხილველისაგან განმარტებების მიღება უნდა მოხდეს მოწმის დაბარებისა და დაკითხვისათვის კანონით დადგენილი წესების გარეშე. კერძოდ, დაუშვებელია მათი იძულებით მოყვანა, გაფრთხილება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და ა. შ. განმარტების მისაცემად დაბარებულ პირს უნდა განემარტოს მისი მოქალაქეობრივი მოვალეობა დაეხმაროს მოკვლევის ორგანოს ჭეშმარიტების დადგენაში, ობიექტურად მოახსენოს ყოველივე ის, რაც მან საკუთარი თვალთი იხილა. ამასთან, დანაშაულის შესახებ განმცხადებელ პირს უნდა განემარტოს პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისათვის. დაზარალებულსა და თვითმხილველს შეუძლიათ განმარტება მისცენ როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. ზეპირი განმარტება შეიტანება ოქმში, რასაც ხელს მოაწერს განმარტების მიმცემი და პირი, რომელმაც ოქმი შეადგინა.

სსსკ 401-ე მუხლით მასალების მომზადებისას მოკვლევის ორგანო გამოითხოვს ცნობას სამართალდამრღვევის ნასამართლობის შესახებ. რიგ შემთხვევებში შეიძლება ამ ცნობამ საერთოდ გადაწყვიტოს დანაშაულის კვალიფიკაციისა და საქმის ქვემდებარეობის საკითხი. ამიტომ მოკვლევის ორგანომ უნდა უზრუნველყოს ამ ცნობის რაც შეიძლება სწრაფად მიღება. გამოთხოვილი უნდა იქნეს აგრეთვე სამართალდამრღვევის დახასიათება და ყველა სხვა დოკუმენტი და მასალა, რომელთაც მნიშვნელობა შეიძლება ქონდეთ მოცემულ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

დასაშვებია თუ არა მარტივი ხულიგნობის საქმის სსსკ 401-ე მუხლით წარმოებისას საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარება ე. ი. საქმის ფაქტიური გარემოებების გამოკვლევა იმ პროცესუალური საშუალებებით, რაც დადგენილია სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოკვლევისათვის? ჩვეულებრივი წარმოების დროს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარება, როგორც წესი, გამორიცხულია (იხ. სსსკ 110-ე, 133-ე მუხლები). საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარება ხშირად დაკავშირებულია იძულებასთან, პიროვნების თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვასთან, რასაც სახელმწიფო უშვებს საზოგადოებრივად უფრო სასარგებლო საქმის, დანაშაულის გახსნის, დამნაშავის მხილებისა და დასჯის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. ამიტომაც საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებას კანონი დასაშვებად თვლის საქმის აღძვრის მომენტიდან, მას შემდეგ რაც არსებობს საკმაო მონაცემები, რომ ნამდვილად ჩადენილია დანაშაული. ამ მონაცემების მიღება კი უნდა მოხდეს ისეთი საშუალებებით, რაც პიროვნების თავისუფლების არავითარ შეზღუდვასთან არ არის დაკავშირებული (ახსნა-განმარტების მიღება, დოკუმენტების გამოთხოვა და ა. შ.). მაგრამ ხომ შეიძლება, რომ საქმის აღძვრის საფუძვლის გამორკვევა შეუძლებელი იყოს საგამომძიებლო მოქმედების ჩატარების გარეშე? რასაკვირველია, შეიძლება. მაგალითად, საგამომძიებელს ელსმენით აცნობეს, რომ გაქურდულია მალაზია, ან ესა თუ ის მოქალაქე, უნებართვოდ ატარებს ცეცხლსროლელ იარაღს. ბუნებრივია რომ ამ შემთხვევებში საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია

დანაშაულის ადგილის დათვალიერების ანდა პიროვნების დაკავების გარეშე. მსგავსი მაგალითები უამრავია პრაქტიკაში. ეს გაითვალისწინა კანონმდებელმა და ზოგადი პრინციპიდან დაუშვა ზოგიერთი გამოჩაკლისი. მოქმედი კანონმდებლობით, განსაკუთრებულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე შეიძლება მოხდეს დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დაკავება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 121-ე მუხ; რსფსრ-ს სსსკ 178-ე მუხლი). მეცნიერული ლიტერატურა კიდევ უფრო შორს წავიდა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარებული წინასწარი შემოწმების დროს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, დასაშვებად თვლის საჭირო შემთხვევებში ეჭვმიტანილის პირად ჩხრეკას და ამოცნობასაც<sup>3</sup>.

მასასადამე, თუ აღნიშნული საგამომძიებლო მოქმედებების წარმოება დასაშვები და მიზანშეწონილია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გამოსარკვევად, მითუმეტეს ეს დასაშვები და მიზანშეწონილი უნდა იყოს ხულოვნობის შესახებ საქმის სსსკ 401-ე მუხლით წარმოების დროს, როდესაც მარტო დანაშაულის ნიშნების არსებობის გამორკვევა კი არ ხდება, არამედ მისი სრული გახსნა, ყველა იმ ფაქტიური გარემოებების დადგენა, რაც აუცილებელია საქმის არსებითად განხილვისათვის. საერთოდ, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ თუ აღნიშნული სახის წარმოება შემდგომშიც შენარჩუნებული იქნება მოკვლევის ორგანოს მიეცეს ყველა საგამომძიებლო მოქმედების ჩატარების უფლება. მართლაც და თუ კი მოკვლევის ორგანოს ვავალდებულებთ, რომ ჩადენილი დანაშაულის ფაქტიური გარემოებები დაადგინოს იმ მოცულობით, რაც აუცილებელია საქმის სასამართლოში განხილვისათვის, რატომ არ უნდა ქონდეს მას უფლება ამ ამოცანის განხორციელებისათვის ისარგებლოს ყველა იმ პროცესუალური საშუალებებით, რაც კანონით დადგენილია დანაშაულის სრული გახსნისა და გამოკვლევისათვის. ვფიქრობთ, რომ ამ გარემოების გამართლება რაიმე სერიოზული მოსაზრებებით შეუძლებელია. მაგრამ ვიდრე კანონმდებლობაში აღნიშნული საკითხის თაობაზე რაიმე ცვლილებები არ შესულა, მოკვლევის ორგანომ თავი უნდა შეიკავოს სსსკ 401-ე მუხლით საქმის წარმოების დროს საგამომძიებლო მოქმედების ფართოდ გამოყენებისაგან და დაკმაყოფილდეს იმ პროცესუალური მოქმედებების ჩატარებით, რასაც მოქმედი კანონი დასაშვებად თვლის. თუ აღნიშნული სახის წარმოების დროს საქმის ფაქტიური გარემოებების გამოსარკვევად აუცილებელი გახდა ისეთი საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარება, როგორცაა: ბინის ჩხრეკა, ამოღება, დაპირისპირება, ქონებაზე ყადაღის დადება, ექსპერტიზის დანიშვნა და ა. შ. საქმე უნდა აღიძრას და მოკვლევა ჩატარდეს სრული მოცულობით.

საქმის ფაქტიური გარემოებების გამოკვლევისა და საჭირო დოკუმენტების მიღების შემდეგ თუ დადგინდება, რომ პირის ქმედებაში ნამდვილად არსებობს სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, უნდა შედგეს ოქმი. აღსანიშნავია, რომ ამ ოქმის შინაარსსა და სტრუქტურას კანონი არ განსაზღვრავს. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ოქმი თავისი პროცესუალური მნიშვნელობით საბრალდებო დასკვნის თანაბარია და უნდა აკმაყოფილდეს იმ მოთხოვნებს, რასაც კანონი საბრალდებო

<sup>3</sup> იხ. მაგალითად, Н. В. Жогин, Ф. Н. Фаткулин, Возбуждение уголовного дела, М., 1961, стр. 173—174.

დასკვნას უყენებს. ყოველ შემთხვევაში ოქმში უნდა იყოს გადმოცემული საქმის არსი: მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ და მის მიერ ჩადენილი ქმედობის ფაქტიური გარემოებები. ოქმში მოცემული დასკვნები უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული, მითითებული უნდა იყოს იმ წყაროებზე, საიდანაც ეს დასკვნები დასტურდება. ოქმს ხელს აწერს პირი, რომელმაც გამოკვლევა ჩაატარა. ოქმს უნდა დაერთოს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია. ოქმს ამტკიცებს მილიციის ორგანოს უფროსი. ამის შემდეგ ოქმს საქმის ყველა მასალასთან ერთად სამართალდამრღვევს წარუდგენენ გასაცნობად, რის შესახებ ოქმში გაკეთდება სათანადო აღნიშვნა. სასურველია, რომ ოქმში აღინიშნოს აგრეთვე სამართალდამრღვევის მიერ განცხადებული შუამდგომლობანი და მათ თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. ოქმი მასალებთან ერთად იგზავნება, სასამართლოში პროკურორის სანქციით.

რასაკვირველია, თუ სსსკ 401-ე მუხლით ჩატარებული გამოკვლევის შედეგად არ დადასტურდა პირის მიერ მარტივი ხულიგნობის ჩადენა და მის ქმედობაში მოცემულია სხვა დანაშაულის თუ ადმინისტრაციული დარღვევის შემადგენლობა, მოკვლევის ორგანომ ან ზედამხედველმა პროკურორმა კანონით დადგენილი წესების დაცვით უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება: შეწყვიტოს წარმოება, აღძრას საქმე, წარმართოს მასალები ქვემდებარეობისამებრ და ა. შ.

მარტივი ხულიგნობის საქმის სსსკ 401-ე მუხლის წესით წარმოებისათვის კანონით დადგენილია მტკიცე ვადა — ხუთი დღე. ეს ვადა მოიცავს პერიოდს სამართალდამრღვევის დაკავებიდან (ან ხულიგნობის შესახებ მიღებული შეტყობინებიდან) მასალების სასამართლოში გადაგზავნის ჩათვლით. მოკვლევის ორგანომ ხუთი დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენა, ყველა იმ ცნობების გამოთხოვა, მასალების გაფორმება და სასამართლოში წარგზავნა, რაც აუცილებელია საქმის აღძვრისა და არსებითად განხილვისათვის. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ ხუთი დღის განმავლობაში შეუძლებელი გახდა საქმის სასამართლოში წარგზავნა უნდა აღძრას საქმე და ჩატარდეს მოკვლევა. ვფიქრობთ, რომ მოკვლევის ორგანოს უფროსს ხუთი დღის გასვლამდე შეუძლია აღძრას საქმე, თუ კი იმ თავითვე არსებობს ობიექტური მონაცემები, რომ ხუთი დღის ვადაში ვერ მოხერხდება საქმის სასამართლოში წარგზავნისათვის მომზადება ან და საქმის ფაქტიური გარემოების გასარკვევად აუცილებელია ისეთი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება, რაც კანონით დასაშვებია მხოლოდ საქმის აღძვრის შემდეგ.

ხულიგნობის საქმეების წარმოება სახალხო სასამართლოში ხასიათდება შემდეგი პროცესუალური თავისებურებებით:

ა) მარტივი ხულიგნობაზე შემოსული მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და სამართალში მიცემა ხორციელდება ერთდროულად და ფორმდება ერთი დოკუმენტით. ბრალდებული, როგორც პროცესუალური ფიგურა, საქმის აღძვრისთანავე იკავებს სამართალში მიცემულის მდგომარეობას და იღჭურვება ყველა იმ პროცესუალური უფლებამოვალეობებით, რაც კანონის თანახმად სამართალში მოცემულს გააჩნია.

მოკვლევის ორგანოდან მიღებული მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტა შეუძლია როგორც სასამართლოს, ასევე მოსამართლეს ერთპიროვნულად. სასამარ-

თლოში შემოსულ მასალებს მოსამართლე განიხილავს და თუ მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალები საკმარისია საქმის არსებითად განხილვისათვის, გამოიტანს დადგენილებას საქმის აღძვრის, სამართალში მიცემისა და სამსჯავრო განხილვის დანიშვნის შესახებ. მოსამართლეს უფლება არა აქვს ერთპიროვნულად უარი თქვას საქმის აღძვრაზე. შეწყვიტოს საქმის წარმოება, დააბრუნოს მასალები მოკვლევის თუ წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად, შეცვალოს სამართალდამრღვევის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება. ამ საკითხების გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კოლეგიალურ შემადგენლობას. ამიტომ თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალები საქმის აღძვრისა და სამსჯავრო განხილვისათვის არ არის საკმარისი ან სამართალდამრღვევის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება უსწორია, მასალები განსახილველად უნდა შეიტანოს განმწესრიგებელ სხდომაზე.

სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილით საქმის აღძვრისა და სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისათვის წარმოდგენილი მასალების საკმარისობა ნიშნავს, რომ: სამართალდამრღვევის ქმედობა ნამდვილად შეიცავს მარტივი ხულიგნობის შემადგენლობას და არ არსებობს საფუძველი საქმის შეწყვეტისათვის; წინასწარი გამოკვლევა ჩატარებულია სრულად და ყოველმხრივად, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტად დაცვით.

თუ წინასწარი გამოკვლევის უსრულობის შევსება სამსჯავრო სხდომაზე შეუძლებელია ან გამოკვლევის დროს დაშვებულია ამ კატეგორიის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევა (სამართალდამრღვევს გასაცნობად არ წარედგინა საქმის მასალები, წარმოდგენილი ოქმი სანქციონირებული არ არის პროკურორის მიერ და ა. შ.). სამართალში მიცემა ვერ განხორციელდება თუნდაც სამართალდამრღვევის ქმედობა სწორად იყოს დაკვალიფიცირებული ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა აღძრას საქმე და წარმართოს იგი მოკვლევის ჩასატარებლად. სასამართლოს შეუძლია საქმის აღძვრის გარეშე დაუბრუნოს მასალები მოკვლევის ორგანოს დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად თუ კი მათი გამოსწორება და საქმის სასამართლოში დაბრუნება შეიძლება მოხდეს იმავე ხუთი დღის ვადაში. თუ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სასამართლო მივა იმ დასკვნამდის, რომ სამართალდამრღვევის ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი აღძრავს საქმეს და წარმართავს ქვემდებარეობისამებრ. სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს საქმე სსსკ 223-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს საქმეზე ყველა სხვა გადაწყვეტილება, რასაც კანონი ითვალისწინებს ჩვეულებრივი წარმოებისას.

მოკვლევის ორგანოდან მიღებული მასალების საფუძველზე საქმის აღძვრისა და სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ (მოსამართლემ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ პირები, რომელთაც დანაშაულმა ზიანი მიაყენა, საქმის სასამართლოში მიღებამდე ცნობილი არ ყოფილან დაზარალებულად ან სამოქალაქო მოსარჩელედ და ამ საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს სასამართლოში.

ბ) ხულიგნობის საქმეების წარმოებისათვის სასამართლოშიც შემჭიდროვებული ვადებია დადგენილი. სსსკ 406-ე მუხლის თანახმად, სსსკ 401-ე მუხლით გამოკვლეული მარტივი ხულიგნობის საქმე სასამართლომ სამსჯავრო სხდომაზე უნდა განიხილოს არაუგვიანეს ხუთი, ხოლო ხულიგნობის საქმე, რომელზედაც ჩატარდა მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება — არაუგვიანეს ათი დღის ვადისა სასამართლოში საქმის შემოსვლის დღიდან. ამ ვადებთან დაკავ-

შირებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჩვეულებრივი წარმოებისაგან განსხვავებით ამ კატეგორიის საქმეებზე დიფერენცირებული არ არის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისა და საქმის სამსჯავრო განხილვის ვადები. კანონი ადგენს დროის იმ მონაკვეთს, რომელშიც უნდა დაიწყოს სამსჯავრო განხილვა და არ უთითებს თუ ამ ვადის მანძილზე სახელდობრ როდის უნდა მოხდეს სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტა. უფრო მეტიც, სსსკ 405-ე მუხლი ადგენს: „სასამართლოს გამოაქვს განჩინება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, სამართალდამრღვევის სამართალში მიცემის შესახებ და განიხილავს საქმეს სასამართლო სხდომაზე, თუ იგი სასამართლოში განხილვისათვის საკმარისად მიიჩნევს მასალებს იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით“. კანონის ამ ტექსტიდან შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მარტივ ხულიგნობაზე სასამართლო ერთდროულად ახდენდეს სამართალში მიცემას და საქმის არსებითად განხილვას. მოცემული მუხლის შინაარსის ასეთი განმარტება არ იქნებოდა სწორი. საბრალოდებო დასკვნით შემოსულ ხულიგნობის საქმეზე რომ დაუშვებელია სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისთანავე სამსჯავრო განხილვის დაწყება ეს აშკარაა და ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგანაც სსსკ 237-ე მუხლის ძალით, საქმის სამსჯავრო სხდომაზე განხილვა ვერ დაიწყება სამ დღე-ღამეზე ადრე იმ დროიდან, როდესაც სამართალში მიცემულს ჩაბარდა საბრალოდებო დასკვნა და ამ მუხლში ჩამოთვლილი სხვა დოკუმენტები. რაც შეეხება მარტივი ხულიგნობის შესახებ შემოსულ მასალებს, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც სსსკ 237-ე მუხლის მოთხოვნა ინარჩუნებს თავის ძალას. თუმცა ამ შემთხვევაში საქმეზე არ არსებობს საბრალოდებო დასკვნა და სამართალში მიცემულისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხდება, მაგრამ სსსკ 247-ე მუხლის თანახმად, საბრალოდებო დასკვნის გარდა სამართალში მიცემულს ბარდება აგრეთვე სასამართლოში დაბარების უწყება, ხოლო თუ სამართალში მიცემის საკითხის განხილვისას შეიცვალა ბრალოდება, აღკვეთის ღონისძიება, ან სასამართლოში გამოსაწვევ პირთა სია, სამართალში მიცემულს უნდა ჩაბარდეს სასამართლოს განჩინების ან მოსამართლის დადგენილების ასლი. გარდა ამისა, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სამსჯავრო განხილვის მომზადება, პროცესის მონაწილეთათვის საქმის მასალების გაცნობა. ამისათვის კი ვარკვეული დროა საჭირო. ერთი სიტყვით, სამსჯავრო განხილვის დაწყება სამ დღეზე ადრე, მარტივი ხულიგნობის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრის მომენტიდან, დაუშვებელია და ეწინააღმდეგება კანონს.

# სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური პრინციპები

დოც. ა. ფალიაშვილი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს შრავალ ნორმას, რომელიც არეგულირებს ექსპერტიზის მომზადებას, დანიშვნას, ჩატარებასა და შეფასებას. მაგრამ ექსპერტიზის პროცესუალურ პრინციპებად აღიარებულ უნდა იქნან მხოლოდ ისეთები, რომლებიც მიუთითებენ ექსპერტიზის არსობრივ მხარეებზე და განსაზღვრავენ მის ბუნებას.

სასამართლო ექსპერტიზის არსის გასარკვევად პროცესუალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ექსპერტიზის ძირითად ნიშნებზე, მის ელემენტებზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ექსპერტიზის არსის განსაზღვრა უფრო სწორია პრინციპების დადგენის საფუძველზე, რადგან სწორედ „პრინციპი“ და არა „ელემენტი“ ან „ნიშანი“ იხმარება მეცნიერების ცალკეული ინსტიტუტის, მოძღვრების ან თეორიის დასახასიათებლად.

პროცესუალურ ლიტერატურაში ექსპერტიზის არსი, რიგ შემთხვევაში, განისაზღვრება ვიწროთ ან ძალზე ფართოდ, ან სრულიად უსწოროდ.

მართებული არ არის მაგალითად პრინციპებად იმის მიჩნევა, რასაც აყალიბებს ა. ვ. დულოვი. ავტორის მიერ მითითებული ოთხი პრინციპიდან ორი საერთოდ არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო ექსპერტიზის პრინციპად. ა. ვ. დულოვი ექსპერტიზის პრინციპად თვლის, რომ ექსპერტმა გამოიკვლიოს ისეთი მასალები, რომლებიც პროცესუალურად სათანადოდ არის გაფორმებული<sup>1</sup>. ექსპერტიზის მასალების პროცესუალურ გაფორმებას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი წარმოადგენს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების და არა ექსპერტის ფუნქციას. მასალების გაფორმებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ექსპერტიზის დამნაშავე პირს, ხოლო მისი გამოკვლევის სისრულისათვის ექსპერტს.

სასამართლო ექსპერტიზის პრინციპად არ შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტიზის ჩატარება თავდაპირველ დამამტკიცებელ საბუთებზე, როგორც ამას თვლის ა. ვ. დულოვი. საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პროცესუალური ვალდებულებაა წარუდგინოს ექსპერტს, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, თავდაპირველი და არა ნაწარმოები მასალები.

ჩამოთვლის რა ექსპერტიზის ხუთ ძირითად ელემენტს რ. დ. რახუნოვი მიუთითებს, რომ ერთ-ერთია ექსპერტის დასკვნის შეფასება საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მიერ<sup>2</sup>. ცნობილია, რომ ექსპერტის დასკვნის შეფასება წარმოადგენს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების ფუნქციას. ამრი-

<sup>1</sup> А. В. Дулов, Вопросы теории судебной экспертизы. Минск, 1959, стр. 30.

<sup>2</sup> Р. Д. Рахунов, Теория и практика экспертизы в советском уголовном процессе, М., 1953, стр. 28.

გად, ეს უკანასკნელი დამახასიათებელია ამ ორგანოების მოღვაწეობისათვის და არა ექსპერტიზის ინსტიტუტისათვის.

სასამართლო ექსპერტიზის პრაქტიკის და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპერტიზის ინსტიტუტის არსის სრული გაგებისათვის მითითებულ უნდა იქნას შემდეგ პრინციპებზე: პროცესუალური ნორმების ზუსტი და განუხრელი დაცვა ექსპერტიზის ჩატარების დროს; სპეციალური ცოდნის გამოყენება ექსპერტიზის წარმოების დროს; ექსპერტიზის ჩატარების პროცესუალური გაფორმება; ექსპერტიზის პროცესუალური დამოუკიდებლობა და მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მიცემული დასკვნისათვის; ექსპერტიზის მიერ ობიექტების უშუალო გამოკვლევა; გამოკვლევის ობიექტური და ყოველმხრივი ჩატარება; გამოკვლევის შედეგების აუცილებელი პროცესუალური გაფორმება.

განვიხილოთ მოკლედ ექსპერტიზის ცალკეული პროცესუალური პრინციპები.


**1. პროცესუალური ნორმების ზუსტი და განუხრელი დაცვა ექსპერტიზის ჩატარების დროს.** კანონის მოთხოვნის დაცვა წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ზოგად პრინციპს. იგი დამახასიათებელია აგრეთვე ექსპერტიზის ინსტიტუტისათვისაც. ექსპერტიზის ყველა პრინციპი გამომდინარეობს და ეფუძნება კანონს. პროცესუალური ნორმების ზუსტი და განუხრელი დაცვა ექსპერტიზის ჩატარების პროცესში, ე. ი. სოციალისტური კანონიერების პრინციპის ცალკე პრინციპად აღიარება იმას ნიშნავს, რომ ექსპერტიზის წარმოების ყველა ეტაპზე გამოვლინებული უნდა იყოს ამ პრინციპის კონკრეტული არსი. მისი თავისებურება.

ექსპერტიზის ჩატარების დროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ნორმების დაცვა უპირველეს ყოვლისა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების ვალდებულებაა. პასუხისმგებლობა კანონის სრული და განუხრელი დაცვისათვის ეკისრება ექსპერტიზის დამნიშნავ პირს. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პროცესუალური ნორმების დარღვევა, პროკურორი მოვალეა განახორციელოს კანონის შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობა. პროკურორი ვალდებულია ექსპერტიზის წარმოების ყველა ეტაპზე თვალყურის ადევნოს პროცესუალური ნორმების დაცვას, თავის დროზე გამოავლინოს კანონის დარღვევის ყოველი ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზი, მიიღოს ზომები კანონის დარღვევი პირის მიმართ.

ექსპერტიზის ჩატარების პროცესში კანონის დარღვევა ყოველთვის განხილულ უნდა იქნას, როგორც საგანგებო შემთხვევა. კანონის დარღვევის არცერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს ზედამხედველი პროკურორის ან ზემდგომი სასამართლო ორგანოს რეაგირების გარეშე.

**2. სპეციალური ცოდნის აუცილებელი გამოყენება ექსპერტიზის წარმოების დროს.** სასამართლო ექსპერტიზის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს სპეციალური ცოდნის აუცილებელი გამოყენება გამოკვლევის წარმოების დროს. ექსპერტიზის დასკვნა, თუ იგი არ არის დაფუძნებული ექსპერტიზის სპეციალურ ცოდნაზე არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დამამტკიცებელი საბუთის წყარო.

სპეციალური ცოდნის გამოყენების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ექსპერტი, რომლის დასკვნაც წარმოადგენს დამამტკიცებელი საბუთის წყაროს.



საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს არ შეუძლიათ გადაწყვიტონ (სამართლებრივი საკითხების გარდა) სხვა სპეციალური საკითხები და შექმნან დამამტკიცებელი საბუთის წყარო: ექსპერტის დასკვნა.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები იყენებენ სპეციალურ ცოდნას, როდესაც ისინი საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების დროს ხმარობენ ცალკეულ ხელსაწყოსა და ტექნიკურ საშუალებებს სხვადასხვა საგნების, კვალთა და ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთთა აღმოჩენის, გამომჟღავნებისა და ფიქსაციის მიზნით<sup>3</sup>.

არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც სპეციალური ცოდნა საგამომძიებლო ორგანოების მუშაკის ელემენტარული სამეცნიერო-ტექნიკური მომზადება, რომელიც მას საშუალებას აძლევს წარმატებით გამოიყენოს ცალკეული ხელსაწყო და ტექნიკური საშუალებანი საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების დროს. ასეთ ცოდნას საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები იძენენ უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების დროს. ამიტომ ეს ელემენტარული სამეცნიერო-ტექნიკური მომზადება არ წარმოადგენს მათთვის სპეციალურ ცოდნას. გარდა აღნიშნულისა, ყოველ ხელსაწყოს, ტექნიკურ საშუალებას, რომელიც გამოიყენება საგამომძიებლო პრაქტიკაში თან ახლავს შესაბამისი წესები (ინსტრუქცია), რომლის შესწავლა არ საჭიროებს არავითარ სპეციალურ ტექნიკურ მომზადებას.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკის საჭიროება მოითხოვს, რომ თანამედროვე პირობებში სრულყოფილად იქნეს გამოყენებული ფსიქოლოგიური მეცნიერება იმ სპეციალური საკითხების გადაწყვეტისათვის, რომლებიც წამოიჭრებიან სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვის პროცესში.

სამწუხაროდ, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის არსისა და კომპეტენციის არასწორი გაგების შედეგად მეცნიერების ეს დარგი თითქმის არ გამოიყენება საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში.

ზოგიერთი ავტორი ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას უარყოფს იმ მოტივით, რომ იგი ბურჟუაზიული სისხლის სამართლის პროცესში ხშირად გამოიყენება რეაქციული მიზნებისათვის, ექსპერტი-ფსიქოლოგები ხშირად წყვეტენ არაწმინდა ფსიქოლოგიურ, არამედ სამართლებრივ საკითხებს.

ფსიქოლოგიური ექსპერტიზის კომპეტენციის არასწორი გაგების შედეგად მ. ს. სტროგოვიჩი და რ. დ. რახუნოვი თანამედროვე პირობებშიც უარყოფენ მის დაშვებას საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხების გადასაწყვეტად<sup>4</sup>.

ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, ისე როგორც ყოველი სხვა ექსპერტიზის დარგი, გამოიყენებულ უნდა იქნას შესაბამისი სპეციალური საკითხების გადასაწყვეტად. მაგალითად, ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა: ბრალდებულის, ექვმიტანილის, დაზარალებულის,

<sup>3</sup> იხ. Криминалистическая экспертиза, выпуск 1, М. 1966, стр. 115—116; Научно-практический комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР, М. 1963, стр. 182.

<sup>4</sup> იხ. М. С. Строгович, Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе, М, 1955, стр. 318—320, Р. Д. Рахунов, Теория и практика экспертизы в советском уголовном процессе, М., 1953, стр. 57-64



მოწმის ფიზიკური მდგომარეობის დადგენა თუ რამდენად სწორად აღიქვამს ეს პირები მოვლენებს; პირის ინტელექტუალური ჩამორჩენილობის განსაზღვრა, პირის სულიერი ალელეების დადგენა დანაშაულის ჩადენის მომენტში; სქესობრივი დანაშაულის გახსნის დროს და ა. შ.

ამ საკითხების გადაწყვეტა საჭიროებს ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული ცოდნის კომპლექსურ გამოყენებას, ხოლო რიგ შემთხვევაში მხოლოდ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას.

მ. ს. სტროგოვიჩი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესში გამოცხადებული უნდა იყოს მოწმის ჩვენების სისწორის დადგენა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად<sup>5</sup>. აღნიშნული მოსაზრება არ არის სწორი, რადგან იგი გამომდინარეობს ფსიქოლოგიური ექსპერტიზის კომპეტენციის არასწორი გაგებიდან.

ექსპერტი — ფსიქოლოგი არასდროს არ წყვეტს საკითხს მოწმის ჩვენების სინამდვილის თუ სიცრუის შესახებ. იგი მხოლოდ მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გამოყენების საფუძველზე ადგენს იმას, შეეძლო თუ არა მოწმეს, კონკრეტულ ვითარებაში, სწორად აღექვა მოვლენები, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტა სრულიადაც არ ნიშნავს მოწმის ჩვენების სისწორის ან სიცრუის განსაზღვრას, რომლის გადასაწყვეტად მოწოდებულნი არიან თვით სავამომძიებლო და სასამართლო ორგანოები. ექსპერტის დასკვნა მხოლოდ ხელს უწყობს იმას, რომ მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ სწორად გადაწყვიტონ მოწმის ჩვენების სისწორის საკითხი.

სპეციალური ცოდნის გამოყენების ძირითად ფორმას სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს სასამართლო ექსპერტიზა. გარდა ამ ფორმისა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და განხილვის დროს წარმატებით გამოიყენება სხვა ფორმებიც: სპეციალისტის ჩაბმა სავამომძიებლო (სასამართლო) მოქმედებათა წარმოების პროცესში; კონსულტანტის მოწვევა წამოჭრილი სპეციალური საკითხების განმარტებისა და გადაწყვეტისათვის; რევიზიის ჩატარება სავამომძიებლო და სასამართლო ორგანოების ინიციატივით.

სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც სპეციალური ცოდნის გამოყენების ყველა ფორმა განხილულია, ერთი ძირითადი ფორმის, სასამართლო ექსპერტიზის სახით. ყველაზე უფრო გარკვევით ასეთი მოსაზრება გამოთქმული აქვს მ. მ. გროდზინსკის<sup>6</sup>.

ექსპერტიზის ინსტიტუტის ასეთი ფართო გაგება არ შეესაბამება არა მართო ამჟამად მოქმედ, არამედ წინათ არსებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც. სპეციალური ცოდნის გამოყენების სხვა ფორმისათვის დამახასიათებელი არ არის დასკვნის შედგენის აუცილებლობა, სპეციალური დადგენილების (განჩინების) გამოტანა და სხვა. ამიტომ არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ სპეციალური ცოდნის ყველა ფორმა. მ. მ. გროდზინსკის მცდარი მოსაზრება

<sup>5</sup> М. С. Строгович, Там же, стр. 119.

<sup>6</sup> об. М. М. Гродзинский, Сущность и формы экспертизы в советском уголовном процессе, Ученые записки Харьковского юридического института, выпуск шестой, Харьков, 1955, стр. 64—66.

არა ერთხელ იყო გაკრიტიკებული პროცესუალურ ლიტერატურაში, რომ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით აღარ შეეჩერდებით<sup>7</sup>.

გ. ს. ბერლიანდის მიერ, პირიქით, გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც უარყოფილია სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმა საბუთების ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. გ. ს. ბერლიანდი ექსპერტიზად არ სთვლის უხილავი ტექსტების გამოვლინებისა და გადასწორების დადგენას. ასეთ დასკვნას ავტორი აკეთებს იმის საფუძველზე, რომ თითქოს ამ საკითხის გადაწყვეტა არ საჭიროებს სპეციალური ცოდნის გამოყენებას.

გ. ს. ბერლიანდი უხილავი ტექსტების გამოვლინებისა და გადასწორების დადგენისათვის აცალიბებს სპეციალური ცოდნის გამოყენების დამოუკიდებელ, ახალ ფორმას. ამ ფორმისათვის ავტორის აზრით დამახასიათებელია ის, რომ გამოძიებელს (სასამართლოს) გამოაქვს არა დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, არამედ „დადგენილება (განჩინება) ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთის გამოკვლევის შესახებ“; ექსპერტი ადგენს არა ექსპერტის დასკვნას, არამედ „ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთის გამოკვლევის აქტს“<sup>8</sup>.

გ. ს. ბერლიანდის მოსაზრება ხელოვნურია და თეორიულად დაუსაბუთებელი. უხილავი ტექსტებისა და გადასწორების ფაქტის დადგენის დროს ექსპერტი იყენებს გამოკვლევის რთულ მეთოდებს: ინფრაწითელ, ულტრაიისფერ სხივებს, კონტრასტის გაძლიერების მეთოდს, მიკროსკოპულ გამოკვლევასა და სხვა. ამ მეთოდების გამოყენება საჭიროებს პირის მომზადებას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და სპეციალურ ცოდნას.

საექსპერტო პრაქტიკაში გვხვდება ტექსტის ამოშლის ან გადასწორების დადგენის ადვილი შემთხვევები, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტაც საჭიროებს სპეციალური ცოდნის გამოყენებას, რთულ გამოკვლევასა და გამოვლინებული ნიშნების შეფასებას. ტექსტის ამოშლისა და გადასწორების ფაქტის დადგენის სირთულე თუ მარტივობა დგინდება მხოლოდ ექსპერტიზის ჩატარების შედეგად, ამიტომ ექსპერტიზის დამნიშნავი პირი თავიდანვე ვერც განსაზღვრავს გამოკვლევის სირთულის ხარისხს.

**3. ექსპერტიზის ჩატარების პროცესუალური გაფორმება.** ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებელ და სავალდებულო პროცესუალურ გაფორმებას: ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების (განჩინების) შედგენას.

ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება (განჩინება) წარმოადგენს ერთადერთ საბუთს, სადაც განსაზღვრულია ექსპერტიზის ამოცანა, გამოსაკვლევი ობიექტები და გადასაწყვეტი საკითხები. ამ საბუთის ძალით მყარდება პროცესუალური ურთიერთობა გამოძიებელსა (სასამართლოსა) და ექსპერტიზის მონაწილე სხვა პირთა შორის.

<sup>7</sup> იხ. В. А. Притузова, Заключение эксперта как доказательство в уголовном процессе, М., 1959, стр. 17—27; А. В. Дулов, Вопросы теории судебной экспертизы, Минск, 1959, стр. 86—89; И. Л. Петрухин, Экспертиза как средство доказывания в советском уголовном процессе, М., 1964, стр. 25—30.

<sup>8</sup> Г. С. Берлянд, К вопросу о формах применения специальных познаний в уголовном судопроизводстве, Информационный бюллетень, Вильнюс, 1965, стр. 85—90.

საპროცესო კანონის უხეშ დარღვევას უნდა მიეწეროს ყველა ის შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების მაგიერ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ადგენენ „წერილობით მიმართვას“, „სასამართლო სხდომის ოქმის ამონაწერს“, „გადასაწყვეტი საკითხების სიას“. პრაქტიკაში ადგილი აქვს კანონის ისეთ დარღვევასაც, როდესაც საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს არ გამოაქვთ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება (განჩინება) და მიუთითებენ ექსპერტს, რომ მან იხელმძღვანელოს პირველადი ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებით.

ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება (განჩინება) წარმოადგენს იმდენად მნიშვნელოვან პროცესუალურ საბუთს, რომ კანონი აწესებს ძირითად მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ეს საბუთი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლი).

ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებელი და სათანადო პროცესუალური ვაფორმება წარმოადგენს ექსპერტიზის ინსტიტუტის მეტად მნიშვნელოვან არსებით პრინციპს.

**4. ექსპერტის პროცესუალური დამოუკიდებლობა და მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მიცემული დასკვნისათვის.** სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტი აღჭურვილია ფართო უფლებებით და პროცესუალური ავტონომიით. კანონის თანახმად ექსპერტი დასკვნას იძლევა თავისი სახელით და პირადად პასუხისმგებელია მის მიერ მიცემული დასკვნისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი).

ექსპერტის პროცესუალური ავტონომია იმაში გამოიხატება, რომ საკითხების გადაწყვეტის დროს იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ თავისი სპეციალური ცოდნით, ატარებს ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას. არავინ არ არის კანონით უფლებამოსილი უკარნახოს ექსპერტს თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს მან მის წინაშე დასმული საკითხი. მომკვლევნი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის ყოველგვარი ცდა შეზღუდოს ექსპერტი თავის უფლებებში, განხილული უნდა იყოს, როგორც კანონის უხეშ დარღვევა.

ექსპერტის პროცესუალური დამოუკიდებლობა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა იმაშიც გამოიხატება, რომ თუ კი კომისიური ექსპერტიზის ჩატარების დროს ექსპერტები მივლენ სხვადასხვა დასკვნამდე ან ვერ შეთანხმდებიან ცალკეულ საკითხებში, თვითიველი მათგანი ადგენს ცალკე დასკვნას და პასუხისმგებელია ამ დასკვნისთვის.

არ შეესაბამება კანონის მოთხოვნას და ზღუდავს ექსპერტის პროცესუალური ავტონომიას ი. ლ. პეტრუხინის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც სასამართლოს და გამომძიებელს უფლება აქვს დაავალდებულოს ექსპერტი, რომ მან გამოკვლევის პროცესში გამოიყენოს ესა თუ ის მეთოდი<sup>9</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევის პროცესში ცალკეული მეთოდების გამოყენების საკითხი მთლიანად შედის ექსპერტის კომპეტენციაში და არავის არ შეუძლია დაავალდებულოს ექსპერტი, რათა მან გამოიყენოს ესა თუ ის მეთოდი. გამომძიებელს, სასამართლოს შეუძლია თხოვოს ამის შესახებ ექსპერტს,

<sup>9</sup> იხ. И. Л. Петрухин. Экспертиза как средство доказывания в советском уголовном процессе, М., 1964, стр. 17.

4. საბჭოთა სამართალი № 3.

მაგრამ ასეთი თხოვნა ყოველთვის ატარებს სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტსა და საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს შორის წამოიჭრება უთანხმოება, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტთა თათბირი წამოჭრილი უთანხმოების სწორი გადაჭრის მიზნით, მაგრამ ამ თათბირის გადაწყვეტილებასაც აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

მცდარ მოსაზრებას გამოთქვამს ა. ვ. დულოვი, როდესაც იგი აღნიშნავს: წამოჭრილი უთანხმოების შემთხვევაში ექსპერტიზის დამნიშნავ პირს არ შეიძლება გადაეგზავნოს ექსპერტის ისეთი დასკვნა, რომლის შინაარსაც არ ეთანხმება საექსპერტო დაწესებულების კოლექტივი<sup>10</sup>. ექსპერტის ასეთი გაუპიროვნება ზღუდავს მის პროცესუალურ ავტონომიას. კოლექტივის წევრებს შეუძლია გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, მაგრამ იგი სავალდებულო არ არის ექსპერტისათვის, რომელიც ადგენს დასკვნას მხოლოდ თავის სახელით და პასუხს აგებს მისი სისწორისათვის.

5. **ექსპერტის მიერ ობიექტების უშუალო გამოკვლევა.** ექსპერტი ვალდებულია შეადგინოს დასკვნა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი უშუალოდ გამოიკვლევს ექსპერტიზის ყველა ობიექტებს. კანონში აღნიშნულია, რომ ექსპერტის დასკვნა უნდა ემყარებოდეს ჩატარებულ გამოკვლევას და ექსპერტმა დასკვნაში უნდა აღნიშნოს თუ რა გამოკვლევა აწარმოა მან. (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლი).

ექსპერტის მიერ ობიექტების შესწავლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერტმა გამოკვლევა აწარმოოს უშუალოდ, ე. ი. იმ პირმა, ვისაც დავალებული აქვს ექსპერტიზის ჩატარება, გამოიყენოს სპეციალური ცოდნა, დასკვნაში აღნიშნოს თუ რა სახის გამოკვლევა აწარმოა მან. ყველა ეს ნიშნები თავის ერთობლიობაში განასხვავებენ ექსპერტიზას, სპეციალური ცოდნის გამოყენების სხვა ფორმებისაგან.

ექსპერტის მიერ ობიექტების უშუალო გამოკვლევის პრინციპის უარყოფა ფაქტიურად დამცემული აქვს ი. ლ. პეტრუხინს, როდესაც იგი იხილავს კომპლექსური ექსპერტიზის წარმოების დროს წამყვანი ექსპერტის როლს. აი რას სწერს ი. ლ. პეტრუხინი: დასაშვებია შემთხვევა, როდესაც კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების დროს წამყვანი ექსპერტი არავითარ გამოკვლევას არ აწარმოებს და ადგენს მხოლოდ დასკვნას იმ გამოკვლევების საფუძველზე, რომლებსაც სხვა ექსპერტები აწარმოებენ<sup>11</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი ექსპერტი არ არის საბატიო თანამდებობა ან სხვა ექსპერტების მეთვალყურე, იგი არ გამოდის აგრეთვე კონსულტანტის როლში. წამყვანი ექსპერტი ისე, როგორც სხვები, ვალდებულია ყოველთვის აწარმოოს უშუალო გამოკვლევა. დასკვნის შედგენა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, ვინც აწარმოებს ექსპერტიზის ობიექტების უშუალო გამოკვლევას. ეს არის კანონის პირდაპირი მოთხოვნა და მისი დაცვა სავალდებულოა ყველა შემთხვევაში.

6. **გამოკვლევის ობიექტური და ყოველმხრივი ჩატარება.** ექსპერტის დასკ.

<sup>10</sup> იხ. А. В. Дулов, Права и обязанности участников судебной экспертизы, Минск, 1962, стр. 319.

<sup>11</sup> И. Л. Петрухин, Комплексная экспертиза в советском уголовном процессе, Правоведение, 1962, № 1, стр. 104—105.

ვნა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დამამტკიცებელი საბუთის სრულყოფილი წყარო თუ კი იგი მიღებული იქნება არაობიექტური, არასრული და ცალმხრივი გამოკვლევის ჩატარების შედეგად. გამოკვლევის ობიექტური და ყოველმხრივი ჩატარება წარმოადგენს ექსპერტის პროცესუალურ ვალდებულებას და იგი პირდაპირაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

გამოკვლევის ობიექტურობა იმას გულისხმობს, რომ თვითონ ექსპერტი არ უნდა იყოს დაინტერესებული საქმის გადაწყვეტის შედეგებით, თვით გამოკვლევა უნდა აწარმოოს ობიექტურად, სწორედ ასახოს გამოკვლევის შედეგები, მიუთითოს ყველა იმ ნიშნებზე, რომელიც დადგენილ იქნა გამოკვლევის შედეგად. ექსპერტს უფლება არა აქვს გამოკვლევის პროცესში დადგენილი ნიშნები აღწეროს ცალმხრივად ან საერთოდ არ მიუთითოს მათზე.

გამოკვლევის ყოველმხრივობა იმას გულისხმობს, რომ ექსპერტმა სრულად გამოიკვლიოს ექსპერტიზის ობიექტები, გამოიყენოს ყველა მეთოდები, რომლებიც საჭიროა სრული დასკვნის მიცემისათვის, დაადგინოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ნიშნები, სრულად ასახოს გამოკვლევის პროცესი თავის დასკვნაში, პასუხი გასცეს მის წინაშე დასმულ კითხვებს სრულად და ამოწურავად.

**7. გამოკვლევის შედეგების აუცილებელი პროცესუალური გაფორმება.**  
ექსპერტიზა არ შეიძლება დამთავრდეს გამოკვლევის შედეგების სათანადო პროცესუალური გაფორმების გარეშე. უმრავლესი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები მოითხოვენ, რათა გამოკვლევის შედეგად შედგენილ იქნას „ექსპერტის დასკვნა“. რიგ შემთხვევაში პროცესუალური საბუთი, რომელიც დგება გამოკვლევის შედეგად, წოდებულია, როგორც „ექსპერტიზის აქტი“ (იხ. ყაზახეთის სსრ სსსკ 173-ე მუხლი, ლიტვის სსრ სსსკ 214-ე მუხლი, ესტონეთის სსრ სსსკ 160-ე მუხლი). ორივე ამ პროცესუალურ საბუთს აქვს ერთნაირი ძალა და უნდა აკმაყოფილებდნენ ერთნაირ პროცესუალურ მოთხოვნებს. სხვაობა მხოლოდ მათ დასახელებაშია.

ექსპერტის დასკვნა (ექსპერტიზის აქტი), კანონის თანახმად, წარმოადგენს დამამტკიცებელი საბუთის წყაროს და იგი, როგორც მნიშვნელოვანი პროცესუალური საბუთი უნდა შედგეს გარკვეული წესების დაცვით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლი აყალიბებს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ექსპერტის დასკვნა.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ავალდებულებს ექსპერტს პროცესუალური საბუთით გააფორმოს ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის ფაქტიც. ასეთ საბუთს ექსპერტი ადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც მის წინაშე დასმული კითხვების გადაწყვეტა არ შედის მის კომპეტენციაში ან ვერ იქნება მოპოვებული მასალები, რომლებიც საჭიროა დასკვნის მიცემისათვის.

სასამართლო ექსპერტიზის ყოველი პროცესუალური პრინციპი მიუთითებს ექსპერტიზის ინსტიტუტის ცალკეულ არსებით მხარეზე, ხოლო ყველა მათგანი განმარტავს ექსპერტიზის არსსა და ბუნებას საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

ქორწინებისა და ოჯახის თანხვედრა სსრ კავშირისა და მოკავშირე  
კანონმდებლობის საფუძვლებზე დასაყრდენად

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო აღდგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები და სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1968 წლის 1 ოქტომბრიდან.

**მუხლი 2.** დადგინდეს, რომ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესი ბავშვის მამად იმ პირის ცნობის სასამართლო წესის შესახებ, რომელთანაც დედა ქორწინებაში არ ყოფილა, გამოყენებულ იქნება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ დაბადებული ბავშვების მიმართ.

**მუხლი 3.** იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე შეეძინებოდათ დაუქორწინებელ პირებს, მამობა შეიძლება დადგინდეს ბავშვის დედისა და იმ პირის ერთობლივი განცხადებით, რომელიც თავს ბავშვის მამად ცნობს. იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში. რომლის კმაყოფილება იყო ბავშვი და ცნო თავი ბავშვის მამად, მის მიერ მამობის ცნობის ფაქტი შეიძლება დადგინდეს სამართლის წესით. მშობლების ერთობლივი განცხადების ან მამობის ცნობის ფაქტის დადგენის შესახებ ან მამობის ცნობის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქეობრივი მდგომარეობის

აქტების ჩამწერ ორგანოებში წარმოებას შესაბამისი რეგისტრაცია ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის ჩაწერით.

მამობის დადგენა სრულწლოვანებს მიღწეულ პირთა მიმართ შეიძლება მხოლოდ მათი თანხმობით.

**მუხლი 4.** მამობის დადგენისას ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესით ბავშვებს ისეთივე უფლებანი და მოვალეობანი აქვთ მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ, როგორც ბავშვებს, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში ნამყოფი პირების შვილები არიან.

**მუხლი 5.** საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე დაბადებული ბავშვის დედის განცხადებით დაბადების ჩაწერის წიგნში და ბავშვის დაბადების მოწმობაში ჩაიწერება ბავშვის მამა იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის მეხუთე ნაწილით.

**მუხლი 6.** შენარჩუნებულ იქნას დაუქორწინებელი დედის ის უფლება, რომ მიიღოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო დახმარება მის მიერ შობილი ბავშვის რჩენისა და აღზრდისათვის, აგრეთვე უფლება — მოათავსოს ბავშვი საბავშვო დაწესებულებაში სარჩინად და აღსაზრდელად მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე. თუ ბავშვის მამა არ დადგინდება კანონით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 7.** დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაად-

გინოს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესი და შეუფარდოს სსრ კავშირის კანონმდებლობის საფუძვლებს.

**მუხლი 8.** დაევალოს მოკავშირე რეს-

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. კოლგორნი**  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგბაძე**  
**მოსკოვი, კრემლი. 1968 წ. 27 ივნისი.**

### საფუძვლები სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

ზრუნვა საბჭოთა ოჯახისათვის, რომელშიც პარმონიულად არის შეხამებული მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოთა კავშირში შექმნილია ოჯახის განმტკიცებისა და აყვავების ყველაზე ხელშემწყობი პირობები. განუხრელად უმოგბესდება მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახის საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები, სოციალისტური საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს დედობის დაცვას და წახალისებას, ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფას.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარება ოჯახის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. სახელმწიფო და საზოგადოება ყოველნაირად ეხმარებიან ოჯახს ბავშვების აღზრდაში, ფართოდება საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ქსელი.

საბჭოთა ქალს უზრუნველყოფილი აქვს საჭირო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები იმისათვის, რომ ბედნიერი დედაობა შეუხამოს სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებით მონაწილეობას საწარმო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კანონმდებლობამ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ოჯახური ურთიერთობის საბოლოოდ განთავისუფლებას მატერიალური ანგარიშებისაგან, ყოფაცხოვრებაში ქალის უთანასწორო მდგომარეობის ნაშთების აღმოფხვრას და კომუნისტური ოჯახის შექმნას, რომელშიც სრულად დაკმაყოფილება წევრების ყველაზე ღრმა პირადი გრძნობები.

#### ნაწილი I

#### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

პუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუფარდონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებს.

**საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები.**

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანებია:

შემდგომი განმტკიცება საბჭოთა ოჯახისა, რომელიც ემყარება კომუნისტური მორალის პრინციპს;

ოჯახური ურთიერთობის დამყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით საქორწინო კავშირზე, მატერიალური ანგარიშებისაგან თავისუფალი ურთიერთსიყვარულის ოჯახის ყველა წევრის მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებზე;

ოჯახის მიერ ბავშვების აღზრდა სამშობლოსადმი ერთგულების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებული სულისკვეთებით საზოგადოებრივ აღზრდასთან ორგანულად შეხამებით და ბავშვების მოზადება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონა-

ღედისა და ბავშვის ინტერესების ყოველმხრივ დაცვა და თვითელი ბავშვისათვის ბედწილობისათვის;


ნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა;

ოჯახურ ურთიერთობაში წარსულის მკვნე გადმონაშთებისა და ჩვეულებების საბოლოოდ აღმოფხვრა;

ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა.

**მუხლი 2.** ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებს კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.

კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ადგენს დაქორწინების წესსა და პირობებს, აწესრიგებს პირად და ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც ოჯახში წარმოიშობა ცოლქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის, ოჯახის სხვა წევრებს შორის, ურთიერთობას, რომელიც წამოიშობა შვილად აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან, ბავშვების აღზრდელად აყვანასთან დაკავშირებით, განქორწინების



წესსა და პირობებს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესს.

**მუხლი 3. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა ოჯახურ ურთიერთობაში.**

ოჯახურ ურთიერთობაში ქალსა და მამაკაცს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებანი აქვთ.

უფლებათა თანასწორობას ოჯახში საფუძვლად უდევს სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებანი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

**მუხლი 4. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ოჯახურ ურთიერთობაში, მიუხედავად მათი ეროვნების, რასისა და რელიგიისადმი დამოკიდებულებისა.**

ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეროვნების, რასის და რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, აქვს თანაბარი უფლებანი ოჯახურ ურთიერთობაში.

არ დაიშვება უფლებათა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის დადგენა დაქორწინების დროს და ოჯახურ ურთიერთობაში ეროვნების, რასობრივი კუთვნილების ან რელიგიისადმი დამოკიდებულების მიხედვით.

**მუხლი 5. დედობის დაცვა და წახალისება.**

სსრ კავშირში დედობა გარემოსილია საყოველთაო-სახალხო პატივისცემითა და დაფასებით — მას იცავს და ახალისებს სახელმწიფო.

დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვას უზრუნველყოფს სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა, ორსულობისა და მშობიარობის გამო ქალისათვის შეგებულების მიცემა ხელფასის შენახვით, ორსული ქალებისა და დედაბისათვის შეღავათების დაწესება; წარმოებაში შრომის დაცვა, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედეებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემა, აგრეთვე ოჯახისათვის სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარების გაწევა.

**მუხლი 6. საქორწინო და ოჯახური ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება სახელმწიფოს მიერ.**

საქორწინო ოჯახურ ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას სსრ კავშირში ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო.

აღიარებულია მხოლოდ დაქორწინება, რომელიც მოხდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

ქორწინების რელიგიურ წესს, ისე როგორც სხვა რელიგიურ წესებს, სამართლებრივად მნიშვნელობა არა აქვს.

ეს წესი არ ეხება იმ რელიგიურ წესებს, რომლებიც შესრულებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საბჭოთა ორგანოების შექმნამდე ან აღდგენამდე და ამ წესების დასადასტურებლად მიღებულ დოკუმენტებს დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების შესახებ.

**მუხლი 7. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.**

კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ შეიცავს ამ საფუძვლებსა და მათ შესაბამისად გამოცემულ სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა წყვეტს საკითხებს, რომლებიც ამ საფუძვლებით მიეკუთვნება მათს გამგებლობას, და საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის საკითხებს, რომლებიც უშუალოდ გოთვალისწინებული არ არის ამ საფუძვლებით.

**მუხლი 8. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის გამოყენება.**

დაქორწინებას, ურთიერთობას ცოლ-ქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, შვილად აყვანას, მამობის დადგენას, აღიშენების გადახდევინებას, მეურვეობასა და მზრუნველობის დაწესებას, განქორწინებას, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას აწესებობენ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომლის ორგანო ახდენს ან რეგისტრაციაში ატარებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესაბამის აქტს ან წყვეტს წამოკრილ დავას.

ქორწინების, შვილად აყვანის, მეურვეობის და მზრუნველობის დაწესების და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სინამდვილეს განსაზღვრავს იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზე მოხდა დაქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება ან რეგისტრირებული იყო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტი.

**ნაწილი II**

**ქორწინება**

**მუხ. 9. დაქორწინება.**

დაქორწინება ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ისე მეუღლეთა და შვილთა პირადი და



ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ დაქორწინება, რომელიც მოხდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

დაქორწინება ფორმდება ერთი თვის გავლის შემდეგ იმ დროიდან, რაც დაქორწინების მსურველები განცხადებას შეიტანენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. ცალკეული შემთხვევებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება ამ ვადის შემცირება ან გადიდება.

დაქორწინება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები უზრუნველყოფენ ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებას დაქორწინების მსურველ პირთა თანხმობით.

**მუხლი 10. დაქორწინების პირობები.**

დაქორწინებისათვის საჭიროა იმ პირთა თანხმობა, რომლებსაც დაქორწინება სურთ, და მათ მიერ საქორწინო ასაკის მიღწევა.

საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუძლია გაითვალისწინოს საქორწინო ასაკის შემცირება, მაგრამ სულ ბევრი ორი წლით.

დაქორწინება არ შეუძლიათ:

პარებს, რომელთაგან თუნდაც ერთი უკვე დაქორწინებულია სხვასთან;

პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესაებს, ღვიძლ და არაღვიძლ ძმებსა და დებს, აგრეთვე შვილად ამყვანებსა და შვილად აყვანილებს;

პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი სსს-მართლოს მიერ ცნობილია სულიერი დაავადებისა და ჭკუასუსტობის გამო არაქმედუნარიანად.

**მუხლი 11. მეუღლეთა პირადი უფლებანი.**

დაქორწინების დროს მეუღლენა თავიანთი სურვილისამებრ ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს თავიანთ საერთო გვარად ან მეუღლეთაგან თვითიული იტოვენ თავის ქორწინებამდელ გვარს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს მეუღლეთა უფლება ატარონ ორი გვარი.

შვილების აღზრდის საკითხსა და ოჯახის ცხოვრებას სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ.

თვითიული მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს მოსაქმეობა, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

**მუხლი 12. მეუღლეთა ქონება.**

ქონება, რომელიც მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს, მათა საერთო ერთობლივი საკუთრებაა. მეუღლეებს აქვთ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარი უფლება.

მეუღლეებს თანაბარი უფლებანი აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უფლიდა შვილებს, ან სხვა საპატიო მიზნების გამო არაჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

საერთო ერთობლივი საკუთრების გაყოფის შემთხვევაში მეუღლეთა წილი თანაბარი უნდა იყოს. ცალკეულ შემთხვევებში სსსმართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები.

მეუღლეთა დაქორწინებამდე კუთვნილი, აგრეთვე ქორწინების დროს საჩუქრად ამ მემკვიდრეობით მიღებული ქონება თვითიული მათგანის საკუთრებაა.

ამ მუხლის წესები ვრცელდება მეუღლეთა — საკოლმეურნეო კომლის წევრთა მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მათს პირად საკუთრებას შეადგენს.


მეუღლეთა საკოლმეურნეო კომლის საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

**მუხლი 13. მეუღლეთა ურთიერთ რჩენის ვალდებულებანი.**

მეუღლენი ვალდებული არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. თუ ერთ-ერთმა მხარემ უარი თქვა მატერიალურ დახმარებაზე, რომელიც მეორე მხარეს სჭირდება. შრომისუუნარო მეუღლეს, აგრეთვე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს სსს-მართლოს მეშვეობით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) მეუღლისაგან, თუ მას შეუძლია ამ სარჩოს მიცემა. ეს უფლება ძალაში რჩება განქორწინების შემდეგაც.

განქორწინებულ მეუღლეს, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, აგრეთვე აქვს სარჩოს მიღების უფლება, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. თუ მეუღლენი დიდხანს იყვნენ ქორწინებაში, სსსმართლოს უფლება აქვს ალიმენტი გადაახდევინოს განქორწინებული მეუღლის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მეუღლემ საპენსიო ასაკს მიაღწია არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების მომენტთან.

ცალკეულ შემთხვევებში მეუღლე შეიძლება განთავისუფლებულ იქნას მეორე მეუღლის რჩე-



ნის ვალდებულებისაგან ანდა მისი ვალდებულება შეიძლება განისაზღვროს ვადით. პირობებს, რომელთა დროს სასამართლოს შეუძლია ერთი მეუღლე გაათავისუფლოს მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან შეზღუდოს ეს მოვალეობა ვადით, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა.

**მუხლი 14. ქორწინების შეწყვეტა.**

ქორწინება წყდება სიკვდილის შედეგად ან სასამართლო წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალილად გამოცხადების შედეგად.

მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინება შეაძლება შეწყდეს განქორწინებით ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადებით.

განქორწინება ხდება სასამართლო წესით. სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად.

ქორწინება წყდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.

ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის უქონლად აღძრას განქორწინების საქმე ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო საჭირო შემთხვევაში იღებს ზომებს არასრულწლოვანი ბავშვისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დაცვადად.

მეუღლეთა განქორწინებაზე, რომლებსაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, ურთიერთ-თანხმობის დროს განქორწინება ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში. ამ შემთხვევებში გაყრის გაფორმება და მეუღლეებისათვის განქორწინების შესახებ მოწმობის მიცემა წარმოებს სამი თვის მანძილზე განქორწინების შესახებ მეუღლეთა მიერ განცხადების შეტანის დღიდან.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში წარმოებს აგრეთვე განქორწინება პირებთან:

რომლებიც კანონით დადგენილი წესით აღიარებული არიან უგზოუკვლოდ წასულად;

კანონით დადგენილი წესით არაქმედუნარიანად აღიარებული არიან სულით ავადმყოფობის ან ჰჰუასუსტობის გამო;

დანაშაულის ჩადენისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა სულ ცოტა სამი წლით.

თუ დავა წარმოიშვა, განქორწინება ამ შემთხვევებში ხდება სასამართლოს მეშვეობით.

მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა და ქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატარებდეს მეუღლის გვარს,

ან მისი მოთხოვნით ეძლევა გვარი, რომელსაც დაქორწინებამდე ატარებდა.

**მუხლი 15. ქორწინების ბათილობა.**

ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნას ბათილად, თუ დარღვეულია პირობები, რომლებიც დადგენილია ამ საფუძვლების მეათე მუხლათ, აგრეთვე მაშინ, თუ ქორწინების რეგისტრაცია არ ისახავდა მიზნად ოჯახის შექმნას (ფიქტიური ქორწინება). ქორწინების ბათილად ცნობა ხდება სასამართლო წესით.

ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების დროს დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე, ქორწინების ბათილად ცნობის სხვა შედეგებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

**ნაწილი III**

**ოჯახი**

**მუხლი 16. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები.**

მშობლებისა და შვილების ურთიერთ უფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.

ბავშვის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ქორწინებაში არიან, დასტურდება მშობელთა ქორწინების შესახებ ჩანაწერით. ბავშვის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, ირკვევა ბავშვის დედ-მამის ერთობლივი განცხადების შეტანის გზით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

თუ ბავშვები შეეძინათ დაუქორწინებელ მშობლებს, მშობელთა ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეოჯახეობას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენას ან დამამტიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

**მუხლი 17. მშობელთა ჩაწერა დაბადების ჩაწერის წიგნებში.**

ქორწინებაში მყოფი დედა და მამა ბავშვის მშობლებად ჩაიწერებიან დაბადების ჩაწერის წიგნში ერთ-ერთი მათგანის განცხადებით.

თუ მშობლები ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, ჩაწერა ბავშვის დედის შესახებ წარმოებს დედის განცხადებით, ხოლო ჩაწერა

ბავშვის მამის შესახებ — ბავშვის მამისა და დედის ერთობლივი განცხადებით, ან მამა ჩაიწერება სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად. დედის გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე მამის, როცა შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ჩაწერა ბავშვის მამის შესახებ წარმოებს მამის განცხადებით.

როცა ბავშვი შეეძინება დედას, რომელიც ქორწინებაში არ არის, თუ არ არის მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის შესახებ ჩაწერა წარმოებს დედის გვართ; სახელი და მამის სახელი ბავშვის მამისა ჩაიწერება დედის მითითებით.

**მუხლი 18. მშობლების უფლება-მოვალეობანი.**

მამისა და დედას თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ თავიანთი შვილების მიმართ.

მშობლებმა თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ კომუნისმის მიწინებლის მორალური კლდექის სულიკვეთებით, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისათვის, სწავლებისათვის და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მოსამზადებლად.

მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები და შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა მათს მშობლებს ეკისრებათ.

მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ შვილების დაზრუნება ყოველი პირისაგან, რომელიც ბავშვებს უკანონოდ ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე იტოვებს.

მშობლის უფლებანი არ შეიძლება განხორციელდეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მშობლები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და თანაბარი მოვალეობანი აკისრიათ თავიანთი შვილების მიმართ იმ შემთხვევებშიც, როცა მათ შორის ქორწინება შეწყვეტილია. მშობლებს შორის შვილების საცხოვრებელი ადგილისა და აღზრდის საკითხების გამო დავის გადაწყვეტის წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

**მუხლი 19. მშობლის უფლებათა ჩამორთმევა.**

მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ჩამორთვას მშობლის უფლებანი, თუ გამოირკვევა, რომ ისანი თავს არიდებენ თავიანთ მოვალეობებს შვილების აღზრდის საქმეში ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს, სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მაგენ გავლენას

ახდენენ შვილებზე თავიანთი ამორალური ან ტისაზოგადოებრივი ყოფაქცევით, აგრეთვე თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან.

მშობლის უფლებების ჩამორთმევის საქმეები განიხილება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის (მზრუნველის) განცხადებით, აგრეთვე პროკურორის სარჩელით.

როცა ორივე მშობელს ჩამორთმევა მშობლის უფლებანი, ბავშვი აღსაზრდელად გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

სასამართლო შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის ჩამორთმევისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის აღსაზრდელად მისი გადაცემის შესახებ მშობლის უფლებათა ჩამორთმევის მიუხედავად, თუ ბავშვის დატოვება იმ პირებთან, რომლებთანაც იგი არის, მისთვის საშიშია.

მშობლის უფლებათა აღდგენა დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს ბავშვის ინტერესები და თუ ბავშვი ნაშვილები არ არის.

მშობლის უფლებათა ჩამორთმევა და მშობლის უფლებათა აღდგენა წარმოებს მხოლოდ სასამართლო წესით.

მშობლის უფლებათა ჩამორთმევა მშობლებს არ ათავისუფლებს შვილების რჩენის მოვალეობისაგან.

**მუხლი 20. შვილების მოვალეობა მშობლების რჩენისათვის.**

სრულწლოვანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ და იზრუნონ მათზე.

შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ თავიანთი მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას.

**მუხლი 21. ოჯახის სხვა წევრების სალიმენტო მოვალეობანი.**

არასრულწლოვან ბავშვების რჩენის მოვალეობა, თუ მათ მშობლები არა ჰყავთ, შეიძლება დაეკისროს სხვა ნათესავეებს — ბაბას, ბებიას, ძმას, დას, აგრეთვე მამინაცვალს და დედინაცვალს.

ოჯახის შრომისუუნარო სრულწლოვანი წევრების რჩენის მოვალეობა, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, თუ მათ არა ჰყავთ მეუღლეები, მშობლები ან სრულწლოვანი შვილები, შეიძლება დაეკისროს შვილიშვილებს, აგრეთვე გერებს.

მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ნათესაებისა და სხვა

პირების ურთიერთობის უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის სხვა საფუძვლებიც.

### მუხლი 22. ალიმენტის ოდენობა.

აბასრულწლოვანი შვილების ალიმენტი მშობლებს გადახდებთ შემდეგ ოდენობით: ერთ ბავშვზე — მშობლების ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, ორ ბავშვზე — ერთი მესამედი, სამ და მეტ ბავშვზე — ნახევარი.

ამ წილის ოდენობა შეიძლება შეამციროს სასამართლომ, თუ მშობელს, რომელიც მოვალეა იხდიდეს ალიმენტს, ჰყავს სხვა აბასრულწლოვანი შვილები, რომლებაც ამ მუხლით დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდისას შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილი, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს აღებენ, აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია ან თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს ალიმენტის ოდენობა ან ალიმენტის გადახდისაგან გაათავისუფლოს მშობლები, თუ შვილები სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფიზე არიან. საბავშვო დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების სარჩენი ხარჯება ამ დაწესებულებათა სასარგებლოდ შეიძლება გადახდეს ბავშვების მშობლებს ამ მუხლით დადგენილი ოდენობით.

ცალკეულ შემთხვევაში, როცა შეუძლებელი ან ძნელია მშობლების ხელფასიდან ალიმენტის წილობრივად გადახდევინება, მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს აბასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობა მტკიცე ფულადი თანხით, ამ თანხის ოდენობა განისაზღვრება მშობლის სავარაუდო ხელფასიდან (შემოსავლიდან) ზემოაღნიშნულ დებულებათა შესაბამისად.

მშობლებს, რომლებიც ალიმენტს უხდიან აბასრულწლოვან ბავშვებს, შეიძლება დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობა, დასახიჩრება და სხვ.).

ხელფასის (შემოსავლის) სახეობანი, რომლებიც მხედველობაში მიიღება ალიმენტის დაკავების დროს, განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მშობლებისაგან ალიმენტის გადახდევინების დროს შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილებისათვის, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, აგრეთვე სარჩენი სახსრების გადახდევინების ყველა დანარჩენ შემთხვევაში ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მტკიცე ფულადი

და თანხით, ამასთან ითვალისწინებენ იმ პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას, რომელსაც უნდა გადაახდევინონ ალიმენტი, და იმ პირისას, რომელიც ალიმენტს იღებს.

### მუხლი 23. ალიმენტის გადახდის ან გადახდევინების წესი.

ალიმენტს ნებაყოფლობითი წესით ან პირადად იხდის ის პირი, რომელიც მოვალეა ალიმენტი იხადოს, ან ადმინისტრაციის მეშვეობით სამუშაო ადგილის თუ პენსიის, სტიპენდიის მიღების ადგილს მიხედვით.

ალიმენტის გადახდის ნებაყოფლობითი წესი არ გამოირჩევა ალიმენტის მიმღების უფლებას ნებისმიერ დროს სასამართლოს სარჩელით მიმართოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ყოველთვიურად ხელფასიდან (პენსიიდან, დახმარებიდან, სტიპენდიიდან და სხვ.) ალიმენტს უკავებს ალიმენტის გადახდელს მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე და გადაუხდის ან გადაუზღავნის განცხადებაში მოხსენიებულ პირს.

### მუხლი 24. შვილად აყვანა.

შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვან ბავშვებისა და მათი ინტერესებისათვის.

შვილად აყვანა ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აბასრულელებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იმ პირის თხოვნის თანახმად, რომელსაც ბავშვის შვილად აყვანა სურს.

შვილად აყვანისათვის საჭიროა მშობელთა თანხმობა, რომელსაც ჩამორთმეული არა აქვთ მშობლის უფლებანი, აგრეთვე შვილად ასაყვანის თანხმობა, თუ მისი ასაკი ათ წელს აღწევს. ბავშვის თანხმობის გამოვლინების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

თუ მშობლები თავს არიღებენ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას, როგორც გამონაკლისი, შვილად აყვანა შეიძლება მოხდეს მშობლების თანხმობის მიუღებლად. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს, თუ როგორია შვილად აყვანის წესი და რა პირობებში შეიძლება მოხდეს ეს მშობლების თანხმობის მიუღებლად.

დაქორწინებული პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს, თუ ბავშვს ორივე მეუღლე არ იყვანს შვილად, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს პირობებს, რომელთა დროს, გამონაკლისის სახით, შვილად აყვანა შეიძლება მოხდეს მეორე მეუღლის თანხმობის მიუღებლად.

შვილად აყვანის ბათილობის ცნობა და შვილად აყვანის გაუქმება ხდება მხოლოდ სასამართლო წესით.

შვილად აყვანის წესებს, შვილად აყვანის ბათილობის ცნობის პირობებსა და შვილად აყვანის გაუქმების პირობებს, აგრეთვე გაუქმების შედეგებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შვილად აყვანის საიდუმლოებას.

**მუხლი 25. შვილად ამყვანთა, შვილად აყვანითა და მათ ნათესავთა უფლება-მოვალეობანი.**

შვილად აყვანილნი და მათი შთამომავლობა შვილად ამყვანთა და მათ ნათესავთა მიმართ, ხოლო შვილად ამყვანნი და მათი ნათესავები შვილად აყვანილთა და მათი შთამომავლობის მიმართ უთანასწორდებიან პირადი და ქონებრივი უფლებებით და მოვალეობებით შთამომავლობითს ნათესავებს.

შვილად აყვანილნი კარგავენ პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდებიან მოვალეობისგან თავიანთი მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ. ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს ეს უფლებანი და მოვალეობანი შეიძლება დარჩეს დედის სურვილით, თუ შვილად ამყვანი მამაკაცია, ან მამის სურვილით, თუ შვილად ამყვანი ქალია. არასრულწლოვანები, რომლებსაც შვილად აყვანის მომენტისათვის აქვთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პენსია ან დახმარება, რაც მათ მარჩენალის დაკარგვას შემთხვევაში ეკუთვნით, ამ უფლებას ინარჩუნებენ მათი შვილად აყვანის დროსაც.

შვილად ამყვანთა თხოვნით, ისინი შეიძლება ჩაწერილ იქნან დაბადების ჩაწერას წიგნებში როგორც შვილად აყვანილთა მშობლები.

**მუხლი 26. მეურვეობა და მზრუნველობა.**

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისათვის, რომლებიც მშობლების სიკვდილის, მშობლებსათვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩნენ მშობლის მზრუნველობას მოკლებულნი, აგრეთვე ამ ბავშვების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება ავლებულნი, აგრეთვე ამ ბავშვების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შესაძლოა თავიანთი მოვალეობანი.

მეურვეობასა და მზრუნველობას აწესებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო), სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მეურვეთა და მზრუნველთა უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის წესებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

**ნაწილი IV.**

**მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები**

**მუხლი 27. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია.**

დაბადება, გარდაცვალება, დაქორწინება, განქორწინება, შვილად აყვანა, მამობის დადგენა, სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლა რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი სახელმწიფო ორგანოებში.

**მუხლი 28. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებზე შედავების წესი.**

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებში შეცდომების შესწორებისა და ცვლილებების შეტანას, თუ ამის საკმაო საფუძველია და არ დავობენ დაინტერესებული პირები, აწარმოებენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები. თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები უარს იტყვიან ჩანაწერების შესწორებასა თუ შეცვლაზე, უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თუ დაინტერესებული პირები დავობენ, ჩანაწერის შესწორება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

**მუხლი 29. სააქტო წიგნები. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესები.**

ძირითად დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების შეცვლის და აღდგენის წესს, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წიგნების ფორმებისა და იმ მოწმობათა ფორმებს, რომლებიც გაიცემა ამ წიგნებში ჩანაწერების საფუძველზე, სააქტო წიგნების შენახვის წესსა და ვადებს ადგენს სსრკ მინისტრთა საბჭო.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესს, მათ შორის ქორწინებისა და დაბადების საზეიმო ვითარებაში რეგისტრაციის წესს, აგრეთვე იმ წესს, რომ მექორწინებმა ერთმანეთს გააცნონ ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობა და განუ-

მარტონ თავიანთი უფლებანი და მოვალეობანი როგორც მომავალმა მეუღლეებმა და მშობლებმა, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

#### ნაწილი V.

**ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის გამოყენება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება.**

#### მუხლი 30. ბავშვთა მოქალაქეობა.

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების დროს სსრ კავშირის მოქალაქე იყო, სსრ კავშირის მოქალაქედ ითვლება, სადაც უნდა დაბადებულიყო.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობის დროს, რომელთაგან ერთი ბავშვის დაბადების მომენტისათვის სსრ კავშირის მოქალაქე იყო, ბავშვი ითვლება სსრ კავშირის მოქალაქედ იმ პირობით, თუ ერთი მშობელი მაინც ამ დროს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ხოლო თუ ამ დროს ორივე მშობელი სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა, ბავშვის მოქალაქეობა განისაზღვრება მათი შეთანხმებით.

**მუხლი 31. საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან და უცხოელთა დაქორწინება ერთმანეთთან სსრ კავშირში.**

საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან, აგრეთვე უცხოელთა დაქორწინება ერთმანეთთან სსრ კავშირში ხდება საერთო საფუძვლებზე.

საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან არ იწვევს მოქალაქეობის შეცვლას.

უცხოელთა შორის ქორწინება, რომელიც ხდება სსრ კავშირში უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოებსა თუ საკონსულოებში, სსრ კავშირში ძალამოსილად ჩაითვლება ურთიერთთანხმობის პირობით, თუ ეს პირნი ქორწინების მომენტში იმ სახელმწიფოს მოლაქენი იყვნენ, რომელმაც ელჩი ან კონსული დაინშნა.

**მუხლი 32. საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება და მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების შესრულება სსრ კავშირის საელჩოებსა და საკონსულოებში. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაქორწინების აღიარება.**

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები

საბჭოთა მოქალაქეები ქორწინდებიან სსრ კავშირის საელჩოებში ან საკონსულოებში.

საზღვარგარეთ სსრ კავშირის საელჩოებსა და საკონსულოებში დაქორწინებისა თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების შესრულების დროს გამოყენებულ იქნება იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონები, რომლის მოქალაქენი არიან დაინტერესებული პირნი. თუ დაინტერესებული პირნი არიან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქენი ან დადგენილი არ არის, რომელი რესპუბლიკის მოქალაქენი არიან ისინი, მაშინ მათი შეთანხმებით გამოყენებულ იქნება ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კანონები, ხოლო შეთანხმების შემთხვევაში იმ თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით, რომელიც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის რეგისტრაციას ახდენს.

იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა მოქალაქეებს შორის დაქორწინება და უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება ხდება სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაქორწინების იმ ფორმის დაცვით, რომელიც დაქორწინების ადგილის კანონით არის დადგენილი, ეს დაქორწინება ძალამოსილად ჩაითვლება სსრ კავშირში, თუ ძალამოსილად ჩაითვლას ხელს არ უშლიან ამ საფუძვლებს მე-10 და მე-15 მუხლებიდან გამომდინარე დაბრკოლებანი.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით უცხოელთა დაქორწინება ძალამოსილად ჩაითვლება სსრ კავშირში.

**მუხლი 33. უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების ქორწინებისა და უცხოელთა შორის ქორწინების შეწყვეტა სსრ კავშირში. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მომხდარ განქორწინებათა აღიარება.**

უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების ქორწინების, აგრეთვე უცხოელთა შორის ქორწინების შეწყვეტა სსრ კავშირში ხდება საერთო საფუძვლებზე.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით საბჭოთა მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ქორწინების შეწყვეტა ძალამოსილად ჩაითვლება სსრ კავშირში, თუ ქორწინების მომენტში ერთი მეუღლე მაინც სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით საბჭოთა მოქალაქეების განქორწინება ძალამოსილად ჩაითვლება სსრ კავშირში, თუ ორივე მეუღლე განქორწინების მომენტში სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით უცხოელთა განქორწინება ძალამოსილად ჩაითვლება სსრ კავშირში.

საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებს უფლება აქვთ განქორწინდნენ სსრ კავშირის სასამართლო ორგანოებში.

**მუხლი 34. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვთა შვილად აყვანა.** სსრ კავშირში უცხოელთა მიერ ბავშვების შვილად აყვანის წესები.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა ხდება სსრ კავშირის საელჩოში ან საკონსულოში. თუ შვილად ამყვანს საბჭოთა მოქალაქეობა არა აქვს, შვილად აყვანისათვის საჭიროა მიიღოს მოკავშირე რესპუბლიკის ამ საკითხში უფლებამოსილი ორგანოს ნებართვა.

ძალამოსილად ითვლება აგრეთვე საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა, როცა ეს ხდება იმ სახელმწიფოს ორგანოებში, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს ბავშვი, თუ წინასწარ მიიღებენ შვილად აყვანის ნებართვას მოკავშირე რესპუბლიკის ამ საკითხში უფლებამოსილი ორგანოსაგან.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე უცხოელთაგან საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვების შვილად აყვანის წესებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

**მუხლი 35. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის გა-**

**მოყენება მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ.**

სსრ კავშირში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირნი ქორწინდებიან და განქორწინდებიან, სარგებლობენ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობიდან გამომდინარე უფლებებით და ეკისრებათ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობანი საბჭოთა მოქალაქეებთან საერთო საფუძველზე.

**მუხლი 36. უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება.**

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონების გამოყენება ან ამ კანონებზე დაფუძნებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების აღიარება არ შეიძლება, თუ ასეთი გამოყენება ან აღიარება ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძველს.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით. რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილია წესები, რომლებიც განსხვავდება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან, მაშინ გამოყენებულ იქნება საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები. იგივე დებულება იქნება გამოყენებული მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც ეს მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია წესები, რომლებიც განსხვავდება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ამ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან.



# ილია ჭავჭავაძე სამართლის ნაკრებებისა და აკისის შესახებ

## 3. მატრიალური

ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სამართალზე ჯერჯერობით შეუსწავლელი საკითხია. მისი შესწავლა და წარმოჩენა გადაუდებელი საქმეა, ვინაიდან იგი წარმოადგენს ერთგვარ გასაღებს ილია ჭავჭავაძის იურიდიული მემკვიდრეობის შემდგომი კვლევისათვის. ეს საკითხი იმითაც არის სიანტერესო, რომ ილია ჭავჭავაძე იზიარებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა პროგრესულ იდეებს, ეს უკანასკნელნი კი სამართლის არსის საკითხში შორს გასცდნენ ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ იურისტებს. გამომდინარე აქედან ინტერესს იწვევს თუ რა პოზიციას იღებდა ილია ჭავჭავაძე, როგორია მისი სამართლებრივი შეხედულებანი.

1857 წლის 15 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტში ილიას სწავლის პერიოდს დაემთხვა რუსეთის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის გართულება, რაც გამოიხატა: გლეხთა ფართო მასების აჯანყებებში, სტუდენტთა გამოსვლებში, საბატონო რეფორმის მომზადებაში. ილიას სწავლის პერიოდში უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ რადიკალურად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები: ე. სპასოვიჩი, კ. კაველინი, ბ. უტინი და სხვები. მათ უდიდესი ზეგავლენა იქონიეს ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე: უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ილია ჭავჭავაძე გაეცნო დასავლეთ ევროპის პროგრესულ იდეებს. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ ილია არ კმაყოფილდებოდა უნივერსიტეტში მოსმენილი ლექციებით, იგი დამოუკიდებლად იღრმავებდა ცოდნას, კითხულობს ძალიან ბევრს. ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკას თუ გავეცნობით ვნახავთ, რომ ილია სწავლობდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე იურისტთა შრომებს. ილიას გარდაცვალების შემდეგ მის პირად ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა უამრავი იურიდიული მონოგრაფია, რომელთა თითქმის

ყოველ გვერდზე გაკეთებულია ილიას შენიშვნები.

ილია ჭავჭავაძემ საფუძვლად იურიდიული განათლება მიიღო. იგი სტუდენტობის წლებშივე ეზიარა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოწინავე იდეებს. გაეცნო რა რევოლუციონერ-დემოკრატთა სამართლებრივ შეხედულებებს და უნივერსიტეტის დამთავრებისათვის (თუმცა მას უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია) უკვე მწყობრი სამართლებრივი შეხედულებანი ჰქონდა. გარდა ამისა ილია კარგად იცნობდა ქართული სამართლის წყაროებს, განსაკუთრებით კი ვახტანგ VI კანონმდებლობას, მოწინავე ქართველ იურისტთა (ბავრათიონების) ნაზარევის, რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა მომრიგებელ მოსამართლედ, ყოველივე ეს კი ილიას სამართლებრივი აზროვნების დასაყრდენს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძეს სპეციალური სამართლებრივი ტაქტი არ დაუტოვებია (ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული არ არის). სწორედ ეს გარემოება აქნებებს ილიას სამართლებრივი შეხედულებების შესწავლას; ეს სიძნელე რომ გადავლახოთ საჭიროა გამოვიყენოთ ილიას მხატვრული, კრიტიკული და პუბლიცისტური ნაშრომები, ასევე ღუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიერ გარჩეული საქმეები და ამ გზით ჩამოვაყალიბოთ ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სამართალზე. ეს თემა მეტად ვრცელია, მასში განხილული უნდა იქნას ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სამართლის წარმოშობის, სამართლის არსის, სამართლის დანიშნულების, ჩვეულებითი სამართლის, სამართლის ახსნა-განმარტების, მართლმსაჯულებისა და სასამართლო ენის შესახებ.

ბურჟუაზიული იურისტები და სახელმწიფოთმცოდნეები სამართლის წარმოშობას იდეალისტური კონცეფციებით ხსნიდნენ. ისინი სამართალს არ განიხილავდნენ როგორც ისტორიულ და კლასობრივ მოვლენას.

1 იხ. ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, თბილისი, 1957 წ.  
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 8, გვ. 257-258.



ილია ჭავჭავაძე ცდილობს სამართლის წარმოშობა დაუკავშიროს საზოგადოების განვითარების გარკვეულ დონეს, სახელმწიფოს წარმოშობას, ახსნას იგი კლასობრივი მიზეზებით. მაგრამ ილიამ ვერ შეძლო თანმიმდევრული ყოფილიყო, თუმცა მთელი რიგი საკითხების გადაჭრისას მატერიალისტურ პოზიციებზე დგას და მეტად საყურადღებო მოსაზრებებს გვთავაზობს.

მიწათსარგებლობის ერთ-ერთი სახის — ხიზნობის საკითხის გარკვევისას ილია გამოთქვამს შეხედულებას, რომ შორეულ წარსულში ადამიანთა ურთიერთობა — კერძოდ, მიწათსარგებლობის ნიადაგზე წარმოშობილი ურთიერთობა — ჩვეულების მეშვეობით რეგულირდება, ე. ი. სამართლის წარმოშობამდე ამ უკანასკნელის ფუნქციებს ჩვეულება ასრულებდა. შემდგომში კი, როდესაც სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ჩვეულება თანდათან გზა შეეკრა და მისი ადგილი „რჯულმა“ ანუ ჩვეულებითმა სამართალმა დაიკავა.

ხიზნობა ანუ სხვისა მიწით სარგებლობის წესი, ილიას აზრით მაშინ დამკვიდრდა, როდესაც საზოგადოება დაიყო „მიწინებად“ და „უმიწობად“. ეს წესი გარკვეულ პერიოდში მოქმედებდა, მაგრამ შემდგომში იგი თანდათან შეიზღუდა „იმიტომ კი არა, რომ ბუნებითად გამოუსადეგარი და უგვანო რამ წესი იყო, არამედ იმიტომ, რომ იტალიაში, როგორც ბევრგან სხვაგან, რჯულმა, კანონმა მხარი არ მისცა, მფარველობა არ გაუწია წესსა, რომელიც თვით ცხოვრებამ გააჩინა, ჩვეულებად აქცია და ჩვეულებამ ვაფრცეკა და პატრონობა გაუწია რამდენიმე საუკუნე იმ წყლულის ცოტად თუ ბევრად გასამართლებლად, რაიც მიწისა და ხელის განცალკევებამ დიდ მუწუჯად აუჩინა კაცთა საზოგადოებრივს ტანსა. არ მისცა მხარი და მფარველობა არ გაუწია ჯერ იმიტომ, რომ რჯულსა, კანონს ბირად საკუთრების ხელშეუხებლობაზედ აგებულს, როგორც თვალში არ მოსდის და ეხამუშება გადაუღებელი ხმარება სხვის მიწისა, ერთისა და იმავე ღალითა; და მეორე იმიტომ, რომ ხელშეუხებლობა ბირადის საკუთრებისა — მართლა, თუ ტყუილად — მერმისის ქვაკუთხედად აღიარებულა, და ყოველს, რა ჰსდუდავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვინებს ძნელად იწყნარებს“<sup>3</sup>.

ამრიგად, ილიას აზრით ჩვეულება სამართლის მსგავსად ადამიანთა ურთიერთობას აწეს-

რიგებდა გარკვეულ პერიოდში, მაგრამ თუ მას უარყოფს გაბატონებული კლასი (მიწისმკონებლები) — იმიტომ, რომ მისთვის ეს უკანასკნელი აღარაა მისაღები და მას დაწერილი კანონით ცვლის.

სხვა ადგილზე, ილია, იქ სადაც ხიზნობის წარმოშობის მიზეზებს იხილავს, სამართლის წარმოშობასაც ეხება.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ხიზნობის, როგორც მიწათსარგებლობის ერთ-ერთი ქართული სახის გამოკვლევისას მარტო ადგილობრივი გარემოებების შესწავლით ვერ დავკმაყოფილდებით: „ამისათვის, რასაკვირველია ყველაზე უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზედვე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა, მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას“<sup>4</sup>. ილიას აზრით, საჭიროა ამ მოვლენის შესასწავლად იმ ქვეყანას მივმართოთ, სადაც იგი უფრო სრულად ჩანს. ილია ფიქრობს, რომ სამართლის წარმოშობის ახსნასაც ამავე მეთოდით უნდა მივუდგეთ.

ილია კი არ აყალიბებს ახალ თეორიას სამართლის წარმოშობის შესახებ, არამედ იხილავს ინგლისელი მეცნიერის ჰენრიხ მენის შეხედულებას ამ საკითხზე და ეთანხმება მას. ჰენრიხ მენის შესახებ ილია აღნიშნავს: „ინგლისის გამოჩენილი მეცნიერი ჰენრი მენი ამბობს, რომ მაგავე მეთოდით მივმართოთ მართლიერების (правд) ახსნასაო, — სულ ახალს ნათელს მოვფენდით პირველ — ჟამურ ბიჯს ცივილიზაციის მსვლელობისასაო. მაშინ ცხადად აღმოჩნდებოდა, რომ კანონები დადგენილ არიან ქვეყნიერობაზედ იმიტომ კი არა, რომ ესე ნებადა აღამინასა, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიური საჭიროება ერთის მხრით და მეორეს მხრით სიმართლე, წარმომდგარი ზნეობითის და სარწმუნოების გრძობათავანაო. ეგ საჭიროება, ეგ გრძობა და იღებები ყველგან ერთგვარად მოქმედებდნენ კაცთა განვითარებაზედ და ერთგვარი წყობილებაც შემოიტანეს ყველგანაცაო“<sup>5</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ილია ჭავჭავაძე სამართლის წარმოშობას ობიექტური მიზეზებით ხსნის. მისი აზრით სამართალი ეკონომიურმა საჭიროებამ წარმოშვა და არა ადამიანის სუბიექტურმა ნებამ. ილიას ეს მოსაზ-

3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 149.

4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 118.

5 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 119.



რება, ჩვენი აზრით, მეტად დასაფასებელია. მართო ის მიითება, რომ სამართლის წარმოშობა ადამიანის ნება-სურვილით კი არ იყო განპირობებული, არამედ ობიექტურმა ეკონომიურმა გარემოებებმა განსაზღვრა — ილიას მატერიალისტთა რიგებში აყენებს.

სხვა ადგილზე ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართალი „ცხოვრებიდან“ მომდინარეობს, „კანონის სათავე ცხოვრებაა“<sup>6</sup>. მაშასადამე, ილიას პირველადი ობიექტური რეალობა, „ცხოვრება“ მიაჩნია, რომელზედაც აღიმართება სამართალი, და რომელიც „ცხოვრებით“ განისაზღვრება. სწორედ ამ მხრივ ილია ჭავჭავაძე წინ უსწრებს რეაქციულ „სამართლის ნორმატულ“ სკოლას, რომლის წარმომადგენლები (ი. კანტი, რ. შტამლერი, გ. კელზნი და სხვა) აიდეალუბდნენ სამართალს, აღნიშნავდნენ, რომ სამართალი არის პირველადი და გადამწყვეტი, ხოლო ეკონომიკა მასზეა დაქვემდებარებული და სამართლით განისაზღვრება.

ილია ჭავჭავაძე ამ საკითხში მატერიალისტად გვევლინება, იგი ცნობს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ რეალობას. მისი აზრით პირველადი „ცხოვრებაა“, ხოლო ზედნაშენური მოვლენები (სამართალი), უკუზემოქმედებს ახდენენ მასზე, ხელს უწყობენ ან პირიქით აფერხებენ „ცხოვრებას“, ამ აზრის დასასაბუთებლად უამრავი ამონაწერის გაკეთება შეიძლება ილია ჭავჭავაძის შრომებიდან<sup>7</sup>. ჩვენ აქ დავკმაყოფილებთ მხოლოდ ერთი ამონაწერით: „მართალია კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს ცხოვრების აკარგვანობაზე. აქ ერთმანეთის ზეგავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება წვრთნის კანონს, კანონიც სწვრთნის ცხოვრებასა და მაშასადამე საზოგადოებასაც, ერსაცა“<sup>8</sup>.

ზემოთ ჩვენ აღნიშნეთ ილიას დადებითი და მისაღები მოსაზრებანი სამართლის წარმოშობის საკითხზე. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს სამართლის წარმოშობის საკითხში გააჩნია მარქსისტული მეცნიერებისათვის მიუღებელი დებულებანიც. ასე მაგალითად: ილია აღნიშნავს, რომ სამართლის წარ-

მოშობა მეორეს მხრივ განპირობებულია „ზნეობითის და სარწმუნოების გრძნობით წარმოდგარი სიმაართლისაგან“. სამართლის წარმოშობის ასეთი „მიზეზი“ არამეცნიერულია, იდეალისტურია და, ჩვენი აზრით, უნათესავდება ბუნებითი სამართლის თეორიას. სწორედ ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსები თვლიდნენ პოზიტიურ სამართალს, როგორც საყოველთაო აბსტრაქტული სამართლის გამოვლინებად<sup>9</sup>.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის აზრით, სამართალი ისტორიული კატეგორიაა. იგი ყოველთვის არ არსებობდა, არამედ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა. სამართლის წარმოშობა განპირობა ობიექტურმა ეკონომიურმა პირობებმა.

ილია ჭავჭავაძის აზრი, სამართლის წარმოშობის შესახებ ძირითადად მატერიალისტურია, მაგრამ არასრული, ამასთან, ილიას ზოგიერთი არგუმენტი ამ საკითხზე იდეალისტურია და ამდენად არამეცნიერული.

ილია ჭავჭავაძე სამართლის წარმოშობის საკითხის ახსნისას ვერ ამძლდა მარქსიზმის მიღებულუბამდე, რომლის მიხედვით სამართალი საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგს წარმოადგენს, რომ იგი „გაბატონებული კლასის ნებაა კანონსა და ქცეული“ — ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვისა და განმტკიცების მიზნით.

მიუხედავად ამას ილიას მოსაზრებანი სამართლის წარმოშობის საკითხზე საბოლოო ჯამში პროგრესულია და გამოირჩევა თავისი ორიგინალობით.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე სამართალს ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საშუალებად მიიჩნევს. მისი აზრით, სამართალმა უპირველეს ყოვლისა საზოგადოების წევრთა უფლებამოვალეობანი უნდა ჩამოაყალიბოს და იზრუნოს მათ რეალურად განხორციელებისათვის.

სამართლის არსის შესახებ ილიას სპეციალურად არ გამოუთქვამს თავისი აზრი, ამიტომ ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა მისი შრომე-

<sup>6</sup> ჩვენი აზრით, სიტყვა „ცხოვრება“ ილიას ესმის საზოგადოების ეკონომიური წყობის მნიშვნელობით. რა თქმა უნდა საზოგადოების ეკონომიური წყობის ილიასეული გაგება შორსაა მარქსისტული გაგებისაგან, იმდენად რამდენად ილია მარქსიზმის წინა პერიოდის მოაზროვნეა.

<sup>7</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 43, 111, ტ. 7, გვ. 96 და სხვ.

<sup>8</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 8, გვ. 347.

<sup>9</sup> Н. И. Палиенко. Учение о существе права и правовой связанности государства, Харьков, 1908 г., стр. 129—145.

ბიდან ამოვკრიბოთ გამონათქვამები, რომლებიც სამართლის არსს შეეხებიან. ამჯერად, ჩვენ განვიხილავთ ილია ჭავჭავაძის მიერ ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებას, სადაც სამართლის არსზე დაცულა ლაბარაკი.

როგორც ცნობილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის იმპერიაში ირლანდიის ურთიერთობა მეტად ვართულდა. ირლანდია მოითხოვდა ინგლისისაგან დამოუკიდებლობას. ამ უკანასკნელს კი არ სურდა ირლანდიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. თვით ინგლისის ხელმძღვანელ წრეებში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა: მთავრობის მეთაური გლადსტონი მოითხოვდა, რომ ირლანდიისათვის საკუთარი პარლამენტის უფლება მიენიჭებიათ ე. ი. გლადსტონი ემხრობოდა ირლანდიის მოწყობას ინგლისის იმპერიაში ავტონომიის სახით. გლადსტონი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ აუცილებელი და სამართლიანია ყველა ერს თვითგამორკვევის უფლება მისცემოდა.

გლადსტონის მოწინააღმდეგე დასი (სალუსბერის მეთაურობით) თვლიდა, რომ ირლანდიას არავითარი უფლება არ უნდა მიენიჭებოდა. აღნიშნული დასი იმ მოსაზრებიდან გამოდიოდა, რომ რადგანაც ინგლისი ვაცილებით ძლიერია ირლანდიაზე — ამიტომ მას თავისი ნება უნდა მოახვიოს თავზე და მოეპყრას ისე, როგორც თვითონ სურს. სწორედ ამ ქვეყნების ურთიერთობის შესახებ გამოთქვამს ილია ჭავჭავაძე თავის მოსაზრებას და გარკვეულ დასკვნებს აკეთებს სამართლის არსის, მისი რაობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ გლადსტონის აზრი სწორია, რადგანაც სამართლიანობაზე დამყარებული, ხოლო სალუსბერის აზრი არ არის სწორი, რამდენადაც უსამართლობის საწყისზე დაფუძნებული. ილია ჭავჭავაძე სვამს საკითხს თუ რა არის მოცემულ შემთხვევაში სამართალი: სამართალი ძალაა, ძალმომრეობაა თუ პირიქით ძალმომრეობა არის სამართალი. უფრო ნათლად რომ გამოვხატოთ ეს აზრი, ასე ჩამოვყალიბოთ: სამართალს ძალა ქმნის ე. ი. სამართლის საფუძველი ძალმომრეობაა თუ პირიქით თვით სამართალი არის ძალმომრეობის სათავე და შემქმნელი. ამ საკითხს ილია ასე პასუხობს: „გლადსტონის პროექტი წარმოდგება იმ დედაზრიდან, რომ სამართალია ძალა, რომ ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს

და ყოველს თავის მოქმედებას, ვერაზნებულად გაწყობას და მოთავსებას სამართალი უნდა სათავედა ჰქონდესო. ღობე, მარტო იმ მიზეზით, რომ დაბალია, არასდროს არ უნდა გადალახული იქნასო, ყველას აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭისაგან არავინ არ უნდა იყოსო გამოვლებული მარტო იმ მიზეზითა, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურიო. აქ შუამავალი, მოციქული მარტო სიმართლე და სამართალი უნდა იყოსო და არა სხვა რამე“<sup>10</sup>.

ილია ჭავჭავაძის ზემოთ აღნიშნული სიტყვების ანალიზით ვრწმუნდებით, რომ მას სამართლის საწყისად სიმართლე და სამართლიანობა მიაჩნია. ილიას აზრით ის სამართალია ნამდვილი, რომელიც სამართლიანობაზე დამყარებული. მაშასადამე, ილია ერთმანეთისაგან ანსხვავებს ორი სახის სამართალს: 1. სამართალი, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობაზე, სიმართლეზე და 2. სამართალი, რომელიც არ არის დამყარებული სამართლიანობასა და სიმართლეზე, არამედ ემყარება ძალას, ძალმომრეობას. პირველს ილია ჭავჭავაძე ნამდვილ სამართალს უწოდებს, ამასთან მომხრეა, რომ ქვეყანაზე ადამიანთა ურთიერთობა ასეთი სამართლით მოწყობილად, ხოლო მეორეს უწოდებს უსამართლოს, არა ნამდვილს და მიაჩნია, რომ ასეთი სამართალი ვერ მოაწერივებს ადამიანთა ნორმალურ ურთიერთობას: „გლადსტონის წინააღმდეგე დასი, რომელსაც წინ უძღვის სალუსბერი, იმ მოძღვრებაზეა დამყარებული, რომ საცა ძალაა იქ სამართალს ხმა და ხელი არა აქვსო“<sup>11</sup>. თუ ილიას ზემოაღნიშნულ მოსაზრებას სამართლის არსის საკითხზე ღრმად ჩავუყვარდებით, ვნახავთ, რომ მას ბევრი რამ აქვს საერთო XVII—XVIII ს. ს. ბუნებითი სამართლის სკოლასთან.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პეტერბურგის უნივერსიტეტში ეზიარა დასავლეთ ევროპის ქვეყნების იდეებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილია უდავოდ იცნობდა ბუნებითი სამართლის სკოლას და ამ სკოლის წარმომადგენელთა შრომებს, თუმცა ამის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ილიას შრომებიდან გამოსკვივის ის აზრი, რომ ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლებმა გარკვეული ვავლენა იქონიეს მასზე. ილია ბუნებითი სამართლის სკოლის მსგავსად იცნობს მოქმედ პოზიტიურ—დადებით სამართალს და იდეალურ სამართალს ანუ ბუნებით სამართალს.

ილია ჭავჭავაძე დადებით (პოზიტიურ) სა-

10 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 9, გვ. 199-200.

11 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9 გვ. 199—200.

მართალს ფორმალურ სამართალს უწოდებს. პოზიტიურ სამართალს ილია გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ პრიორიტეტს მასთან შედარებით ბუნებით სამართალს მიაკუთვნებს. ასე მაგალითად, „ცხოვრება და კანონის“ მეშვენიერ წერილში ილია ჭავჭავაძე მიმოიხილავს მომრიგებელი მოსამართლის საქმიანობას, ამ თანამდებობის შემოღების მნიშვნელობას და გაკვრით ეხება როგორც პოზიტიურ ისე ბუნებით სამართალს: „კანონმდებელთა აზრით, მომრიგებელი მოსამართლე ხალხის შინაური და მახლობელი მსაჯულია, და თითონ ხალხსაც ეხამუშებაო ფორმალური სამართალე (ხაზი ჩვენია ვ. მ.) და პატივს მსცემს იმისთანა სიმართლეს, რომელიც, მისი აზრით ნამდვილი და ჭეშმარიტია და რომელსაც“ მეცნიერნი ბუნებრივს სამართალეს (ხაზი ჩვენია — ვ. მ.) უწოდებენ<sup>12</sup>. „ბუნებრივი სამართალე“ სქოლიოში ილიას მიერ განმარტებულია რუსულად ასე: *Естественная справедливость*“.

მეტად საინტერესოა თუ როგორ ესმის ილიას „ბუნებრივი სამართალე“. იგი ამის შესახებ თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ იგი არის ის „სამართალე, რომელიც ხალხის სინდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სამართალედ უტყვია და დღესაც სამართალედ სწამს“<sup>13</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილიას ბუნებითი სამართლის მიღწევის ერთ-ერთ გზად აღათვბი, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ჩვევები მიაჩნია. ილიას აზრით კაცობრიობა თავის სასუქვარ სამართალს (ბუნებით სამართალს) ახორციელებდა და ამკვიდრებდა ქცევის გარკვეულ წესით, რომელსაც ზოგს წარსულიდან სესხულობდა და ზოგს კიდევ თვითონ შეიმუშავებდა. ამდენად ილიას აზრით ბუნებით სამართალსა და აღათვბს შორის მეტად მჭიდრო კავშირი არსებობს, მაგრამ მათ ერთმანეთთან როდი აიგივებს, ილიას აზრით „ჩვეულება... ეგ დედაბოძია ბუნებრივის სამართლისა...“<sup>14</sup>.

ილია ბუნებით სამართალს იდეათა სფეროს მიაკუთვნებს, მისი აზრით პოზიტიური სამართალი მუდამ იმის სწრაფვაში უნდა იყოს, რომ ბუნებით სამართალს მიუახლოვდეს. მაგრამ თუ რა არის სინამდვილეში ბუნებითი სამართალი („ბუნებითი სამართალე“) ამ სკოლის ყველა წარმომადგენლების მსგავსად,

ილიასთვისაც გაურკვეველი დარჩა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ილია ბუნებით სამართალედ თვლის „ხალხის სინდისის შესაფერ, ასევე რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უტყვია და დღესაც სიმართლედ სწამს“, მაგრამ რით იზომება ეს „ხალხის სინდისის შესაფერი“ სამართალი, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უტყვია და დღესაც სიმართლედ სწამს“, რა წარმოდგენს მის მასშტაბს — ილიასთვის გაურკვეველი დარჩა.

დადებითი სამართლის არსის გარკვევისას ილია სვამს საკითხს: რა უნდა ედგას სამართალს საფუძვლად, რა უნდა ამოძრავებდეს მას? ილია თვითონვე პასუხობს, რომ მოქმედ სამართალს საფუძვლად უნდა ედოს სამართალე და სხვა არაფერი, ილია გმობს მოსაზრებას, რომლის მიხედვით სამართალს განსაზღვრავს ძალა. სამართლისა და ძალის (ძალმომრეობის) ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ილიას აზრს ვპოულობთ ხიზნების მოწყობის საკითხზე წამოყენებულ წინადადებაში<sup>15</sup>.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ხიზნებისა და მემამულეების ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ სამართალზე უნდა იქნეს დაფუძნებული და სხვა არაფერზე: „ჯერ ყველაზედ უწინარეს, უმრავლესობათა და უმცირესობათა შორის სიმართლე უნდა იყოს გამკითხველი: ამან სიმართლემ, უნდა მოაშველოს ერთმანეთში ეგ ორი მხარე. ჩვენის ფიქრით, საზოგადოებრივ საქმეში არც უმცირესი უნდა შესწიროს კაცმა უმრავლესობას და არც უმრავლესობა უმცირესობას, ორივე უნდა დაემორჩილოს მარტო სიმართლეს<sup>16</sup>. (ხაზი ჩვენია ვ. მ.). ილიას აზრით, იქ სადაც სიმართლე აშკარად უმცირესობის მხარეზეა, მაგრამ უმრავლესობა იმარჯვებს და თავის აზრს თუ ნებას მოახვევს ბირველს — ადგილი აქვს არა სამართალს, არამედ ძალმომრეობას.

საკითხს იმის შესახებ, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად სამართალს, ძალმომრეობა თუ აღამიანთა შორის ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, სათნოება — ილია ხშირად უბრუნდება და თითქმის ყველგან ერთ და იმავე პოზიციასზე დგას — სამართლის საფუძვლად არ შეიძლება იყოს ძალმომრეობა, ძალა კი არ უნდა განსაზღვრავდეს სამართალს, არამედ თვით სამართალი უნდა იქცეს ძალად, რადგან

12. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 93.

13. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 93.

14. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 96.

15. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 135.

16. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 135.

„სამართალი, მთელი ერის განწმენდილი სინდისია, მთელი ერის განწმენდილი ნამუსია“<sup>17</sup>.

1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ ილიამ გამოაქვეყნა წერილი<sup>18</sup>, რომელშიაც მიმოიხილავს ევროპის ქვეყნების — კერძოდ ინგლისის, გერმანიისა და პორტუგალიის დაპყრობით საქმიანობას, მათ შორის წარმოშობილ კონფლიქტებს და გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამს სამართლისა და ძალის (ძალმომრეობის) ურთიერთობის შესახებ. ილია აღნიშნავს, რომ ერთ დროს ძლიერ, მაგრამ ამჟამად დაუძლურებულ პორტუგალიას აფრიკაში უამრავი კოლონიები გააჩნდა, რომელსაც ეხლა ინგლისი ებატრონება.

პორტუგალია, იმის გამო, რომ ინგლისთან შედარებით სუსტი სახელმწიფოა — ვერ შეეჭიდა ინგლისს და მოითხოვა, რომ „სამართლე“ მის მხარეზე და ამდენად ინგლისმა ხელი უნდა აიღოს მისი კუთვნილი კოლონიების დაპყრობაზე, რომ ინგლისი არღვევს სამართალს. ილია კომენტარს უკეთებს ამ ფაქტს და აღნიშნავს: „სამართალიო, იძახის პორტუგალია ქვეყანაზე, რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩილას გამოავლენდა იქ პორტუგალიასაც. საიღამაც. მისულებართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი? იგი თვალწინ ლამბარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელბული ძალა არ მოვა და ერთის შეებრვით არ ჩააქრობს ხოლმე“<sup>19</sup>.

ი. ჭავჭავაძის შემოაღნიშნული სიტყვები სამართლის არის შესახებ იმაზე მიგვიბრუნებებს, რომ იგი მოქმედ (პოზიტიურ) სამართალს განიხილავს როგორც ძალის (ძალმომრეობის) შედეგს ე. ი. სამართალ მისია, ვინც ძლიერია, სამართალი ემსახურება ძლიერს.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ზემო აღვნიშნეთ სწორად აფასებს მომხდარ ფაქტს. ამასთან ღრმავაროვანია სამართლის ილიასეული შეფასებაც. ილიას არ მიაჩნია სამართლიანად რომ ინგლისმა ან პორტუგალიამ აფრიკის მიწების დასჯალთრონ. მისი აზრით არც ინგლისია მართალი და არც პორტუგალია. „სამართლე ამ შემთხვევაში აფრიკის ქვეყნების მხარეზეა“. მოცემულ შემთხვევაში ილია ისევ ბუნებითი სამართლის სკოლის პოზიციებზე დგას, რადგან აქაც სამარ-

თლის მასშტაბად შემოაქვს ე. წ. „სამართლიანობის“ აბსტრაქტული ცნება.

მაშასადამე, ილიას აზრით, სამართალს საფუძვლად უნდა ედოს სიმართლე და არა ძალა, ძალმომრეობა: „...საცა მართალი აშკარად უმცირესისავე არის, უსათუოდ უმრავლესობამ უმცირესობა სძლიოს და ითაყვანოს, ეგ ძალმომრეობა იქნება და არა იგი სამართალი, რომლითაც ადამიანი ადამიანობს ვით ზნეობრივი არსება“<sup>20</sup>.

ილიას ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი გმობს ძალმომრეობას, როგორც სამართლის საფუძველს. ამ მხრივ ილია სამართლიანად ემიჯნება XIX საუკუნის დასასრულის სამართლის ბურჟუაზიულ თეორიას, რომელიც რეალისტური სკოლის სახელითაა ცნობილი.

სამართლის რეალისტური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი რ. იერიჩი მიუთითებდა<sup>21</sup>, რომ სამართალი არის ძალის პოლიტიკა, სამართალი არის ძალმომრეობის შედეგი, ამასთან იერიჩი ძალმომრეობას როდი იხილავდა როგორც კლასობრივ მოვლენას, ძალმომრეობას იგი განიხილავს როგორც მთელი საზოგადოების, ყველა კლასების ძალმომრეობას. იერიჩის აზრით სამართლის სუბიექტია ის, ვისაც წილად ხვდა იყოს სამართლის სუბიექტი, ასეთად კი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი. იერიჩი ეწინააღმდეგება ისტორიული სკოლის იმ წარმომადგენლებს, (პუნტა, ჰუგო, სავინი), რომლებიც ასაბუთებენ თითქმის სამართალი წარმოიქმნება და ვითარდება ენა. მათ საწინააღმდეგოდ იერიჩი მიუთითებდა, რომ სამართალი უმტიკენეულოდ კი არ ჩნდება, არამედ ძალმომრეობის, გრძოლის შედეგია<sup>22</sup>.

ჩვენ გვწამს, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა სამართლის რეალისტურ თეორიას და მისი ზემოთ მოყვანილი სიტყვები სამართლის რეალისტური სკოლის ამოსავალი იდეების უარყოფას ემსახურება.

ამრიგად, სამართლის რეალისტური თეორიის უარყოფასაც ილია ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან აწარმოებს. იგი ამ შემთხვევაშიაც ბუნებითი სამართლის სკოლის ნათესაობას ამყვანებს. მათ შორის ნათესაობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მყვანდება, რომ ილია ბუნე-

17. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 337.


18. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 57.

19. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 9, გვ. 60.

20. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 135.

21. Иеринг Р., Борьба за право, 1895 г., стр. 13—20.

22. Иеринг Р., Борьба за право, 1895 г., стр. 19.



ბითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა მსგავსად სამართლის საფუძვლად მიიჩნევს სიმართლეს, მაგრამ რა არის ეს აბსტრაქტული „სიმართლე“, რით იზომება იგი, ილიას მიერ ისევე არასწორადაა გაგებული, როგორც ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლებისაგან.

ილია ჭავჭავაძე ღრმავაზროვან მინიშნებას აკეთებს, როდესაც აცხადებს, რომ სამართალი ძალმომრეობა არ უნდა იყოსო. აქ მას ალბათ მხედველობაში ჰქონდა მისი დროის მოქმედი სამართალი, რომელიც ძლიერთა, გაბატონებულთა ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ ილიას ეს შენიშვნა სტიქიურია; ამას იქით ილიამ სამართლის ჭეშმარიტი არსის საკითხში ნაბიჯი ვეღარ გადადგა, იგი შორს არის სამართლის არსის ჭეშმარიტი — მარქსისტული თეორიისაგან, რომლის მიხედვით სამართალი ეკონომიურად გაბატონებული კლასის ნება-სურვილია კანონად ქცეული, რომლის შინაარსი ამ კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებით განისაზღვრება<sup>23</sup>.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს ბუნებითი სამართლის სკოლასთან. ეს ისე არ უნდა გავი-

გოთ, თითქოს ილია ჭავჭავაძე ბუნებითი სამართლის სკოლის ტიპური წარმომადგენელია. არა, ილია ბევრ საკითხში უახლოვდება ამ თეორიას და მრავალ საკითხში კი სრულიად განსხვავებულ მოაზროვნედ გვევლინება. ჩვენი აზრით, ილიამ ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლებთან შედარებით სამართლის არსის საკითხში წინ გადადგა ნაბიჯი იმით, რომ თუ ბუნებითი სამართლის სკოლა სრულიად წყვეტს ერთმანეთისაგან სახელმწიფოსა და სამართალს — ილია სამართალს განიხილავს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, რომელიც სახელმწიფოსთან ერთად ჩნდება საზოგადოებაში და მისი წარმოშობა „ეკონომიური საჭიროებითაა განპირობებული“.

ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლებთან შედარებით ილიას უპირატესობა იმაშია გამოიხატება, რომ ბუნებითი სამართლის სკოლის თეორია საერთოდ არაფერს ამბობს საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებზე. ილია ჭავჭავაძე, რასაკვირველია არათანმიმდევრულად, მაგრამ გარკვეულ მინიშნებას აკეთებს საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შესახებ.

# იონა ბოჭორიშვილი

პროფ. ი. სურბულაძე

1937 წელს 33 წლის ასაკში დაიღუპა გამოჩენილი ქართველი იურისტი იონა ბოჭორიშვილი.

იონა ბოჭორიშვილი დაიბადა 1904 წელს, ზემო სვანეთში, გლენის ოჯახში. საშუალო სკოლაშივე მიიბჟრო მან მასწავლებელთა ყურადღება, როგორც უაღრესად ნიჭიერმა და ენერგიულმა ახალგაზრდამ.

1928 წელს იონა ბოჭორიშვილმა წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ცენტრალური ერთწლიანი პარტიული სკოლა და 1924 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს ხშირად გამოდიოდა საინტერესო მოხსენებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სემინარზე მის მიერ დამუშავებული თემა სისხლის სამართლის ბურჟუაზიული სკოლების შესახებ, რომელიც შემდეგში გადამუშავებული სახით შევიდა მის ნაშრომში — „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“. თემა მან დაამუშავა პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1929-1930 წლებში იონა ბოჭორიშვილი მუშაობდა მასწავლებლად თბილისში. 1931-1932 წლებში იყო საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

1933-1934 წლებში იონა ბოჭორიშვილი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამართლებელსთან არსებულ დანაშაულობის შემსწავლელი კაბინეტის დირექტორის მოადგილეა, 1934 წლიდან კი საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე.

1935 წელს იონა ბოჭორიშვილი სწავლობდა მოსკოვის კომუნისტურ აკადემიაში, 1936 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

დაწყებული 1931 წლიდან, როდესაც იონა ბოჭორიშვილმა მუშაობა დაიწყო საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, ის კითხულობდა ლექციებს სისხლის სამართალში.

1922 წლიდან ლენინური კომკავშირის რიგებშია.

იონა ბოჭორიშვილი კითხულობდა ფრიალ

შინარსიან ლექციებს, მთელი ენერგიით ემსახურებოდა სტუდენტთა აღზრდის საქმეს. მის მიერ აღზრდილი მაღლიერი იურისტები დღესაც წარმატებით ემსახურებიან ჩვენს საზოგადოებას.

1932 წელს ი. ბოჭორიშვილმა გამოაქვეყნა შრომა „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“.

შრომაში ავტორმა მიზნად დაისახა დანაშაულის და სასჯელის ურთიერთობის საკითხის შესწავლა, დანაშაულისა და სასჯელის მიმართულების საკითხის გარკვევა.

ნაშრომის პირველი თავის ეპიგრაფად ავტორს წამძვარებული აქვს მარქსის შემდეგი სიტყვები: „სინამდვილეში სასჯელი სხვა არა არის რა, გარდა საზოგადოების დაცვის საშუალება მისი არსებობის პირობების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ“ (გვ. 11). მარქსის ამ სიტყვების საფუძველზე ნაშრომში გაშუქებულია დანაშაულისა და სასჯელის საკითხები ბურჟუაზიულ და საბჭოთა სამართალში. ავტორი მართებულად აკრიტიკებს დანაშაულისა და სასჯელის ბურჟუაზიულ თეორიებს და ასახულებს ამ თეორიების კლასობრივ დანიშნულებას.

კლასიკური სკოლა დანაშაულს განიხილავდა, როგორც პიროვნების თავისუფალი ნების შედეგს. კლასიკური სკოლისათვის არ არსებობდა დანაშაულებრივი ქმედობის სხვა ფაქტორები, გარდა ადამიანის თავისუფალი ნებისა, რომელიც ამ სკოლის მიერ მეტაფიზიკურად იყო გაგებულ.

ბურჟუაზიის აღმავლობის ხანაში, როცა იგი ებრძოდა ფეოდალურ კლასს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს ფეოდალობის თვითნებობის აღაგმვის თვალსაზრისით, კლასიკური სკოლის ლოზუნგს — „არ არის დანაშაული, თუ ის არ არის გათვალისწინებული კანონში“ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ, რამდენადაც ბურჟუაზია მიზნად ისახავდა მშრომელთა მასების დათრგუნვას, კლასიკური სკოლა თავისი კლასის ამ მიზნის მიღწევის საშუალებებს უფარდებდა თავის დებულებებს. ამასთანავე მეტაფიზიკურად გაგებული ადამიანის თავისუფალი ნება, რომელიც ამოსავალი პრინციპი იყო კლასიკური სკოლისათვის, თანდათანობით დიდ



კრიტიკას იწვევდა ბურჟუაზიულ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ კლასიკური სკოლის შეხედულებანი დანაშაულისა და სასჯელის შესახებ თანდათანობით დაუკავშირდა დაშინებას, როგორც სასჯელის მიზანს.

ი. ბოჭორიშვილი ამტკიცებს, რომ ცდებიან ის მეცნიერები; რომლებიც დაშინებას როგორც სასჯელის მიზანს, ზოგად პრევენციას უკავშირებენ. ავტორის აზრით, სასჯელებიდან გამომდინარე დაშინება ერთნაირად ახასიათებს როგორც ზოგადს, ისე სპეციალურ პრევენციას; ამიტომ დაშინების დაკავშირება მაინცდამაინც ზოგად პრევენციასთან და აქედან რომელიმე ასპექტით მისი კლასიკური სკოლის შეხედულებამდე დაყვანა, უმართებულოა. კლასიკური სკოლის შემდეგ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში წარმოიშვა და განვითარდა ანტროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლები. ანტროპოლოგიურ და სოციოლოგიურ სკოლებს მრავალი მიმდევარი ჰყავდა რუსეთში. ამ სკოლების გავლენა, განსაკუთრებით სოციოლოგიურის, იგრძნობოდა საბჭოთა სისხლის სამართალშიც. ამიტომ პროფ. ი. ბოჭორიშვილმა თავის ნაშრომში სათანადო ადგილი დაუთმო ამ სკოლების შეხედულებათა კრიტიკას.

შრომაში ავტორი განიხილავს სასჯელის მიზანს. ი. ბოჭორიშვილის აზრით სასჯელს იმდენად აქვს დასაბუთება, რამდენადაც დამნაშავის მოქმედებაში ჩართულია ადამიანის განსჯის ქვეშ მიმდინარე ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შეგნებულად წინ უსწრებენ ამა თუ იმ მოქმედებას; მხოლოდ ამდენადაა შესაძლებელი არსებობდეს სასჯელის ინსტიტუტიც ამ ცნების ვიწრო მნიშვნელობით (გვ. 39).

იმ შემთხვევაში, როცა პიროვნებისათვის გამორიცხულია სხვაგვარი მოქმედების შესაძლებლობა, მაშინ სასჯელი, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის განმეორების შესაძლებლობას, დანაშაულის აცილებას, უმიზნო იქნებოდა. სასჯელის მიზანი იმაშია, რომ მისი საშუალებით ხელი უნდა შეეშალოს დანაშაულის განმეორების შესაძლებლობას. სასჯელი „მაშინ არის აზრის მქონე, — წერს ი. ბოჭორიშვილი, — როდესაც პიროვნებას აქვს უნარი ისე აღიქვას სასჯელის, ანუ რეპრესიის შემოქმედება, რომ ეს უკანასკნელი მიზეზობრივად უკავშირდებოდეს მის ცნობიერებას და მოქმედებას“ (გვ. 39). ავტორის აზრით, დანაშაულის განმეორების აცილება დამყარებულია სასჯელის იმ თვისებაზე, რომ იმოქმედოს დამნაშაის პიროვნებაზე, შეუქმნას უკანასკნელს ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუშლის მის მიდრეკილებას დანაშაულებრივი მოქმედებისადმი. ადამიანის


განსჯის ქვეშ მიმდინარე ფსიქოლოგიურ პროცესებში მოსალოდნელი სასჯელიც იჭერს თავის ადგილს და ადამიანი ცდილობს არ გახდეს სასჯელის ობიექტი. სასჯელს რომ არ ვაჩნდეს მიზნად დანაშაულის განმეორების აცილება, მაშინ სასჯელი მხოლოდ და მხოლოდ სამაგებროს გადასცემდა იქნებოდა, ასევე ავტორი (გვ. 39). ამასთანავე ავტორი იქვე აღნიშნავს შემდეგს: სასჯელს გამასწორებელი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მიმართ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ დამნაშავეს დანაშაულებრივი ქმედობის ნაცვლად შეეძლო სხვაგვარი მოქმედების ჩადენა. სასჯელის მუქარა და თვით სასჯელის შეფარდება შეიძლება ადამიანის მოქმედების ისეთ მოტივად გადაიქცეს, რომელიც ადამიანს დანაშაულებრივ ქმედობას აარიდებს. ამ შემთხვევაში სასჯელი ადამიანზე მოქმედებს როგორც გამაფრთხილებელი ზომა.

ნორმატივისტების წინააღმდეგ ავტორს საპირობდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ დანაშაულის პირობების შეცვლის შემდეგ იცვლება დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. დაგუშვით, წერს ავტორი, „რომ მიუხედავად დანაშაულ ქმედობისათვის პირობების შეცვლისა, მაინც აბსოლუტურად თანასწორი შესაძლებლობითაა მოსალოდნელი, როგორც ის, რასაც რეპრესია ებრძვის, ისე სხვაც რომლის განხორციელებასაც თვით ნორმა მოითხოვს, მაშინ სრულიად უაზრო ხდება რეპრესია, ვინაიდან არაფრით უზრუნველყოფილი არ არის მისი (რეპრესიის მიზნის) განხორციელება“ (გვ. 40). მაშასადამე, დანაშაულებრივი მოქმედება, ავტორის აზრით, ერთადერთია, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ შეიძლება მას შეეფუცალოთ მომავალში კონკრეტული პირობები იმით, რომ ამ პირობების ერთ-ერთ კომპონენტად ჩავრთოთ სასჯელი. ამრიგად, ესა თუ ის პირობა განსაზღვრავს ამა თუ იმ მოქმედების შესაძლებლობას, მოქმედების შემთხვევითი შესაძლებლობანი ფატალურად არ არის მოცემული თვით მოქმედებაში. ნორმატივისტების აზრით კი სამართლის იდეა, როგორც დამოუკიდებელი არსის მატარებელი განსაზღვრავს რეალურ მოვლენებს. მარქსიზმის მიხედვით კი, აღნიშნავს ი. ბოჭორიშვილი, ლოგიკური და რეალური ერთი და იგივე მოვლენის ორი მხარეა.

„დანაშაულებრივი მოქმედების შემთხვევაში, წერს ავტორი, იმ მიზეზობრივ რიგში, რომელიც აპირობებს ამ მოქმედებას, მისთვის შესაფერ ადგილს ვუთმობთ მოტივაციას. ამ უკანასკნელის ბუნების გათვალისწინებით გარკვეულ როლს ვანიჭებთ სასჯელს ადამიანის მოქმედების განსაზღვრაში“ (გვ. 46-47).

რასაკვირველია, თუ კი სასჯელი თვით დანაშაულის თავიდან აცილებას არ ითვალისწინ





ნებს, მაშინ სასჯელის სახით სახელმწიფოს მხოლოდ დამნაშავე პირვნების ტანჯვა, მისთვის სამავიეროს მიზღვა აქვს მიზნად დასახული. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოყავს მარქსის შემდეგი სიტყვები: „რა საცოდვია ის საზოგადოება, რომელმაც არ იცის უკეთესი საშუალება დაცვისა, ვიდრე ჭალათი და რომელიც თავის სიმკაცრეს აცხადებს მარადიულ კანონად“ (გვ. 84).

ავტორის აზრით დანაშაული, როგორც სოციალური მოვლენა არ გამოიციხავს ინდივიდის ყოველმხრივ შესწავლის საჭიროებას (გვ. 49). ამასთანავე, ავტორის აზრით, სასჯელი ადამიანის მხოლოდ განსაზღვრული მოქმედების რეაქციაა და ამიტომაც სასჯელის „ობიექტიც განსაზღვრული ინდივიდუალური მდგომარეობით უნდა შემოიფარგლოს“. სისხლის სამართლის მეცნიერებას აინტერესებს პირვნების ის ინდივიდუალური მდგომარეობა, რომელიც „სამართლის ნორმების დარღვევას“ იწვევს (გვ. 52-53).

ავტორი დწვრილებით ჩერდება ზოგად და სპეციალურ პრევენციათა მიმართების საკითხზე და დასკვნის სახით ამბობს: „არ არსებობს ქმედობა თავისთავად საშიში, რომელიც სუბიექტს არ უკავშირდებოდეს, ხოლო არ არსებობს სუბიექტის საშიშროება, რომელიც მის მოქმედებაში გამოხატვით არ იზომებოდეს“ (გვ. 55). ამ დებულების მიხედვით უნდა დამუშარდეს დანაშაულსა და სასჯელს შორის სასურველი პროპორციულობა. ავტორის აზრით, დანაშაულის ობიექტური გამოხატულება და მისი სუბიექტური მხარე არ უნდა გავითიშოთ მექანიკურად; ეს ორი მხარე განხილულ უნდა იქნას მათ ორგანულ მთლიანობაში (გვ. 86). სასჯელის მიზანია, განაგრძობს ავტორი, სრული შეთანხმება დაამკვიდროს დანაშაულის სოციალურ საშიშროებასა და ამ საშიშროებიდან დაცვის სოციალურ ღონისძიებას შორის (გვ. 56). ამასთან დაკავშირებით ავტორს სავსებით მართებულად მოყავს ენგელსის შემდეგი სიტყვები: „თანამედროვე სახელმწიფოში სამართალი უნდა შეეფერებოდეს არა მხოლოდ საერთო ეკონომიურ მდგომარეობას, უნდა იყოს არა მხოლოდ მისი გამოხატულება, არამედ უნდა იყოს აგრეთვე მისი შინაგანათ-შეთანხმებულობის გამოხატულება, რათა შინაგან წინააღმდეგობის წყალობით არ მიიმართებოდეს საკუთარ თავის წინააღმდეგ“ (გვ. 92). ამიტომ აქ, „ეკონომიურ ურთიერთობათა სწორი გამოხატულება ხდება უფრო და უფრო შეუძლებელი. ამგვარი მოვლენა... გვხვდება მით უფრო ხში-

რად, რაც კანონთა კოდექსი წარმოადგენს თავის მხრივ ერთი კლასის ბატონობის პირდაპირ შეურბილებელ და სამართლიან გამოხატულებას“ (გვ. 92). პროფ. ი. ბოჭორიშვილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა სახელმწიფო არის სწორედ ისეთი სახელმწიფო „რომელიც უზრუნველყოფს ამ პროპორციონალიზმის პრინციპს“ (გვ. 92).

ავტორის აზრით ზოგადი და სპეციალური პრევენცია „ერთგვარის აუცილებლობით უკავშირდება იძულების პროპორციონალურ ფორმას, რამდენადაც დანაშაულობის საშიშროების კრიტიკია მხოლოდ ქმედობის და მოქმედების ორგანიულ მთლიანობაში შეიძლება სრულყოფილად მოცემულ იქნას“ (გვ. 102). დანაშაულის სუბიექტი, ავტორის მოსაზრებით, იძლევა პრევენციათა ორივე სახის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური მხარე წარმოადგენს დამნაშავე სუბიექტის ინდივიდუალური მდგომარეობის ერთ-ერთ მომენტს, მისი თავისებურების ერთ-ერთ გამოვლენებას და სასჯელი მაშინ აღწევს თავის მიზანს, როდესაც ითვალისწინებს პირვნების მდგომარეობას საერთოდ.

ავტორი დწვრილებით ჩერდება ზოგად და სპეციალურ პრევენციების ურთიერთობის საკითხებზე, არჩევს სხვადასხვა სკოლებსა და თეორიებს სისხლის სამართალში და ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერების წარმომადგენელთა კრიტიკის საფუძველზე გამოთქვამს თავის შეხედულებას.

ავტორის ცდა იქით არის მიმართული, რომ ამ საკითხების გარჩევას საფუძვლად დაუდოს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები.

საყურადღებოა აგრეთვე ი. ბოჭორიშვილის ნაშრომი „ფ. ენგელსი და დანაშაულის პრობლემა“.<sup>1</sup>

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ენგელსი თავის აღრინდელ შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის შესახებ“ იძლევა ნამდვილ მეცნიერულ დებულებას დანაშაულზე, რომ „დანაშაული, ისე როგორც სხვა სოციალური მოვლენა ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას. ის კანონები, რომლებიც მოქმედებენ კაპიტალიზმურ სისტემაში თავის პირდაპირ გამოხატულებას პოულობენ დანაშაულში. უკანასკნელი ისეთივე პროპორციით და აუცილებლობით იზრდება, როგორც თვით კაპიტალიზმის წინააღმდეგობა“ (გვ. 85).

ენგელსი კერძო საკუთრებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, თვლის დანაშაულობათა წარმოშობისა და გამრავლების საფუძ-

<sup>1</sup> „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 1936 წელი, გვ. 80-106.



ლად. „საფაბრიკო სისტემის გავრცელებას, წერს ენგელსი, ყველგან შედეგად მოჰყვა და-ნაშაულის გადიდება“.

1936 წელს იონა ბოჭორიშვილის მიერ გამოცემულ იქნა ნაშრომი: „მარქსიზმის კლასიკოსები და დასაშაულისა და სასჯელის შესახებ“. ნაწილი I. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1) წინასიტყვაობა, 2) მარქსიზმის კლასიკოსები და დასაშაულისა და სასჯელის შესახებ. ნაშრომში შემდეგი თავებია: I—დასაშაული, სისხლის სამართალი. II — სასჯელი, სისხლის სამართლის კანონმდებლობა. III — სამართალი, ხელისუფლება. IV — კანონის სოციალური და ფორმალური ინტერპრეტაცია. V — პატიმართა „გამოსწორების“ ბურჟუაზიული მეთოდები. დამატება: კ. მარქსი „დასაშაულისა და სასჯელის შესახებ საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პერიოდში“.

ნაშრომში ნაჩვენებია სამართლის თვითეული მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მარქსის და ენგელსის შეხედულებათა წარმოშობა და მათი განვითარება.

ავტორი აღნიშნავს, რომ მარქსი და ენგელსი ახალგაზრდობაში გატაცებული იყვნენ ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიით, ამასთანავე მარქსის ადრინდელი შრომებიდანაც ჩანს, რომ ის არ არის კმაყოფილი ჰეგელის იდეალისტური მსოფლმხედველობით და კიდევ აკრიტიკებს მას, კრებულის უკანასკნელ თავში ავტორი სპეციალურად ჩერდება მარქსის საკუთარ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესზე, განიხილავს შეხედულებას დასაშაულსა და სასჯელზე.

ეს ნაშრომი არ წარმოადგენს მარტო კრებულს. როგორც ვთქვით, მას წამძვარებული აქვს ავტორის საკუთარი, საკმაოდ მოზრდილი გამოკვლევა (42 გვერდის შემცველი), რომელშიაც მოცემულია ავტორისეული დაკვირვება, შეხედულება, სამართლის, კერძოდ, სისხლის სამართლის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. შრომის ამ ნაწილს განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

ავტორი იმოწმებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს და აღნიშნავს, რომ ლენინის დაკვირვებით მარქსს 1842 წლიდან ემჩნეოდა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ გადასვლა (გვ. 16). მანამდე მარქსი ჰეგელიანელი იყო, თუმცა ჰეგელის მოძღვრებას უკრიტიკოდ არასოდეს არ აღიარებდა.

ავტორს მოყავს მარქსის სიტყვები: „მე უნდა შემესწავლა იურისპრუდენცია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ვიგრძენი ფილოსოფიასთან შებმის ისურვილი, ფილოსოფიის გარეშე თავს ვერ ვართმევ საქმეს“, წერდა ის. (გვ. 17). ჰეგელის ფილოსოფიის შესწავლისას მარქსი ამჩნევდა

ჰეგელის შეხედულებათა ნაკლს. ავტორი ყურადღებას აქცევს მარქსის შემდეგ სიტყვებს: „შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მე ვფიქრობდი თითქო ფორმა შესაძლებელია და კიდევაც უნდა ვითარდებოდეს შინაარსის დამოუკიდებლად და ამიტომ მივიღე არა რეალური ფორმა“ (გვ. 17). მარქსი მიღის იმ დასკვნამდე, რომ „იდეა უნდა ძიებულ იქნას თვით სინამდვილეში“ (გვ. 17). იონა ბოჭორიშვილი შენიშნავს: „უადრესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდა მარქსის გენია თავისი მუშაობის დასაწყისშივე ამჩნევს ჰეგელის ფილოსოფიაში „რაციონალურ მარცვალს“ (გვ. 17). ავტორს მოყავს ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მარქსმა „კერძო კიდევ სტუდენტობის ხანაში აულღო ალღო ჰეგელის ფილოსოფიას და მონახა მასში იმ ძვირფასი მარგალიტი, რომელიც შემდეგში მან განავითარა“ (გვ. 18). ეს ძვირფასი მარგალიტი იყო ჰეგელის ფილოსოფიის მეთოდი. შეიცნო რა რაციონალური მარცვალი ჰეგელის ფილოსოფიისა, მარქსი უბრუნდება სამართლის, კერძოდ სისხლის სამართლის საკითხებს. თვითონ მარქსი წერდა: მას შემდეგ რა გავეცანი ჰეგელისა და საერთოდ სხვა იდეალისტურების შრომებს, შევუდეგი სისხლის სამართლის მეცნიერების ისეთი წარმომადგენლების შრომების შესწავლას, როგორც იყო ფეიერბახი და გროლმანიო (გვ. 18).

ა. ფეიერბახი და გროლმანი, ეს ორი დიდი გერმანელი ბურჟუაზიული კრიმინალისტი, სათავეში ედგენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიმდინარეობას. ა. ფეიერბახის აზრით სასჯელი მიზნად უნდა ისახავდეს ზოგად პრევენციას, რომელიც მიმართულია საერთოდ ყველასადმი და დასაშაულის ჩამდენს ემუქრება სასჯელით. ფეიერბახისა და მისი მიმდევრების თვალსაზრისით სასჯელს განსაზღვრავს დასაშაულის ობიექტური მხარე, ქმედობის გარეგანი მხარე. ფეიერბახისა და მისი მიმდევრების თეორიას სასჯელის შესახებ ხშირად დაშინების თეორიასაც უწოდებენ.

ფეიერბახის საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იგდა გროლმანი. დასჯის მთავარი მიზანი, გროლმანის აზრით, უნდა იყოს დამნაშავის გამოსწორება. აქედან, სასჯელის განსაზღვრელი, უნდა იყოს დასაშაულის სუბიექტური მხარე. დასაშაულის სოციალური, საშიშროების კრიტერიუმად მიღებული უნდა იქნეს დამნაშავის პიროვნება. მაშასადამე, ფეიერბახი იყო ზოგადი პრევენციის მომხრე, ხოლო გროლმანი — სპეციალური პრევენციისა. ბოჭორიშვილი მართებულიად აღნიშნავს, რომ ორთავე — ფეიერბახი და გროლმანი (და მათი მომხრეები) თავიანთი თეორიების დასასაბუთებლად „ერთნაირი სიძლიერით“ იშველებ-

დენ პლატონს, არისტოტელეს და ძველი საბერძნეთის სხვა ფილოსოფოსებს.

მარქსი გარკვეული დროის განმავლობაში დაწვრილებით სწავლობდა ფეიერბახისა და გროსმანის შრომებს, ეცნობოდა მათი მიმდევრების შეხედულებებს. სისხლის სამართლის ეს ორი თეორია სხვადასხვა ცვლილებით გვევლინება სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების სხვადასხვა პერიოდში. ეს თეორიები შემთხვევით არ წარმოშობილა და მათი წარმოშობა და განვითარება განსაზღვრული იყო სოციალურ-ეკონომიური პირობებით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის თეორიული პრობლემები სწორედ იმ საკითხების გარშემო იყრიან თავს, რომლებიც მოცემული იყო ა. ფეიერბახისა და გროსმანის შრომებში.

დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მომენტების ურთიერთობის საკითხი, წერს ავტორი, ყოველთვის იყო თავსამტკრვეი საკითხი სისხლის სამართალში. ის გარემოება, რომ დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ურთიერთობის ესა თუ ის საკითხი სხვადასხვა სახით ყოველთვის იყო შესასწავლი სისხლის სამართალში, აგრეთვე მარკენებელია იმისა, რომ აღნიშნული პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული კლასთა ბრძოლის დინამიკასთან, სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან (გვ. 20). სწორედ ამიტომ არის საყურადღებო მარქსის შეხედულება ამ საკითხზე.

ავტორის მართებული მოსაზრებით, მარქსი ჯერ „გერმანულ იდეოლოგიაში“ და შემდეგ „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკაში“ მიუთითებდა, „რომ სისხლის სამართალში კლასობრივი ურთიერთობა იურიდიულ ფორმაში მთელი სიცხადით არის გამოხატული და ამავე დროს აქ შედარებით ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი საწარმოო ურთიერთობას და სამართლებრივი ურთიერთობის არათანასწორობის (პროპორციულობის) გამოხატულებას“ (გვ. 20).

მარქსი — აღნიშნავს ავტორი — მიუთითებს იმ მეთოლოგიურ დუალიზმებზე, რომელიც დამახასიათებელი იყო იდეალისტური სამართლის ფილოსოფიისათვის. იდეალისტურ-დუალისტური კონცეფცია ისტორიულსა და ლოგიკურს ერთმანეთს უპირისპირებს; ეს არის სოციალურისა და სამართლებრივის მექანიკური დაპირისპირება: სამართლებრივი არის ის, რაც უნდა იყოს, ხოლო სოციალურ-მატერიალური სინამდვილე კი ის, რაც არის. ამის მიხედვით, განაგრძობს ავტორი, სამართლის სფეროა იდეალური, ხოლო სოციალურის სფერო — ფაქტური. აქედან იდეალისტური სამართლის ფილოსოფია იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც იდეა-


ლური, არ ექვემდებარება მოვლენათა მიჯნულ შედეგობრივ რიგს, არამედ მასში ბატონობს თეოლოგიური პრინციპი.

იდეალისტური ბანაკის თვალსაზრისით დამანაშავე, რომელიც არღვევს საველდებულო ნორმას, ტრიალებს ჯერარსობის სფეროში, სამართლებრივ სფეროში, არა ფაქტობრივ სფეროში ე. ი. ის არ ექვემდებარება მოვლენათა მიჯნულ-შედეგობრივ ურთიერთობას. ამის გამო, განაგრძობს ავტორი, სამართლის იდეალისტური ფილოსოფიისათვის დანაშაულის იდეა შეიძლება აგებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ნების თავისუფლების პრინციპზე (გვ. 19).

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ მარქსის ინტერესი იურისპრუდენციისადმი სამართლის ვიწრო საკითხებით კი არ იყო შემოფარგლული, არამედ მოვლმხედველობის ძირითადი პრობლემებით იყო გაპირობებული. მარქსი შეუდგა ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის რევიზიას“ და იმავე დროს იდეალისტური ფილოსოფიის კრიტიკით საფუძველს უყრიდა მარქსისტულ ფილოსოფიას. ავტორის ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მარქსის განმარტებით გერმანული იდეალისტური ფილოსოფია ძლიერ რთული საგანია და „იმავე დროს ყველაზე სწორი გამოხატველი გერმანული აზროვნების განვითარებისა“, რომელიც იცავს ბურჟუაზიის ინტერესებს. ჰეგელმა, რომელიც გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის მწვერვალს წარმოადგენს, „სამართლის ფილოსოფიაში“ კონსტიტუციური მონარქია გამოაცხადა მმართველობის ყველაზე უფრო დასრულებულ და საბოლოო ფორმად (გვ. 20).

ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის“ დამუშავებისას, მარქსი შენიშნავს: ჰეგელის მიერ „ნამდვილი ურთიერთობა დაკენებულია თავდაპირა... ის რაც უნდა აღებულ იქნას გამოსავალ პუნქტად, მიღებულია როგორც მისტიური შედეგი, ის, რაც უნდა ყოფილიყო რაციონალური შედეგი, ხდება მისტიურ გამოსავალ პუნქტად“ (გვ. 21).

იონა ბოჭორიშვილი აღნიშნავს, რომ ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შედეგად მარქსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სამართლის ურთიერთობანი ისე როგორც სახელმწიფოს ფორმები, ვერც თავიანთთაგან გაიგებთან, ვერც ადამიანის გონების ეგრეთწოდებული საზოგადო განვითარებიდან, არამედ, პირიქით, ცხოვრების მატერიალურ პირობებში არიან ფესვგადგმული“ (გვ. 21). აქედან გამომდინარეობს მარქსიზმის ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და სამართალი არის ისტორიული კატეგორია, რომ სახელმწიფო და სამართალი წარმოიშობა ისტორიის განსაზღვრულ საფე-



ხურზე, სახელდობრ, მაშინ როდესაც წარმო-  
შობა კლასობრივი საზოგადოება და რომ  
სახელმწიფო არის გაბატონებული კლასის ბა-  
ტონობის ორგანო. აქედანვე გამომდინარეობს  
მარქსიზმის ძირითადი დებულება იმის შესახებ,  
რომ თვითეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ  
ფორმაციას შეესატყვისება გარკვეული ტიპის  
სახელმწიფო და სამართალი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჭეგელი დანაშაუ-  
ლისა და სასჯელის შესახებ თავის მოძღვრებას  
ანვიტარებს აბსოლუტური იდეიდან. ჭეგელისა-  
თვის დანაშაული სამართლის უარყოფაა, ხოლო  
სასჯელ-უარყოფის უარყოფა, ე. ი. სასჯელით  
ისევე აღდგება დანაშაულით დარღვეული მდგო-  
მარეობა. ჭეგელი აკრიტიკებს ა. ფეიერბახს,  
რომელიც სასჯელს წარმოადგენს როგორც და-  
შინების საშუალებას. ჭეგელი შენიშნავს, რომ  
თავისუფალი ნება თავისთავად არ შეიძლება  
იძულებული იქნეს ე. ი. „რაიმესადმი იძულება  
შეიძლება მხოლოდ იმის, ვისაც სურს დაექვემ-  
დებაროს იძულებას“ (გვ. 22). ჭეგელის მიხედ-  
ვით სასჯელი არის დამნაშავეს უფლება და სას-  
ჯელი დამნაშავემ არ უნდა განიცადოს, რო-  
გორც უსიამოვნება.

ავტორს მოყავს ამის შესახებ მარქსის მოსა-  
ზრება: ჭეგელის აზრით, წერს მარქსი, სასჯე-  
ლი არის განაჩენი, რომელიც გამოაქვს დამნა-  
შავეს თავის თავის მიმართ. ჭეგელის თეორიას  
სასჯელის შესახებ მარქსი უწოდებს სამაგიერ-  
ოს მიზნის საბუნებრივ საფარველს. ჭეგე-  
ლის სასჯელი მარქსის განმარტებით რჩება მხო-  
ლოდ იდეალ. სინამდვილეში მარქსის აზრით სა-  
სჯელი არის საზოგადოების დაცვის საშუალება  
„მისი არსებობის ყოველგვარი დარღვევის წი-  
ნააღმდეგ“ (გვ. 26).

ავტორი განიხილავს მარქსის შეხედულებას  
ჭეგელის ფილოსოფიური სისტემის შესახებ:  
ჭეგელისათვის დანაშაული სამართლის უარყოფა  
ე. ი. სამართლის განმტკიცება, უკანასკნელს კ  
იწვევს დამნაშავე ე. ი. დამნაშავე განმტკიცებს  
სამართალს. ამ დებულებაში მოცემულია ჭეგე-  
ლისეული დიალექტიკური პროცესი. მაგრამ ეს  
პროცესი იდეალისტურ საფუძველზეა აგებული.  
ჭეგელის აბსოლუტური იდეა არის ყველაფრის  
განმსაზღვრავი და მხოლოდ მის ერთ-ერთ გა-  
მობატულებაში წარმოადგენს დანაშაული და სა-  
სჯელი. ჭეგელის ფილოსოფიური სისტემიდან  
გამომდინარე დიალექტიკურმა განვითარებამ  
თავისი საბოლოო წერტილი მაშინდელი პრუსი-  
ის სახელმწიფო წყობილებაში ნახა; ამგვარად-  
ვე, ჭეგელის აზრით, მისი ფილოსოფიური სის-  
ტემით დასრულდა ფილოსოფიის განვითარება.  
ჭეგელის ფილოსოფია, მარქსის განმარტებით,  
სანქციას აძლევს მისი დროის საზოგადოებრივ-

სა და სახელმწიფოებრივ წყობილებას. ამ შემ-  
თხვევაში ჭეგელი ბურჟუაზიული კლასის ინტე-  
რესების სადარაჯოზე დგას. მისთვის პრუსიული  
მონარქია გონივრული და სრულყოფილი სა-  
ხელმწიფოა.

ავტორს მოყავს ლენინის მოსაზრება იმის  
შესახებ, რომ მარქსიზმის გაგებისათვის აუცი-  
ლებელია ჭეგელის „ლოგიკის“ შესწავლა  
(გვ. 293). ეს ჭეშმარიტი დებულება, წერს  
იონა ბოჭორიშვილი, ამ შემთხვევაში ე. ი. დანა-  
შაულისა და სასჯელის პრობლემის გარკვევისა-  
თვის აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ჭე-  
გელის კრიტიკულად დამოკლება აუცილებელია  
ეტაპი იყო მარქსისა და ენგელსის შეხედულებ-  
ათა ჩამოყალიბებისათვის (გვ. 29).


ჭეგელისათვის დანაშაულს და საერთოდ  
ბოროტებას ისეთივე აზრი აქვს არსებობის  
ფილოსოფიისით, როგორც სიკეთეს. ჭეგელის  
აზრით სამართალი თავისთავად უნდა გადაიქ-  
ცეს სამართლად თავისთვის. ეს პროცესი ხდება  
თავისუფალი სუბიექტის მიერ ჩადენილი დანა-  
შაულებრივი ქმედებით. დანაშაულის აბსო-  
ლუტური აუცილებლობა პირდაპირ გამომდინა-  
რეობს თავისუფალი ნებიდან.

ავტორს მოყავს მარქსის სიტყვები იმის შე-  
სახებ, რომ ჭეგელისათვის თავისუფალი სუბი-  
ექტი აბსტრაქტული ცნებაა. სინამდვილეში  
ადამიანის ნება მისი მოქმედების ერთ-ერთი  
ფაქტორია. ადამიანის სასიათი, მისი ნება, შე-  
ქმნილია პირობებით და რადგანაც პირობები  
განსაზღვრავს ადამიანის ნებას და მის მოქმედ-  
ებას, ამიტომ ეს პირობები უნდა შევქმნათ ანუ  
შევეცვალოთ ისე, რომ ისინი იყვნენ ადამიანუ-  
რი.

მარქსიზმისათვის დანაშაული კლასთა ბრძო-  
ლის შედეგად წარმოშობილი მოვლენაა და  
სუბიექტი, რომელიც დანაშაულებრივ ქმედობას  
ჩადის, მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორების  
გავლენით და იმ პირობებში, რომლებშიც დანა-  
შაულის განმსაზღვრავ ერთ-ერთ კომპონენტად  
ადამიანის ნებაც არის.

ჭეგელისათვის ერთეული, რომელიც დანა-  
შაულს ჩადის, იმდენად არის ერთეული, რამ-  
დენადაც ის საერთო ნებას უპირისპირდება,  
მასხანადაჲ, დანაშაული ჭეგელისათვის ზოგა-  
დისადმი ინდივიდუალური ნების დაპირისპი-  
რებაა. საერთო ნება ჭეგელის აზრით წარმო-  
დგენილია სახელმწიფოს სახით.

მარქსიზმის მიხედვით, დამნაშავე, პირველ  
ყოვლისა, კლასობრივი საზოგადოების წევ-  
რია. დამნაშავეს მოქმედება კლასობრივი წინა-  
აღმდეგობის, კლასობრივი ბრძოლის შედეგია,  
მაგრამ დანაშაულებრივი მოქმედება არ არის  
მოცემული კლასობრივი ბრძოლის ფორმებში.  
მაგალითად, კაპიტალისტურ საზოგადოებაში



მუშის შიერ ჩადენილი დანაშაული არსებული წყობილების პროტესტს კი წარმოადგენს, მაგრამ ის არ გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს, არ შეესაბამება მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს. ამიტომ მარქსიზმის თვალსაზრისით ასეთი განმარტოვებული მოქმედება მუშათა კლასის წარმომადგენლისა გაბატონებული ურთიერთობის წინააღმდეგ, კლასობრივად შეუფერებელი ბრძოლაა.

ექსპლოატატორთა საზოგადოებაში პროლეტარიატის ძირითადი ამოცანა კაპიტალისტური წყობილების დაშობა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი იმ პირობების შეცვლა, რომელიც კაპიტალისტურ წესწყობილებაში განსაზღვრავს დანაშაულს.

ი. ბოჭორიშვილმა დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ მარქსიზმის კლასიკოსების შრომების მიხედვით გაეშუქებინა დანაშაულისა და სასჯელის სხვადასხვა საკითხი. ამასთანავე, ი. ბოჭორიშვილმა თავის გამოკვლევაში შეისწავლა ჭეგელის შეხედულება სამართლის სხვადასხვა საკითხებზე და განიხილა ამ შეხედულების კრიტიკა მარქსისა და ენგელსის მიერ.

საყურადღებოა იონა ბოჭორიშვილის ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია მარქსის შეხედულებისადმი დანაშაულსა და სასჯელზე.

იონა ბოჭორიშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი სტატია სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში, რომლებშიც ეხებოდა ფრიალ მნიშვნელოვან საკითხებს; ასე მა-

გალითად, 1936 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№ 19; 12 იანვარი) გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ფართო გზა იურიდიულ განათლებას“, რომელიც შეიცავს საყურადღებო დებულებებს სამართლისა და იურიდიული განათლების შესახებ. ფრიალ მნიშვნელოვანია მისი წერილები მიძღვნილი პედაგოგიკისადმი (გაზეთი „კომუნისტი“, № 92, 24 აპრილი, 1936 წელი), ფილოსოფიისადმი (გაზ. „კომუნისტი“, № 285, 10 დეკემბერი, 1936 წელი), რასობრივი თეორიის კრიტიკისადმი (გაზ. „კომუნისტი“, № 157, 8 ივლისი, 1935 წელი) და სხვა.

საინტერესოა მისი ერთი წერილი, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტში“ და შეეხებოდა კომპილატორებსა და პლაგიატორებს, ავტორი აღწვთობას გამოთქვამდა პლაგიატორების მიმართ და საჭიროდ თვლიდა მის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას.

შეუძლებელია ყველა ამ სტატიის ჩამოთვლა. იონა ბოჭორიშვილის სტატიებს სისტემატურად ვხვდებით გაზეთ „კომუნისტსა“ და სხვა გაზეთებშიც 1933, 1934, 1935 და 1936 წლებში.

იონა ბოჭორიშვილი იყო სპეტაკი ადამიანი, გულწრფელი მეგობარი, თავდადებული ამხანაგი, ყოველ მის სიტყვაში, მოქმედებაში იგრძნობოდა ადამიანის სიყვარულით გამთბარი გული.

მისი დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო ქართული იურიდიული მეცნიერებისათვის.



# თაოსანი—ღუაკსაბ პნდრონიკაპვილი

## 6. ნოღარიძე

ყველა ახალ ცნობას გამოჩენილი ქართველი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილის შესახებ, დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისათვის.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ხანგრძლივი დროის მანძილზე საქართველოს გარეთ უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა მას ერთი წუთითაც არ განუღებია სამშობლოს სიყვარული. იგი როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი საქართველოსთან სისწლხორცეულოდ იყო დაკავშირებული. ყოველი ახალი ღონისძიება, რაც კი მის სამშობლოს შეეხებოდა, აღფრთოვანებას იწვევდა მის გულში. ამის მაგალითები ბევრია, მაგრამ ჩვენ ამჟერად ერთის აღნიშვნით დავკმაყოფილებით, მით უფრო რომ იგი, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე რუსეთში მყოფი მოწინავე ქართველობა, ძალ-ღონეს არ ზოგავდა იმისათვის, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში დაარსებულიყო ქართველოლოგიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიისა და სიტყვიერების კათედრა. აქ უნდა წაკითხულიყო ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში, ლიტერატურასა და სხვა დისციპლინებში.

ასეთი კათედრა უკვე დიდი ხანია არსებობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ ასე როდი იყო მოსკოვში.

ქართველობამ კარგად იცოდა, რომ ამ საქმის მოგვარება შეეძლო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რუსეთში და საზღვარგარეთაც კარგად ცნობილ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს.

მართლაც, დაუღალავმა მეცნიერმა, მიუხედავად დიდი დაბრკოლებისა, მაინც შესძლო მოსკოვის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრის დაარსება. ცნობილია, რომ ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში და შემდეგ ლაზარევის ინსტიტუტში ალ. ხახანაშვილი კითხულობდა არა მარტო ქართული სიტყვიერების, არამედ ქართული სამართლის ისტორიის კურსსაც.

ცხრაასიან წლებში ქართველობამ ა. ხახანაშვილს გადასცა ადრესი და შოთა რუსთაველის ავეჯისხიტყაოსანი“ სპეციალური წარწერით.

ეს საგანგებოდ აღნიშნა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ (1903 წ. № 126).

პეტერბურგის ქართველობას ლუარსაბ ანდრონიკაშვილის თაოსნობით შეუდგენია ეს ადრესი. დამწერი თვითონ ლ. ანდრონიკაშვილი უნდა იყოს. ადრესზე პირველი ხელმოწერაც მას ეკუთვნის. მასზე სხვა პირებიც აწერენ ხელს.

ქვემოთ მოგვყავს ეს ადრესი:  
„დიდად პატივცემულო პროფესორო ალექსანდრე სოლომონის ძე! ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრებაში ძნელათ თუ დაჰკრავს სანეტარო უამი, რომელსაც ძალუძდეს გამოაღვიძოს მიჩუმიებული მაჭა ჩვენი თვითშეგნებისა და შეაყენოს იგი სასურველი გაწაფვის გზაზე. მრავალგზის გულგატეხილნი მით უფრო მეტი თანაგრძნობით და სანუგეშო გულის თქმით ვეგებებით ქართული ისტორია-სიტყვიერების სანიმუშო კათედრის დაარსებას რუსეთის უძველეს უნივერსიტეტში. ეს მრავალმნიშვნელოვანი და მარად სასიქაღულო მოვლენა არ საჭიროებს დაწვრილებით განხილვას. იგი თვით ცხადზე უცხადესად ღაღადებს, რომ მულხადი ნაბიჯი გადადგა წინსვლისა ჩვენმა ეროვნულმა თვითარსებობამ და გამარჯვება არა-ჩვეულებრივად მოიხვეჭა თავისდა გასამტკიცებლად.

მეცნიერების ტაძარმა თავისი პირუთვნელი კვლევა-ძიების კარი გაუღო ჩვენს ლიტერატურა-ისტორიას, რომლის შინაარსი სავსებით მეტყველებს არაერთ ზოგადკაცობრიულ მოვლენას. ამიერიდან ჩვენი ავლა-დიდება ერთხელ კიდევ გვერღმე ამოუღდა საუნივერსიტეტო დანარჩენ საგნებს და იქნება ჰეროვანი გვარის დამამშვენებლადაც შეიქმნეს იგი თავის დროზე.

მეცნიერული განხილვა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებულ, მაგრამ ჩვენთვის არსებითად ხელსაყრელი ისტორიული ფაქტებისა, ნათლად დაგვანახებს, რომ არც ისე იშვიათად ვწვევია იგი შარავანდედი, რომელიც თამამად გვაძლევს უფლებას ვამაყობდეთ წარსულით და წარბეზურხრელად თვლი ვაფუსწოროთ მომავალს. თვით საამდროვო ცხოვრების კრიტიკული შესწავლა ხელთ მოგვეცემს ჭკვიანად მოფიქრებულ საზრისს და ამით გავგვიადვილებს დათრგუნვას აწინდელი ბედშავი გადასავლისას.

ვიმედოვნებთ, რომ დიდებული ძალა უნი-  
 ვერსიტეტისა და აუდიტორიათა, თქვენი ნაწ-  
 რთობი და მზრუნველი ხელით გაწაფული,  
 გამოიტანს ქვეყნად ჩვენს ცხოვრებას. ამით  
 ცხოველ-მყოფელად გამოაბნევს იგი ჩვენს მი-  
 ძინებულ თვითშეგნებას და მარჯვე კაპს ამოს-  
 ღებს ჩვენი დიდების ყბად-ღებულებს, რო-  
 მელთაც იმთავითვე დაბალ ღობედ მივაჩნი-  
 ვართ და დღემუდამ ცდილობენ ქართველის  
 სახსენებელი აღგავონ ამ ქვეყნად და მსუბუქ  
 ჩალასავით ნიავ-ქარს გაატანონ.

ერთი სიტყვით გადადგმულია წინ კიდევ  
 ერთი მტკიცე ნაბიჯი და ჩვენდა საგულისხმი-  
 ერო და ამ მხრით სამარადისოდ მადლობელნი  
 უნდა ვიყვნეთ თქვენი, პატივცემული პრო-  
 ფესორო. ყოველუამს გამსჭვალულმა ჩვენს  
 ცხოვრებით, მუდამ ფხიზლად მზრუნველმა  
 ჩვენი მისწრაფებების ხელსაყრელი განხორცი-  
 ელებისათვის თქვენ მიაღწიეთ ამ საშვილიშვი-  
 ლო გამარჯვებას და ერთხელ კიდევ სხვათა  
 სამაგალითოდ დაამტკიცეთ, რომ გულწრფელი  
 სურვილი და დაუზარებლობა სამშობლოსადმი

სამსახურისა, ღონემოსილია დასძლიოს ყოვე-  
 ლივე დაბრკოლება, მიაღწიოს სამაგალითო  
 სულთა სწრაფვას.

სამეცნიერო ასპარეზზე უკვე ნაცადი თქვე-  
 ნი მოღვაწეობა, მუხლადი ენერგია და აგრეთ-  
 ვე კვერთხი საეროვნო გულის ნადებისა, რო-  
 მელიც ხელთ გიპყრიათ, მარჯვეთა და შესაფე-  
 რად, დაბეჭიბებით გვითავდებებს, რომ მეცნი-  
 ერებისა და სამშობლოსადმი თქვენებური სიყ-  
 ვარულით ეცდებით, თქვენისავე მეოხებით დი-  
 დებულ, სანდო ქვაკუთხედს მოჰყვეს სანდოვე  
 შენობა, შემკობილი ღირს-სახსოვარ წარწე-  
 რით: საქართველოს უფლება აქვს თავი მოი-  
 წონოს წარსულით, ნუგეში იცეს აწმყოში და  
 იქონიოს იმედი მომავლისა.

მიიღეთ კადნიერი საღამო თქვენდა და მარა-  
 დისი პატივისცემა თქვენი მოღვაწეობისადმი.  
 გისურვებთ დღეგრძელობასა და ღონის შეწვე-  
 ნას, რათა სასახელოთ და საბედნიეროთ ჩვენი  
 საყვარელი სამშობლოსი დააგვირგვინოთ თქვე-  
 ნი უანგარო და ნაყოფიერი ჭირნახული. 1901  
 წელი 1-იანვარი“.



# „სულ“ ჭოყებს კვარს



## მ ო თ ხ რ ო ბ ა

### 1.

მაიორმა იმნაძემ ტელეფონის ყურმილი ბერ-კეტზე დაღო.

— ამხანაგო ლეიტენანტო, პოლკოვნიკი ქერ-ქაძე გვიჩივს, წვიდღეთ.

პოლკოვნიკის ოთახში დღევანე ძაძებით შე-მოსილი ქალი იჯდა. ქერქაძემ შესვლისთანავე წარუდგინა ჩვენი თავი მანდილოსანს:

— ქალბატონო ნინო, გთხოვთ იცნობდეთ: მაიორი გიორგი იმნაძე, განყოფილების უფრო-სი, ლეიტენანტი კოტე ჯაფარიძე. ეს ქალბა-ტონი კი გახლავთ ნინო ლუკავა, ახლახან გარ-დაცვლილი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვიქტორ ლუკავას ქვრივი.

ქვრივს მოწიწებით ვეახელით და ხელი ჩა-მოვართვით. პოლკოვნიკმა მაგიდასთან მიგვიწ-ვია.


— დაბრძანდით, ამხანაგებო. ქალბატონი ნი-ნო მოვიდა, რათა ეჭვები გაგვიზიაროს მისი მეუღლის მოულოდნელ სიკვდილზე. იგი სრუ-ლი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ვიქტორ ლუკავა, რომელიც ამ თვის პირველ რიცხვებში გარდაიცვალა გულის დამბლისაგან, როგორც ამის ადასტურებს ქალაქის პირველ საავადყოფ-ოლან გაცემული სამედიცინო გაკვეთის აქ-ტი, სინამდვილეში მოკლულიაო. უფრო სწო-რად მოწამლულია იმ პირების მიერ, რომელთაც სურთ მიითვისონ მისი მეცნიერული აღმოჩენა. სწორად გადმოვცემ თქვენს აზრს ქალბატონო ნინო? — მიუბრუნდა პოლკოვნიკი ქალს.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. პოლკოვნიკმა განაგრძო — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თუ თქვენი მეუღლე ნამ-დვილად ბოროტების მსხვერპლი გახდა, მაიორი იმნაძე ისეთი კაცია, დამწაზვევ ვერსად გაეკ-ცევა.

ამ სიტყვებზე ქალმა ყურადღებით შეათვა-ლიერა მაიორი, მერე მე გადმოხედა, სათნოე-ბით გაიღიმა და დაიწყო:

— იმ დღით შვიდ საათზე გამომეღვიძა. მა-შინვე მექანიკურად ქმრის საწოლს ვადახედე. იგი ისეთივე დამიხვდა, როგორც დაწოლის წინ

დაეტოვე. — რაღაც არ მესიამოვნა. მხოლოდ ახლა მომაგონდა ღამის პირველ საათზე ძილში მომესმა, რომ ვიქტორი ეუბნებოდა მოსამსა-ხურეს: ახლავე დაწვევბიო. წამოვხტი. ჯერ სა-სადილო ოთახში შევევარდი, იქედან კაბინეტში. გულზე მომეშვა, ვიქტორი საწურ მაგიდასთან იჯდა სავარძელში და ეძინა. დაგუძახე, არ გან-ძრეულა. მივედით ხელი მოვიკიდე და... იგი სა-ვარძლიდან გადმოვარდა, იატაკზე დაეცა მძი-მედ. შეშინებულმა ყვირილი მოვრთე. ყვირილ-ზე მოსამსახურე შემოვარდა და მანაც შეკევ-



ლა. მერე როგორც იქნა სასწრაფო დახმარებას გამოვუძახეთ, თუმცა ისედაც ვიცოდით, რომ ამ ქვეყნად აღარ იყო. ექიმმაც დაადასტურა, რომ იგი რამდენიმე საათის წინ გარდაცვლილი-ყო. ვგამი წაიღეს, საღამოს კი მაცნობეს, რომ თქვენი მეუღლე გულის დამბლისაგან გარდაიც-ვალაო. დიხ... დაიღუპა ჯერ კიდევ ახალგაზრ-და, ორმოცდასამი წლის ნიჭიერი მეცნიერი — და მერე რა დროს, როცა უკანასკნელი ცდით უნდა შეემოწმებინა და დაედასტურებინა თავი-სი აღმოჩენა, რომელზედაც რამდენიმე წელი მუშაობდა. ოცი წელი ისე გვაფატრეთ, რომ ყველა ჩვენ შემოგვწვანტროდა.

— უკაცრავად, ქალბატონო! ავადმყოფობდა



თქვენი მეუღლე? — შეაწყვეტინა პოლკოვნიკმა.

— როგორ გეკადრებათ! თავის დღეში კბილიც არ ტკივბია. სულ დამცინოდა, როცა თავის ტკივილს ან გულის სისუსტეს ვუჩიოდი. ეეჰ, საცოდავი... სხვათა შორის, როცა მის კუბოსთან ვიდექი, ჩაცქეროდი მის სახეს, იგი ოღნავ შეცვლილი მეჩვენებოდა და გულში ვამბობდი, ხომ არ მოგვლეს-მეთქი ჩემო ვიქტორ ბორტომა და შურიანმა ადამიანებმა. მის შემდეგ ამეკვიტა და ვერ იქნა, ვერ მოვიშორე ეს აზრი. არა, არა, ნამდვილად მოკლეს, ნამდვილად.

— მაპატიეთ, — კვლავ შეაწყვეტინა პოლკოვნიკმა, — მაგრამ ასეთი საშინელი განაჩენის გამოსატანად უნდა გვქონდეს საფუძვლიანი მოსაზრებანი.

— საფუძვლიანი? — წამით ჩაფიქრდა ქალი, — მართალი ხართ. საფუძვლიანი მე არაფერი მაქვს ე. ი. მისამართი შემეშალა, ფსიქიატრთან უნდა მივსულიყავი. მაპატიეთ...

პოლკოვნიკმა ჩაახველა. მაიორი იმნაქე თანაგრძნობით შეჭყურებდა ქვრივს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება მომეცით შევეკითხო, — ნებართვა ითხოვა მაიორმა და როცა დასტური მიიღო, ვააგრძელა — ქილბატონო ნინო, ერთი ასეთი შეკითხვა: აქადა თუ არა მტრები თქვენს მეუღლეს ან ეგებ რაიმე ისეთი მიზეზი გააჩნდა, რის გამოც ვინმე გადაწყვეტდა მის მოკვლასა და თავიდან მოშორებას.

— მტრები? რას ამბობთ? რაც შეეხება მიზეზს რა ვიცი, ეგებ მისი აღმოჩენის მითვისება...

— კი მაგრამ, მეცნიერული აღმოჩენის მითვისება ასე ადვილი როდია — ჩავერიე მე.

— მართალი ხართ, — თქვა მაიორმა.

— პროფესორი მთელი წლები მუშაობდა ამ აღმოჩენაზე, და ბუნებრივია, ყოველივე ამის ფიქსირება ხდებოდა, მას აქვს ჩანაწერები, მასალები. არსებობს ავტორთა უფლებისა და პრიორიტეტის დამცველი კანონები. თქვენ წელან თქვეთ, ბოლო და ვადამწყვეტი ცდის ჩატარების დღეს გარდაიცვალაო, საინტერესოა, როგორ ჩატარდა ცდა? იქნებ უშედეგოდ და ამიტომაც, პროფესორმა ლუკავამ ეს ისე აღიქვა რომ...

ქალი ჩემსკენ შემობრუნდა.

— ყმაწვილო, საქმეც ისაა, რომ არავინ იცის როგორ ჩაიარა ცდამ. სათანადო საბუთები კი, რომელიც ჩემი ქმრის აღმოჩენას ეხება, ჩემლა გაუგებრად დაიკარგა.

— ეს როგორ? — იკითხა მაიორმა.

ქალმა ღრმად ამოიოხრა.

— დიახ, ყველაფერი გაქრა. სეიფში მხოლოდ ექვსი რვეულია.

— ოო, აქ რაღაც ამბავია.

— მაინც რა საბუთები უნდა ყოფილიყო თქვენი აზრით, მაგრამ თქვენ ალბათ არ იყავით ქმრის მეცნიერული საქმის კურსში, არა?

— მაპატიეთ, მაგრამ... მე ქმარი ასე მიწოდებდა: „სპეციალური წვავლური მდივანი სპეციალური მეცნიერული წოდებისა და ცოდნის გარეშე“. მართლაც მისი მდივანი ვიყავი. მისთვის შევისწავლე სტენოგრაფია და მანქანაზე ბეჭდვა. ვიქტორი მთელი კვირები მინ მუშაობდა. ის მკარანახობდა, მე კი ვიწერდი, მერე ხელახლა გადავწერდი ხოლმე საერთო რვეულებში, და გადავბეჭდავდი. ყველაფერი, რაც მის აღმოჩენას ეხებოდა, ათ რვეულში იყო. ეს ხელნაწერები ორ ცალად გადავბეჭდე. ერთი მათგანი სეიფში ინახებოდა, ინსტიტუტში. მეორე კი ჩვენთან სახლში, საკუთარ სეიფში. სიკვდილის დღეს ვიქტორის პორტფელში ჩემი ხელით ჩადეე № 7, 8, 9 და 10 რვეულები, აგრეთვე ჩანაწერების ის ეგზემპლარი, რომელიც სახლში იყო. ახლა კი პორტფელი აღარსად ჩანს.

— ააა, — ჩაახველა პოლკოვნიკმა — პორტფელის დაკარგვა ცუდია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დაიკარგა. ეგებ გზაში ან ავტობუსში დაავიწყდა?

— ეგეც გამოირიცხულია. — ვიქტორი მანქანით დადიოდა.

— მაშინ შოფერს უნდა ვკითხოთ...

— მანქანა საკუთარია, შოფერი არ გვყავდა.

— სეიფებში...

— ინსტიტუტში სეიფი ცარიელია. სახლში კი როგორც ვითხარით, მხოლოდ ექვსი საერთო რვეულია. ამ დღეებში ჩემთან მოვიდა პროფესორი კომახიძე, მთხოვა ჩანაწერები და დოკუმენტები ინსტიტუტისათვის გადაემცა, რათა დაემთავრებინათ ვიქტორის დაწყებული მუშაობა... სხვათა შორის იგი ისეთი რწმენით წავიდა თითქოს მე, რაღაც ეგოისტური გრძნობების გამო არ მსურდა დამეკმაყოფილებინა მისი თხოვნა. ცივად გამომემზვიდობა და მითხრა — ყველანი ამბობენ, რომ ვიქტორმა ჩანაწერები სიკვდილის წინ სახლში წაიღოო.

პოლკოვნიკმა კაბინეტში გაიარა-გამოიარა.

— მაშ, ასე... იბადება აზრი, რომ ადამიანი მოკლეს, რათა მიეთვისებინათ მისი აღმოჩენა.

— ექვი თუ გაქვთ ვინმეზე?

— ღმერთო, მომიტევე თუ შეგცოდენ... მაგრამ რატომღაც მგონია, რომ იგი მისმა ასისტენტებმა ვასაქემ და მერკვილაქემ მოკლეს. ამასთან, უფრო მეტი ეჭვი პირველზე მაქვს. სხვა რომ არა, ეს მისთვის პირველი შემთხვევა როდია.

— უფრო ზუსტად?

ქალის სახე უფრო მკაცრი და მრისხანე გახდა.

— ზუსტად? იგი ნასამართლებია მკვლელ-  
ბისათვის. საერთოდ კი ისინი სამ წელს მუ-  
შაობდნენ ვიქტორთან ერთად. მუშაობდნენ ინ-  
სტიტუტში, სახლშიც. უკანასკნელ საღამოს  
ორივე ინსტიტუტში უნდა ყოფილიყო. თვი-  
ოეულმა მათვანმა მშვენივრად იცის პროფესორ  
ლუკავას ყველა ჩანაფიქრი. ღიას, მწამს, რომ  
მათ მოკლეს ჩემი ვიქტორი, ღიას...

ქალს მხრები აუტაცხახდა, სახეზე ხელები  
აიფარა და აქვითინდა.

## 2.

— მიიღეთ განცხადება და დაიწყეთ საქირო  
დონისძიების განხორციელება — მიმართა პოლ-  
კოვნიკმა მაიორს და ქვრივი თავზიანად მიაცი-  
ლა კაბინეტის კარამდე.

№ 43 ოთახში ქვრივი საბოლოოდ დამშვიდ-  
და და ხელჩანთიდან ოთხად დაკეცილი ქალა-  
დი ამოიღო.

— მესმის, — თქვა მან, — როცა განცხადე-  
ბას გაძღვეთ რაოდენ დიდ ცოდვას ჩავდივარ,  
თუ ვცდები, მაგრამ რა გქნა, სხვა გზა არ მაქვს.  
დაეიშვილი არა მყავს, მამა რომ დაიცვას და მი-  
სი საქმე განაგრძოს. არც ქალიშვილი გამაჩნია  
ჩემი მწუხარება რომ გავუზიარო. იცით რატომ  
მოვედი თქვენთან? ჩემს ბედნიერებას, რა თქმა  
უნდა, ველარავინ დამიბრუნებს მაგრამ, მინდა,  
რომ განსვენებული ლუკავას აღმოჩენა ხალ-  
ხის საკუთრებად იქცეს, მაგრამ არა როგორც  
ვასაძისა და მერკვილაძის აღმოჩენა, არამედ  
როგორც სინამდვილეშია. და თუ მთლიანად მი-  
სი ავტორი ვიქტორი არ იქნება, ეს აღმოჩენა,  
დაე, ასე მაინც იწოდებოდეს — პროფესორ  
გ. დ. ლუკავას ჩანაფიქრითა და მისი აქტიური  
მონაწილეობით დამუშავებული. პროფესორ  
კომახიძეს რომ ჩემგან მიეღო ის, რაც თხოვია,  
გვეცემებით აქ არ მოვიდოდი. გამიგეთ?

— გასაგებია, ქალბატონო. აი, შევუდგები  
საქმეს და ვნახოთ, გვამის ეგზუმაცია, ბევრ რა-  
მეს მოჰყენს ნათელს და გვიკარნახებს როგორ  
მოვიქცეთ შემდეგში.


— რაო? — წამოხტა ქალი, გვამის ეგზუმაცია-  
ცია? არა, არა! დამიბრუნეთ განცხადება. ღმე-  
რთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე.

მაიორი თანაგრძნობით მიუახლოვდა ქალს,  
სკამზე დასვა და ჰკივით წყალი მიაწოდა.

— ქალბატონო ნინო, გთხოვთ ძალდონე  
მოიკრიბოთ და თვითონვე განსაჯოთ. განცხადე-  
ბის შესამოწმებლად ერთადერთი გზაა გვამის  
ხელახალი გაკვეთა გამოცდილი ექსპერტების  
დასწრებით. და თუ მივიღეთ დასკვნა, რომ ლუ-  
კავა მოწამლულია, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ,  
დამნაშავეებს საბრალდებო სკამი არ ასც-

დებათ. ახლა ერთი კითხვა: სამედიცინო გაკვე-  
თის აქტი თქვენთანაა?

— ღიას, — ქვრივმა ხელჩანთა ვახსნა.  
მაიორმა სწრაფად გადაათვალიერა იგი.



— ერთი ეს მითხარით, ვინ მისცა რწმუნება  
ვასაძეს და მერკვილაძეს გაკვეთას დასწრებოლ-  
დნენ?

ქალმა მხრები აიჩეჩა და ხმადაბლა, თითქოს  
იგონებდო ისე ჩაილაპარაკა.

— შეიძლება მე. არ მახსოვს, მაშინ ისეთ  
დღეში ვიყავი, რომ...

მაიორმა იმნაძემ აქტი ქვრივის განცხადებას  
მიაკრა.

— ვინ ცხოვრობს ამჟამად თქვენთან ბინაში?

— მოსამსახურე. მეგობარი ქალიც მოდის  
ღამის გასათევად.

— უფრო დაწვრილებით?

— მოსამსახურე მარო ქვათაძეა, ხანდაზმუ-  
ლი ქალი, თორმეტი წელი ჩვენთან მუშაობს.  
მეგობარი კი — აილა ლულუშაური, მეტად გუ-  
ლისხმიერი, მომხიბლავი ქალი, ისიც ქვრივაა.

— ერთი რამ უნდა გთხოვოთ. თქვენს ექ-  
ვებზე ან იმაზე, რომ ჩვენთან იყავით, არავის  
არაფერი არ უთხრათ.

ქვრივის სახეზე გაოცება გამოიხატა.

— რაღა გქნა, მარო დეიღამ და აიღამ ხომ  
ყველაფერი იციან...

— რა გავწყობა, მაშინ თხოვეთ, სხვებთან  
არ თქვან, ზედმეტი ლაპარაკი ხელს შეუშლის  
გამოძიებას.

გავიდა თუ არა ქვრივი, მაიორმა იმ წამსვე  
გააფორმა დადგენილება ვიქტორ დიმიტრის ძე  
ლუკავას გვამის ეგზუმაციის შესახებ.

— თუ ქვრივის ექვები დადასტურდა და პრო-  
ფესორი ლუკავა ნამდვილად მოწამლულია,  
ძლიერ დამნაშავეებთან მოგვიწევს ბრძოლა.  
ძნელია გამოიძიოთ გაფლანგვა, როცა გამფლანგ-  
ველთა ჯგუფს მთავარი ბუღალტერი ხელმძღ-  
ვანელობს. ხოლო როცა ქიმიკოსები მიმართავენ  
ქიმიას იმ მიზნით, რომ გზიდან მოიშორონ თა-  
ვიანთი ახლობელი, ეს... ეს...

რა იყო სახელდობრ — „ეს“ მაიორმა იმნა-  
ძემ აღარ დააბოლავა.



### 3.

მე და მაიორი იმნაძე პროფესორ-ტოქსიკოლოგის უღენტის კაბინეტში ვიჯექით. პროფესორმა ჭაღარა წარბები შეიპოვნა, სათვალეები მოიხსნა და კარგად შეგვათვალიერა.

— მაშ ასე, ძვირფასო მაიორო, ვიპასუხებთ თქვენს კითხვას: არ შემეცდარხართ. პროფესორი ლუკავა მოწამლულია, სამარადისო ხსოვნა მას, ნიჭიერ და გულწრფელ ადამიანს... იგი ახალი პრეპარატი მოწამლეს.

პროფესორმა ბლოკნოტი ამოიღო, შიგ რამდენიმე სიტყვა ჩაწერა, თანაც ასოები დათვალია, ფანქრის წვერით გახაზა და წერტილი დასვა. მერე ფურცელი ამოხია და მაიორს გაუწოდა.

— თქვენ ხომ ყველაფერი დაწვრილებით გინდათ, ასეთია თქვენი სამუშაო. სახელწოდება უცნაური და თავსამტკრევია. ამიტომაც დიგმარცვლეთ. ქვეშ ფორმულა მივაწერე საილუსტრაციოდ.

— პირველად ვხედავ ასეთ რაიმეს.

პროფესორმა თითები შეათამაშა მაგიდაზე.

— ახალი აღმოჩენაა, ქიმიისა და ფარმაცოლოგიის პირმო, მეტად სერიოზული, კარგი და თანაც საშიში. იგი ახლახან გადაეცა მედიცინას გამოსაყენებლად. ყველაზე ქმედითი საშუალებაა დიზენტერიის და ტიფების (გარდა პარტიხტიანისა) საწინააღმდეგოდ. ძლიერ მოქმედი სასაქმებელი და სასიცვდილო შხამია. რაო, ხომ არ შეგვმინდათ? არ გვენდობთ? თითქმის ყველა შხამს ერთნაირი ბუნება აქვს. სტრიქინინი და დარიშხანიც შხამებია, მაგრამ მედიცინა მათ იყენებს როგორც სასარგებლო მედიკამენტებს. საქმე ისაა, რა დოზითა და როგორ გამოიყენებთ თორემ, კაცი დიდი რაოდენობის სუფრის მარლითაც კი შეიძლება მოიწამლოს. მაგრამ ეს ახალი პრეპარატი მეტად საშიშიც არის. სრულებით არა აქვს სუნი, გემო, იოლად იხსნება სითხეში — წყალში, სიროფში, სპირტში. არსებითად იგი შეიძლება შეუმჩნეველად მოაყაროთ ყოველგვარ საჭმელს. როგორია? იგი მოთეთრო, ვამპკირვალე კრისტალია, წყნარ ლაბორატორიებში დაბადებული. ეშინია სინათლის, თორემ იმ წამსვე კარგავს ყოველგვარ თვისებას, ამიტომ ფარმაცევტული ქარხანა მას უშვებს მუქლურჯ სინჯარებში, ხოლო მისაღებად ფუთავენ შავ, სინათლისგაუმტარ ქაღალდში. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინსტრუქციის თანახმად ამ პრეპარატის გამოყენება უნდა მოხდეს კლინიკურ პირობებში, სავადმყოფოებში და მხოლოდ გამოჩენისის სახით შეიძლება კერძოდ პირის სახსლში წაიღონ. მაგალითად, მაშინ როცა ავადმყოფის ჰოსპიტა-

ლიზაცია შეუძლებელია, სიცოცხლეს კი საფრთხე ემუქრება. ასეთ შემთხვევაში მკურნალი ექიმის მიერ გაცემულ რეცეპტს ამოწმებს პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მას დაესმის მრგვალი ბეჭედი. ამის შემდეგ ძალაშია დებულება აფთიაქიდან ზოგიერთი პრეპარატის, (როგორც მაგალითად სტრეპტომიცინის, ფტიოზაზიდის) გაცემის შესახებ. მაგრამ ეს როდია ყველაფერი. წამლის დამზადება და დაფასოება ეკისრება ყველაზე გამოცდილ მუშაკს, რასაც შემდეგ აუტილებლად ამოწმებს აფთიაქის ხელმძღვანელი.

რალა თქმა უნდა, ამ მედიკამენტის შენახვაც მკაცრადაა დაცული. ჩვენს ქალაქში ოცდაშვიდი აფთიაქია და დარწმუნებული ვარ, ერთ ან ორს თუ ექნება იგი.

პროფესორი ოდნავ ჩაფიქრდა.

— როგორც ჩანს, ამხანაგო მაიორო — გააგრძელა მან — თქვენ გამოძიებას იწყებთ. ნებას მომცემთ, რომ გირჩიოთ რაიმე?

— დიდად მადლობელი ვიქნები, პროფესორო.

— მადლობას ნუ მეუბნებით, ეს ჩემი მოვალეობაა. ექიმის მონაწილეობის გარეშე ამ პრეპარატი შეუძლებელია ადამიანის მოწამელება. სეიფიდან, რომელშიც ეს პრეპარატი ინახება, ავადმყოფამდე იმდენი ხელის შემშლელი მიზეზია, რომ ყველას როდი შეუძლია მათი გადალახვა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ქალაქის მკურნალ ექიმთა ოთხმოცდაათმა პროცენტმა არც იცის ამ წამლის არსებობა და საერთოდ, თუ რამეში გამოგადგებით, მიმსახურეთ.


პროფესორი ადგა და გამოგვემშვიდობა. ქუჩაში რომ გამოვედით, მაიორმა იმნაძემ ერთხელ კიდევ წაიკითხა დამარცვლით სახელწოდება შხამისა, რომელმაც მოჰკლა პროფესორი ლუკავა და მთელი გზა ხმა არ ამოუღია.

### 4.

მაიორ იმნაძეს მაგიდაზე ჰქონდა გაშლილი ლუკავას ქვრივის განცხადება, ქალაქის პირველი საავადმყოფოს აქტი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა განმეორებითი გაკვეთის შესახებ და პროფესორ უღენტის მოსაზრებანი. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ისინი საქალაქო ექიმთა ჩაალაგა, მაგიდაზე გადმოიღო და მიიხარა:

— მაშ ასე, საქმე შედგენილია. გადადგმულია პირველი, ყველაზე იოლი ნაბიჯი, რომლისთვისაც არც სპეციალური ცოდნა საჭირო, არც სტაჟი ან წოდებაა. აბა, თქვენ რას იტყვით ამხანაგო ლეიტენანტო?

— მე უკვე რამდენიმე თვე ვმუშაობდი მასთან, მაგრამ მაინც ვერ გამეგო როდის მომმარ-



თავდა იგი, როგორც კონსტანტინეს, ან უბრალოდ კოტეს, ანდა როგორც ამხანაგო ჯაფარიძეს, ან ამხანაგო ლეიტენანტოს, ყოველ შემთხვევაში ახლა მისი მომართვა უაღრესად ოფიციალურად უღერდა და მეც ასევე ვუბასუსხე.

— ჩემი აზრით, პროფესორი უღენტი ოდნავ აპარებებს, აფასებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ხვდება პრეპარატს საწყობიდან ავადმყოფამდე. მე ვფიქრობ, ჩვენ სწორედ ამას უნდა ჩავვიდოთ ხელი, თუ კი პრეპარატი ასეთი „მეურვეობის ქვეშაა“, მაშინ იგი ზუსტად იქნება აღრიცხული... ასე რომ მივიდეთ იქ, სადაც იგი ინახება და მოვიტხოვოთ ანგარიში აი, მაგალითად, ფანქარი და ქაღალდი. „მიიღეთ ათი. გაეცით ორი. ახლა გაქვთ შვიდი. გვიპასუხეთ — სად არის ის ერთი და ეს „ერთი“ წაგვიყვანს სწორი გზით...“

— კეთილი, — დამეთანხმა მაიორი, მაგრამ ისეთი ტონით, ვერ გავიგე, დამცინოდა თუ მართლა მეთანხმებოდა. — სწორედ ამას გააკეთებთ დღეს და ხვალ...

ასე იყო თუ ისე, მაიორს უკვე მოვახსენე დღის ბოლოს შემდეგი: ჩვენთვის საინტერესო მედიკამენტი მთავარმა საავთიაქო სამმართველომ მიიღო მხოლოდ ერთხელ. „მასრები“ მოთავსებული იყო თუნუქის კოლოფებში, რომელსაც ნაკერები დარჩილული ჰქონდა. პრეპარატი გასცეს № 2 საავადმყოფოზე — ექვსი კოლოფი, ნომერ 3, 7 და 12 აფთიაქებზე — სამ-სამი კოლოფი.

ნომერ სამმა აფთიაქმა წარმომიდგინა ერთი რეცეპტი, მეშვიდე აფთიაქმა — ცხრა, მეთორმეტე კი — რვა, აფთიაქების დირექტორებმა დიდად გართულეს პრეპარატის გაცემის ინსტრუქცია, და ვიდაცის ტელეფონით გაცემული განკარგულებით, რეცეპტის მეორე მხარეზე აღნიშნავდნენ ავადმყოფის პასპორტის ნომერს და მისამართს, წამლის მიმღებს კი ხელს აწერიანებდნენ.

მაიორი კმაყოფილი დარჩა, ჩემს მიერ შედგენილი ცხრილით, რომლიდანაც ჩანდა თუ რომელმა ექიმმა გამოწერა რეცეპტი, რომელმა პოლიკლინიკამ დაამოწმა, ვისზე და რამდენჯერ გაიცა. აქვე იყო შენიშვნები — რეცეპტები გამოწერა თვრამეტმა ექიმმა თითოჯერ. მე-8 და მე-13 პოლიკლინიკებმა დაამოწმეს ორორი რეცეპტი. მე-17 ხუთი. დანარჩენი თითო რეცეპტი სხვა პოლიკლინიკებმა.

— ოპო, — ღრმავაზროვნად წარმოთქვა მაიორმა — ზუსტად გიმუშავნიათ, მაგრამ როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ არავენა ნაპოვნი, რომელსაც ვკითხავდით: „სად წავიდა ის ერთი?“ დიდიდანვე წახვალთ საავადმყოფოში და იქ შეა-

მოწმებთ. საღამოს კი დაიბარეთ ლუკავას ქვრივი და მისი მოსამსახურე.

### 5.

საავადმყოფოში ამ ბედკრულ მედიკამენტს არსებული მკაცრი ინსტრუქციის თანახმად ხარჯავდნენ, ამას გარდა, ავადმყოფები საკუთარი ხელის მოწერით ადასტურებდნენ თვითებული დოზის მიღებას. ასე რომ მე მალე გამოვბრუნდი.

სამმართველოში შესვლისას პირისპირ შევეყარე ლუკავას ქვრივს. გზა დავუთმე და მივესალმე, მაგრამ ვერ მიცნო. გვერდი ამიარა. მე ნაბიჯს ავუჩქარე და გავესწარი. ჩვენთან მოდიოდნენ.

გაბედულად შემოვიდა ოთახში. თავი დამიკრა, მაიორს მაგრად ჩამოართვა ხელი და არც ჩამომჯღარა, ისე თხოვა.

— მაპატიეთ, მაგრამ ძალიან ვთხოვთ დამიბრუნოთ ჩემი ვანცხადება.

მაიორ იმნაძეს გაეღიმა.

— დაბრძანდით, დამშვიდდით და სერიოზულად მოვილაპარაკოთ.

ლუკავა დაჯდა. ცხვირსახოცი ამოიღო, აღელვებულ სახეზე მოისვა და ისევ თავისი გაიმეორა.

— გაკვეთის აქტივ დამიბრუნეთ, უარს ვამბობ, აღარ მინდა აღიძრას საქმე. იმ დღეს ავჩქარდი, შევეცდი. თუ საჭიროა ხელწერილს მოგცემთ იმაზე, რომ...

იმნაძემ გვერდზე გადადო საქაღალდე.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, თქვენ, მგონი, ვერ ხართ დღეს კარგად.

ქვრივმა ხელები დაიჭმო გულზე.

— ვთხოვთ, გვეუღარებოთ, დამიბრუნეთ ვანცხადება, ნუ მტანჯავთ.

მაიორი წამოღდა.

— არ მომწონს თქვენი ტონი.

გნებავთ დავიჩოქებ და ისე ვთხოვთ.

— არა, სწორად ვერ გამოვეთ. მე არ მომწონს-მეთქი თქვენი ტონი, თქვენ ან ავად ხართ ან აქ ვიდაცის რჩევით მოხვედით.

— მართალი ხართ. მე მიზრჩის მიდი და ვანცხადება წამოიღე, პროფესორი ლუკავა არ მოუტლავთ, არც მოუწამლავთ. ის ძალიან კარგადაა.


მაიორმა გაკვირვებით გადმოხედა, შერე ისევ ქალს მიუბრუნდა.

— ვინ გირჩიათ?

— თვითონ მან.

— ვინ „მან“.

— ვინ და ვიქტორმა, იმ დღეს ვნახე. თქვენთან რომ ვიყავი, შემდეგ გუშინწინ, გუშინაც, არა, ის არავის მოუტლავს.



— რა თქვით, ქმარი ვნახეო?

ქვრივმა ორივე ხელი ჩასჰიდა მაიორს.

— ბატონო გიორგი, ნუ მტანჯავთ. მინც ვერაფერს ვაგვიბთ. გვედრებით, მომეცით განცხადება.

ლუკავას ქვრივი ფეხზე წამოღდა.

იმნაქმ მას მხარზე დაადო ხელი:

— უკაცრავად, მაგრამ თქვენი განცხადების საფუძველზე ჩვენ უკვე განმეორებით გავკვეთეთ...

— როგორ! თქვენ მინც ნაკუწებად აქციეთ მისი გვამი: თქვენ...

იმნაქმ წარბი შეიკრა, მკაცრად უპასუხა:

— ქალბატონო, ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ და მალაქვალიციურმა სპეციალისტმა — ექსპერტებმაც დაადასტურეს: თქვენი ქმარი მოწამლულია. აი, აქტი და დასკვნა.

იგი მაგიდისაკენ გადაიხარა, საქალღედან საბუთი ამოიღო და ლუკავას გაუწოდა. ქალმა უხმოდ წაიკითხა იგი, შემდეგ გადაადგო, თმაში ხელები იტაცა და ხმამაღლა აქვითინდა. თან თავისთვის ლულულუღებდა:

— რატომ მომბტყუე, ვიქტორ! აკი მოუწამლიხარ. ვიქტორ, ჩემო ძვირფასო, შენ იქაც კეთილი და გულთბილი ხარ...

როგორც იქნა გონს მოვიდა საცოდავი ქალი, დაირცხვინა, მოიბოღინა.

— არა უშავს, არა უშავს, ნერვების ბრალია, — დაუყვავა მაიორმა, — ახლა თუ შეგიძლიათ გვიამბეთ რაც გტანჯავთ, თუ არა და ხვალ შევხვდეთ...

— არა, არა! მხოლოდ ახლა, ახლა, რა ექნა არ ვიცი, ყველა მეჩიჩინება ეს ბედისწერააო, განგუბააო, რა ვქნა. მე უკვე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. ყველა მიბრძოლებს — მოსამსახურე, მეგობრები, ნათლიდედები, მათი რჩევით გავაჩერე საათი ბინაში, ზეწურები ჩამოვაფარე სარკეებს, ყველა ოთახში ვაზები დავდგი თაფლითა და წყლით სავსე, თეფშები კი პურით, ვიცი, რომ თაფლი და წყალი ორთქლდება, პური ხმება, მოტულობაში იკლებენ. მეკი ჩამაგონებენ ამით ვიქტორის სული იკვებებაო. მეც სულელივით ვიჯერებ და მიხარია. ვილატამ ისიც მიჩიჩია ვკლესიაში პანაშვიდი ვადაუხადეო და მეც ყოველდღე ეკლესიაში დავდივარ. მერე მიჩიჩეს, ორმოცი დღით დაკეტე მისი სამუშაო კაბანეტიო. მეც შევასრულე. ექვსი კვირა თმა არ უნდა დავიარცხნოო, მე და ჩემმა მეგობარმა იგი სიზმარში ვნახეთ და გვითხრა, დამშვიდდით, მე არავის მოვუკვლივარ, თვითონ მოკვდი, უკან წამოიღე განცხადება და ნუ დელავთ. გესმით, ჩემზე დარდობს. თქვენ კომუნისტრი ხართ და სიზმრის არ გჯერათ, მე კი დავიჯერე. ვიქტორის გარდაცვალების შემდეგ ჩემს ვარშემო სიცარიელე შეიქმნა. წინათ ჩვენს

ბინაში თვითელი კარიც კი თავისებურად მღეროდა. დაეხუჭავდი თვალებს და შეუცდომლად ვიტყვდი, რომელი კარი მღეროდა. ახლა კი ირგვლივ სამარისებური სიწყინარება და ვგრძნობ: ვიქტორი მუდამ ჩემთანაა. მეუბნება ყოველთვის და ყველგან შენთან ვარ გენაცვალეო. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ფაქიზად მკოცნის და ყურში რაღაცას ჩამჩურჩულებს. გუშინ და დღეს ღამით გარკვევით ვავიგონე მისი ნაბიჯების ხმა. გვედრებით, ნუ დამცინებთ. მან ორჯერ ყრულ ჩაახველა. გვეციცებით... ყველაფერი ისე კარგი იყო... ახლა კი... ახლა ამ აქტითა და ექსპერტის დასკვნით კვლავ გინდათ გზაკვალი ამიბრით.

ჩვენ არაფერი გვეთქვამს, მხოლოდ თანაგრძნობით შევხედეთ ქალს, რომელიც წამით შეჩერდა.

— თუ ეს დოკუმენტები მართალია, — ბოლოს ძალა მოიკრიბა და განაგრძო მან, — მაშინ ვიქტორი რად მეუბნება არავის მოუკვლივარო? მატყუებს? თუმცა ეს მოსალოდნელია, იგი ხომ ყოველთვის მიცავდა უსიამოვნებისაგან. ვთხოვთ, ვამიგოთ და დამბრუნეთ განცხადება. თუ კი მას არ სურს, რომ საქმე ავდძრა, ასეც იყოს.

მაიორი წამოღდა, ჰქიპაში ვალერიანის წვეთები ჩაასხა, წყალი დაუმატა და ქალს გაუწოდა.

— შესვით და წავიდეთ თქვენთან სახლში. განცხადებას წაიღებთ თუ არა სულ ერთია, საქმეს უკვე ვიკვლევთ, დამნაშავეები უსათუოდ დაისჯებიან. თქვენ კი გირჩევთ: ნურავის სისულელეებს ნუ აყვებით, აკი თქვენი ქმრის „სწავლული მდივანი“ ვიყავით. მართლა, ხომ ვერ გვეტყვით მოკლედ პროფესორ ლუკავას აღმოჩენის არსს?

ქალმა თმები შეისწორა და სერიოზული სახე მიიღო.


— როგორც თვითონ ამბობდა, მისი აღმოჩენა მოწოდებულა მთლიანად შეცვალოს ბამბა, სელი, აბრეშუმი, მატყლი, საშუალო სიდიდის ქარხანა, რომელიც გამოიმუშავებს „პრეპარატს“, მოგვეცემს მას, რასაც იძლევა ათასობით სული ნაზმაცვლიანი ცხვარი, ასობით პექტარი ბამბის პლანტაცია... ე. ი. განცხადებას არ დამბრუნებთ?—თქვა მან უცებ ყოვლად მოულოდნელად და წამოღდა — მაშინ იქნებ...

აქ ქალი შეყოყმანდა. მაიორმა იმნაქმ მყისვე გადმოხსენა:

— ამხანაგო ჯაფარიძე, წავიდეთ, გავყვეთ ქალბატონს.

### 6.

სახლის შესასვლელთან ქვრივი შეჩერდა. — რომ იცოდეთ, როგორ მიჭირს ასვლა, მაგრამ მინც ერთი სული მაქვს სანამ კიბეს ავირ-



ბენ, ოთახებში შევალ და იმ პაერით ვისუნთქავ რომელსაც ვიქტორის სული ტრიალებს. ამავე დროს კი შინ დაბრუნებისას რაღაც შიშიც მიპყრობს.

ხელი მოკვიდე ქვრივს და ნელი ნაბიჯით ავედით კიბეზე. შეეჩერდი კართან, რომელზეც პატარა ფირფიტაზე ლამაზი ასოებით ეწერა: „გ. დ. ლუკავა“.

მაიორმა ზარის დილაკს დაჰკრა თითი. ზარის ხმაზე არავინ აჩქარებულა. მაიორმა კარები შეათვალიერა. ანჯამებიდან ზეთი ჟონავდა. ქვედა ანჯამას თითი მოუსვა და თავი გადააქნია. კარი გააღო ხანში შესულმა შევებში გამოწყობილმა ქალმა.

— ეს მარო დეიდაა. ჩვენი ოჯახის წევრი. ესენი კი სისხლის სამართლის სამძებრო ორგანოდან არიან.

ლუკავას ბინა ხუთი ოთახისაგან შედგებოდა. წინა ოთახში რომ შევედით, დიასახლისმა გვითხრა:

— მარჯვნივ სასტუმროა, საიდანაც გასასვლელია კაბინეტში. პირდაპირ — სასადილო, იქედანაც შეიძლება კაბინეტში გასვლა. ეს კარი კი საწოლი ოთახისაა, შემდეგ სამზარეულოა, იქედან კი მარო დეიდას ოთახშია გასასვლელი. საით წავიდეთ?

მაიორმა უხმოდა მიმოიხედა. ოდნავ მიბიძგა და წამწერჩულა:

— კარის ანჯამები ახალი გაზეთილია.

მართლაც, ყველა კარის ანჯამები უხვად იყო გაზეთილი. წინა ოთახში იდგა ტრიუმფო ზეწარჩამოფარებული სარკით, ჩამოსაკიდი და უზარმაზარი, რევოლუციამდელი ზანდუკი.

დუმლით დავიარეთ მთელი ბინა. სასტუმროში რომ შევედით, მაიორი კაბინეტის კართან შეჩერდა, გაღება დააპირა. ქვრივი პორილებით შეეხრა მის ხელს:

— იცით, ამბობენ რომ მიცვალებულის ოთახის გაღება ორმოც დღეს არ შეიძლებაო.

— ვინ ამბობს?

— ყველა, და მეც მჯერა...

— ამჯერად, მეც დამიჯერეთ, გააღეთ კარი. დაე ცოცხალი ჩემზე იყოს.

ლუკავამ გულწაყენად მოკუმა ტუჩები და გასაღები გამომიწოდა. კაბინეტი მართლაც ისეთი იყო, როგორც დიდ მეცნიერს შეეფერება. საწერი მაგიდის გარდა, მასში რამდენიმე სავარძელი იდგა, ცეცხლგამძლე კარადა.

— არ შემოხვიდეთ, — თქვა მაიორმა, მაგრამ ქვრივი მაინც შემოვიდა, გაიარ-გამოიარა. მიმოიხედა, ამოიოხრა, ერთ-ერთ სავარძელთან მივიდა და მუხლებზე დაეშვა:

— აი, აი... ვიქტორის კვალი. თქვენ კი ამბობთ...

ქუჩაში სახლის პირდაპირ, მშენებლობა ჩანდა, ამიტომაც კაბინეტში, მიუხედავად იმისა, რომ ფანჯრები დაკეტილი იყო, იატაკი და მოკლი ავეჯი მტვრის თხელ ფენას დაეფარა. მასზე კი ჩანდა მამაკაცის ფეხსაცმლის ნაკვალევი. იმნაქე ქვრივთან მივიდა და ბრძანების კილოთი უთხრა:

— დაბრძანდით, ამჟამად, მე ვარ აქ პატრონი, ხელი არ შემიშალოთ. უსხუელო სულები ფიზიკურ კვალს არ ტოვებენ. მით უმეტეს კალოშინს. როდის დალაგეთ უკანასკნელად ოთახი?

— გამოსვენების დღეს.

— მ-ა-შ ა-ს-ე! — გააგრძელა მაიორმა და მერე მე ჩამწერჩულა: დაკეტილ ოთახში „სულის“ შემოჭრის ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს. მას გასაღები აქვს. ყველაფერი გულდასმით დაათვალიერეთ. მე კი იატაკს მივხედავ.

მან ჯიბიდან ამოიღო პატარა ლუბა და შეუღდა იატაკზე დარჩენილი ნაკვალევის შესწავლას.

— ხვეულა თან გაქვთ?

გიორგი წამოღდა:

— ჩაწერე, — მომმართა მაიორმა, — ოცდაშვიდი და ხუთი მეათედი. ახალი კალოშები. ნაკვალევის ხანდაზმულობაა ერთი დღე-ღამე, შეიძლება ორიც. სასწრაფოდ გამოიძახეთ კაპიტანი მილორაია. ნაკვალევს ფოტო უნდა გადავუღოთ.


სანამ მე ვრეკავდი, მაიორი ოთახის დათვალიერებას განაგრძობდა. უცებ მისი ყურადღება მიიპყრო ფანჯრის რაფაზე დაგდებულმა პაპირისის ნაშუკავმა. ორი თითით აიღო იგი და შეათვალიერა.

### 7.

— ესეც თქვენი უსხუელო სული კალოშებში, — წარმოთქვა მაიორმა, ახლა კი საჭიროა გავესაუბრო ქვრივის მეგობარს, დევაზუსტო, რატომ ურჩია მან ქვრივს განცხადება დაიბრუნეო, ვინ იცის, ეგებ სულაც მკვლელებმა დაავალეს?

მარიამ ნიკოლოზის ასულმა ქვათაძემ შემდეგი აჩვენა:

პირველ რიცხვში, დაახლოებით დამის პირველ სათზე, უკვე გახდილი ვიყავი, რომ ოდნავ კაკუნი გავიგონე შესასვლელი კარებიდან. როცა პროფესორი თერთმეტის შემდეგ მოვიდოდა ხოლმე, იგი ჩვეულებრივ თავისი გასაღებებით სარგებლობდა. მე მაინც გავედი. პროფესორმა ქული ჩამოკიდა და თქვა: გასაღებები სადღაც დამეკარგაო. დაღლილობა ემჩნეოდა, მაგრამ რალაით გამოყოფილი ჩანდა. გავიდა კაბინეტში და სავარძელში ჩაჯდა. საჭმელს ზომ არ მიითმევთ-მეთქი, ვუთხარი, მან კი მიპასუხა



— მარო დეიდა, მომილოცეთ, დავამთავრე სამუშაო, ხუთიანი პლიუსით, ყველაფერი მოგვარდა. რამდენიმე დღეც და ჰაიდა, მოსკოვი-საკენ. მერე თქვა, ცოტა თავი კი მტკიავ, მაგრამ არა უშავსო. გამომშვიდობებისას მითხრა — საოცარია ეს ცხოვრება, ასეც ხდება; შენს გვერდით ადამიანი ტრიალებს, შენ ყურადღებას არ აქცევ, მაგრამ მას ოქროს თავი აქვს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ ეს ოქროს თავი ითამაშებდა გადამწყვეტ როლს „ახლო პრეპარატის“ გაჩენაშიო.

— თქვენი აზრით, ვინ უნდა იყოს ეს „ოქროს თავი“?

— ვერაფერს გეტყვი. საბრალო, ყოველ დამეს მესიზმრება, ვწევარ და მესმის, როგორ დადის მისი სული ბინაში, ალბათ გულწაწყენია, რომ მისი სხეული ნაკუწებად დაჭრეს. მაინც რატომ ჭრიან მიცვალებულს, ვერ გამოვიგა.

— ერთი ეს მითხარით, ვინ გაზეთა თქვენი კარის ანჯამები?

— ვინ და კოლიამ, პროფესორის ასისტენტმა, ნიკოლოზ მერკვილაძემ, ოღონდ კი რამე უთხარი, და რას არ გააკეთებს მისი ხელი. ერთ-ხელ, შემოირბინა და მითხრა — მარო დეიდა, ცოტა ზეთი მომეცი, კარების ჭრიალი ქალბატონ ნინოს ნერვებს უშლისო.

— პროფესორის პორტფელზე რას იტყვი?

— ჯერ ასე მახსოვდა, რომ იგი პორტფელით მოვიდა, კაბინეტში შეიტანა და მაგიდაზე დადო, მაგრამ როცა გარდაიცვალა, პორტფელი ველარსად ნახეს. ალბათ შევცდი, ნამდვილად უპორტფელოდ მოვიდოდა.

— თქვენი ნაცნობებიდან ვინ ეწევა „ბელო-მორკანასლ“?

ქვათაძემ ტუჩები შეათამაშა:

— რა ვიცი, აბა ახლა ყველა ეწევა, ვინ სიგარეტს, ვინ „ბელომორს“, ვინ „ყაზბეგს“, რა სისულელეა, თვითონვე იწამლავენ ორგანიზმს. ...მაიორმა იმნაძემ მარიამ ქვათაძე კარებამდე მიაცილა.

— კოტე, უნდა ავჩქარდეთ, ჯერ ინსტიტუტში წავიდეთ, ვნახოთ რას გვეტყვიან, იქიდან კი თქვენ სასწრაფოდ მოინახულეთ ყველა ის თვრამეტი მოქალაქე, რომლებმაც პრეპარატი ისარგებლეს.

...პროფესორ კომახიძეს დიდად არ გახარებია ჩვენი დანახვა.

— ჰმ... ვერ გამოვიგა რა მიზანი აქვს თქვენს ვიზიტს? მართალია, ქალბატონმა ლუკავამ, რომელსაც, სხვათა შორის, მემკვიდრის უფლება აქვს, არ მოისურვა დაემკაყოფილებინა ინსტიტუტის თხოვნა, მაგრამ ჩვენ მაინც არავითარი

საქმე არ აღგვიძრავს. მაშ, თქვენ რა უტაში ხართ?

მაიორმა იმნაძემ მოთმინებით აუხსნა ჰალარა მეცნიერს საქმის ვითარება და სთხოვა დაეხასიათებინა განსვენებულის უახლოესი თანამშრომლები.

— ქალბატონი ლუკავა ექსპანსიური ბუნებისაა, — დაიწყო პროფესორმა, — მას ყოველთვის რალაც ელანდება... რაც შეეხება ვასაძესა და მერკვილაძეს ისინი დიდხანს მუშაობდნენ პროფესორ ლუკავასთან. მერკვილაძე ბუნებით კრიტიკოსია. არც ერთ კრებას არ გაუშვებს, რომ არ გამოვიდეს. არაფერი არ მოსწონს. ვასაძე კი პირიქით, იდეალისტი, ცხოვრებას ვარდისფერი სათვალეებით უყურებს. არც კი ვიცი, ჰქონდა თუ არა მას თავისი თვალსაზრისი ლუკავას შრომაზე. მგონი რომ არა. რაც შეეხება მესამეს, ემა სელიხანოვას, მიძინებდა მასზე რამე ვთქვა. ანკეტური მონაცემების მიხედვით, მუშაობა შეუძლია. იცით, აქ ხმები დადის, თითქოს ლუკავა მოკლესო. არაფერი ვაგიგონიათ? იმნაძემ უარყოფის ნიშნად თავი გააქანია.

— აღმოჩენის საიდუმლოების ხელში ჩაგდების მიზნით შეიძლება მოეკლათ კაცი? — განაგრძო კომახიძემ.

— შესაძლებელია, მაგრამ ახლა, თუ შეიძლება დავათვალეებთ პროფესორ ლუკავას ლაბორატორიას.

— სიამოვნებით, — კომახიძემ ზარის ღილაკს დააჭირა თითი, — მხოლოდ მე უნდა დავჩქე, მდივანი წამოგვეყვებათ.

ლაბორატორიაში სწორედ სამი ასისტენტი იყო. ისინი წამოდგნენ და მოგვესალმენ. მდივანმა პირდაპირ მიახალა.

— ეს ამხანაგები სისხლის სამართლის საგამომძიებლო ორგანოდან არიან პროფესორ ლუკავას ხელნაწერებთან დაკავშირებით, — შემდეგ კი სათითაოდ გავვაცნო ასისტენტები.

— ემოჩკა, სელიხანოვა, ნიკოლოზ ვასაძე და ნიკოლოზ მერკვილაძე, — შემდეგ ხელები გაშალა და გვითხრა:

— იმედია უჩემოდ ყველაფერს გააკეთებთ, თქვენს საქმიანობაში ზედმეტი კაცი საჭირო არაა...

მაიორმა ძლივს შეიკავა თავი.

— არა უშავს, თუ საჭირო იქნებით გამოვიძახებთ!

მაიორმა იმნაძემ იქაურობა დაათვალიერა და ღია სეიფთან მივიდა.

(გაგრძელება იქნება)

# ქორეა და მიზოთონია

## მონოგრაფია დანაშაულები თანამონაწილეობის შესახებ\*

თანამონაწილეობის ინსტიტუტი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ურთულესი და მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. სწორედ ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რასაც მის მიმართ სისხლია სამართლის მეცნიერება იჩენს.

ამ ინსტიტუტის გასაშუქებლად საბჭოთა სინამდვილეში რამოდენიმე მონოგრაფიაა გამოცემული<sup>1</sup>, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამონაწილეობის პრობლემა, რჩება იმ პრობლემათა რიცხვში, სადაც ბევრია ისეთი სადავო და ვადუტური საკითხი, რომელიც შეიძლება თეორიულ დამუშავებას მოითხოვს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ სარეცენზო ვიგნი ქართულ ენაზე გამოცემული პირველი შრომა, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხებს ეხება, ცხადი ვახდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული იურიდიული აზრის განვითარებისათვის პროფ. თინათინ წერეთლის მონოგრაფიის — „თანამონაწილეობა დანაშაულში“ — გამოცემა.

პროფ. თ. წერეთელი თანამონაწილეობის ინსტიტუტის კვლევას თანამონაწილეობის ცნების გარკვევით იწყებს, რისთვისაც უწინარეს ყოვლისა ადგენს თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ საფუძვლებს.

„თანამონაწილეთა ობიექტური მხარის ერთიანობა უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, — აღნიშნავს ავტორი, — რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, ასე რომ, ეს შედეგი მათი საერთო საქმიანობის პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს. აქედან გამომდინარე მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელსაც ბრალთან ერთად, ემყარება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა, იმ ობიექტურ ზღვარს, რომლის გარეშე არ შეიძლება გავრცელდეს პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის“ (გვ. 12).

აქვე ავტორი საფუძვლიანად აკრიტიკებს აკად. ა. ვიშნისკის მცდარ შეხედულებას თანამონაწილეობის შესახებ, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ

როგორ არასასურველ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის მიზეზობრივი კავშირის საჭიროების უარყოფამ (გვ. 20-21).

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველთან ერთად ავტორი ადგენს მის სუბიექტურ საფუძველსაც. ავტორის აზრით „თანამონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც არა მარტო ობიექტურად განაპირობა თავისი მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი, არამედ აგრეთვე ბრალულად გამოიწვია იგი“ (გვ. 34).

თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის საფუძვლის დადგენა საშუალებას აძლევს ავტორს ნათლად გაარკვიოს თვით თანამონაწილეობის ბუნება და არსი, მოგვეცეს თანამომდევრული, ლოგიკურად გამართული მოძღვრება თანამონაწილეობის ცნების შესახებ.

ინტერესს იწვევს პარაგრაფი, სადაც გაშუქებულია საკითხი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათის შესახებ.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულება თანამონაწილეთა აქცესორული პასუხისმგებლობის აღიარებაში ხედავს რეაქციულ და ფორმალურ-დოგმატიკურ მომენტებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორიის დეტალური ანალიზის მეშვეობით პროფ. თ. წერეთელი თანამომდევრულად და ნათლად ასაბუთებს, რომ ეს თეორია არ წარმოადგენს არც რეაქციულს და არც ფორმალურ-დოგმატიკურს და იგი საცხებით გამოდგება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. ავტორის აზრით თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ბუნება ის აღიარება არ ეწინააღმდეგება არა თუ იმ თეორეტიკოსთა ძირითად შეხედულებებს, რომლებიც ილაშქრებენ თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების წინააღმდეგ, არამედ თვით

\* თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965 წ.

1 იხ. А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941; М. А. Шнайдер, Соучастие в преступлениях по советскому уголовному праву, М., 1958; Л. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, М., 1959; М. И. Ковалев, Соучастие в преступлениях, Свердловск, ч. 1, 1960, ч. II, 1962.



საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც კი (გვ. 84).

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს უფრო ადრე გამოცემულ მონოგრაფიაში („დანაშაულის მომზადება და მცდელობა“) გამოთქმული ჰქონდა საწინააღმდეგო შეხედულება. კერძოდ ის, — რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იზიარებს თანამონაწილეობის აქტესორულ თეორიას<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ავტორმა შეიცვალა თავისი ადრინდელი შეხედულება. კარგი იქნებოდა ამის შესახებ მითითებული ყოფილიყო სარეცენზიო ნაშრომში.

მონოგრაფიის მეორე თავი თანამონაწილეობის სახეებისადმი მიძღვნილი.

პროფ. თ. წერეთელი ფართოდ და ყოველმხრივ აშუქებს ამ საკითხს. იძლევა თანამონაწილეთა კლასიფიკაციას, რის შემდეგ იხილავს თანამონაწილეობის ცალკეულ ფიგურებს. ყურადღებას ამახვილებს თანამონაწილეობის ძირითად ფიგურაზე — აღმსრულებელზე. აღმსრულებლის ცნებისაგან ანსხვავებს შუალობითი ამსრულებლობის ცნებას და იძლევა ამ ცნების ორიგინალურ განმარტებას. მისი აზრით „დამნაშავეს, რომელმაც შეასრულა დანაშაულის შემადგენლობა სხვა ადამიანის („იარაღის“) მეშვეობით, ეწოდება შუალობითი ამსრულებელი“ (გვ. 118). ავტორი, იმ კრიმინალისტების საწინააღმდეგოდ, რომლებიც საერთოდ უარყოფენ შუალობით ამსრულებლობას, სავსებით სწორად სთვლის, რომ „დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი სხვისი ნების ბრმა იარაღია, ამიტომ დამნაშავე, რომელმაც იგი თავისი მიზნებისათვის გამოიყენა, არ ჩაითვლება წამქეზებლად ან დამხმარედ, არამედ თითონ არის დანაშაულის შემსრულებელი“ (გვ. 118).

შუალობითი ამსრულებლობისაგან შრომაში განსხვავებულია. თანამსრულებლობა. იშველიებს რა ამსრულებლობის საკანონმდებლო ფორმულირებას, ავტორი ახლებურად განსაზღვრავს თანამსრულებლის ცნებას. „თანამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს იღებს დანაშაულის ჩადენაში“ (გვ. 132).

დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობა ავტორს ესმის, როგორც მონაწილეობა ისეთ მოქმედებაში, რომლითაც ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობა. ამიტომ, მისი აზრით, არ ჩაითვლება თანამსრულებლად ის პირი, ვინც **თუმცა** დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას არ ახორციელებს (გვ. 132).

აქვე ავტორი მიჯნავს თანამსრულებლობას დახმარებისაგან. იგი დგას იმ სწორ პოზიცია-

ზე, რომლის მიხედვით ყოველი მოქმედება, რომელიც არ გამოიხატება დანაშაულის უშუალო შესრულებაში, არამედ მიმართულია იმისკენ, რომ გაადვილოს დანაშაულის ჩადენა, თავიდან მოაცილოს დამნაშავეებს დაბრკოლება, რათა მათ შესძლონ განზრახვის სისრულეში მოყვანა, ამსრულებლის მოქმედებას არ მიეკუთვნება. იგი უნდა ვანიხილებოდეს როგორც დახმარება (გვ. 134). თანამსრულებლობა, ავტორის აზრით, გვექნება არა მარტო მაშინ, როცა თანამსრულებელი დანაშაულის მთელი შემადგენლობის განხორციელებაში იღებს მონაწილეობას, არამედ მაშინაც, როცა შემადგენლობის ნაწილს ასრულებს (გვ. 135).

სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის განსაკუთრებით ინტერესს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც შენადგენი დანაშაულის დროს დანაშაულის პირველ ნაწილს, სხვებთან ახორციელებს ერთი პირი, ხოლო შემდეგ მას შეუერთდება მეორე, რომელიც პირველთან შეთანხმებით დაამთავრებს ამ დანაშაულს. სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მეორე პირმა პასუხი უნდა აგოს მთელი შენადგენი დანაშაულისათვის, ვინაიდან მან იცის დამამძიმებელი გარემოების შესახებ, ავტორი არ ეთანხმება საკითხის ამგვარ გადაწყვეტას. მისი აზრით, ეს შეხედულება „ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს. დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმისათვის, რაც მან ობიექტურად გააკეთა და რისი განზრახვაც მას ჰქონდა. შემდგომი მონაწილეობა ვერ შეავსებს მიზეზობრივ კავშირს, რომელიც მეორე დამნაშავეს ქმედობასა და ძალადობის აქტს შორის არ არსებობს. იგი ვერ შეავსებს ბრალსაც, ვინაიდან განზრახვა არის ფსიქიკური დამოკიდებულება, მიმართული მომავლისაკენ და არა წარსულისაკენ“ (გვ. 141).

ავტორის პოზიცია ამ საკითხში, ჩვენი აზრით, სწორია და იგი გახიარებულ უნდა იქნას როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის მიერ.

ავტორს აქვე მოცემული აქვს დანაშაულის ორგანიზატორის ცნების ორიგინალური განსაზღვრა, რომლის მიხედვით „დანაშაულის ორგანიზატორად ჩაითვლება ის პირი, ვინც შექმნის დანაშაულებრივ ორგანიზაციას ან ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას, ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას“ (გვ. 146). ჩვენი აზრით, დანაშაულის ორგანიზატორის ცნების ეს განსაზღვრა უფრო სრულია და უფრო ზუსტად გამოხატავს ორგანიზატორის ბუნებას, ვიდრე

ის განსაზღვრა, რომელიც საფუძვლებშია მოცემული.

საკმაო ადგილს უთმობს ავტორი წამქეზებელს, როგორც დანაშაულის თანამონაწილეობის ერთ-ერთ ფიგურას, ადგენს მის ცნებას, მიჯნავს წაქეზებას ფსიქიკური დახმარებისა და ავტაცია-პრობაგანდისაგან, იხილავს ავტენტ-პროვოკატორის საკითხს და სხვ.

აოქსანიშნავია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1962 წლის 31 ივნისის დადგენილების თანახმად, „როდესაც პირი აქეზებს ქრთამის მიმცემს და მისგან ღებულობს ფულს ან სხვა ფასეულობას ვითომდა ქრთამის სახით თანამდებობის პირისათვის გადასაცემად, მაგრამ მას ფაქტიურად ითვისებს, ეს დანაშაული იმ პირთა მიმართ, რომლებიც იყოლიებენ ქრთამის მიცემას, საჭიროა დაკვალიფიცირდეს, როგორც ქრთამის მიცემის წამქეზებლობა...“<sup>4</sup>

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, რომელსაც თვით ავტორიც იზიარებს, წამქეზებლობა განზრახი მოქმედებაა და წამქეზებლის განზრახვა უნდა მოიცავდეს, უპირველეს ყოვლისა, ყველა იმ ფაქტურ გარემობას, რომელიც ქმნის მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს, და აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის საერთო განვითარებას მოქმედებასა და დამდგარ საზოგადოებრივად სამიშ შედეგს შორის. ამგვარად, წამქეზებლის მოქმედება, როგორც სუბიექტურად ისე ობიექტურად მიმართული უნდა იყოს იმ დანაშაულის ჩასადენად სხვისი დაყოლებისაკენ, რისთვისაც წამქეზებელს ვსჯით.

აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ პირი დავსაჯოს, როგორც ქრთამის მიცემის წამქეზებელი უნდა დავადგინოთ, რომ ამ პირის მოქმედება, როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურად მიმართულია იქითკენ, რომ მოქალაქემ მისცეს, ხოლო თანამდებობის პირმა აიღოს ქრთამი. წამქეზებელი უნდა ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის განვითარების ძირითად მიმენტებს მის მოქმედებასა და დამდგარ დანაშაულბრივ შედეგს (მექრთამეობას) შორის და უნდა ისწრაფვოდეს ასეთი შედეგის დადგომისაკენ.

რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზემოთ მოტანილ დადგენილებაში მითითებულ შემთხვევებს, აქ ე. წ. „წამქეზებლის“ მოქმედება, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად მიმართულია არა იქითკენ, რომ დაიყოლიოს მოქალაქე, რათა ამ უკანასკნელმა ქრთამი მისცეს თანამდებობის პირს, არა-

მედ იქითკენ, რომ ბოროტად გამოიყენოს მოქალაქის ნდობა, გამოსტყუოს მას ფული ან სხვა ფასეულობა ვითომდა ქრთამის სახით სხვისთვის გადასაცემად და მიითვისოს იგი ე. ი. ჩაიდინოს თაღლითობა, გათვალისწინებული საქართველოს სსრ კოდექსის 153-ე მუხლით.

ჩვენ ექვს გამოთქვამთ, მაგრამ არ ვცდებით დავამტკიცოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნული დადგენილების არასიზუსტე, მაგრამ ამ საკითხის განხილვისათვის გვერდი არ უნდა აველო სარეცენზიო შრომის ავტორს.

თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახის — დამხმარის ცნების გარკვევის უროს ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას საკითხზე იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი თანამონაწილეობა დანაშაულის განუცხადებლობისა და მიმნებლობის დროს. იყენებს რა მოძღვრებას უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ მიმნებლობა და განუცხადებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იდგეს მიზეზობრივ კავშირში დამდგარ საზოგადოებრივად სამიშ შედეგთან, როდესაც პირს ჰქონდა სპეციალური ვალდებულება ხელი შეეშალა დანაშაულის ჩადენისათვის (სპეცსუბიექტი), ავტორის აზრით, ასეთ შემთხვევაში არსებობს როგორც ბრალი, ისე მიზეზობრივი კავშირი, ამიტომ გვაქვს თანამონაწილეობა დახმარების სახით (გვ. 171). ბუნებრივია, რომ იგივე მდგომარეობას აქვს აღვილი მაშინაც, როდესაც მიმნებლობა ან განუცხადებლობა სპეცსუბიექტის მიერ წინასწარაა შეპირებული.

შრომში სხვაგვარად წყდება საკითხი, როდესაც მიმნებლობას ან განუცხადებლობას პირდება მოქალაქე, რომელიც არ იყო სამართლებრივად ვალდებული ხელი შეეშალა დანაშაულისათვის. ავტორის აზრით, აქაც ისევე, როგორც წინა შემთხვევაში არსებობს როგორც მიზეზობრივი კავშირი, ისე ბრალი; მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით პირი არ უნდა დაისაჯოს. „ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენს კანონმდებლობაში, რომელიც დამხმარის მოქმედებათა ამომწურავ ჩამოთვლას იძლევა, განუცხადებლობის ან მიმნებლობის წინასწარი დაპირება არ არის გათვალისწინებული, როგორც დახმარების სახე“ (გვ. 185).

ამგვარად, ავტორის აზრით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავეს მიმნებლობას ან განუცხადებლობას ჰპირდება ისეთი პირი,

<sup>4</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963, М., 1964, стр. 252.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რომელსაც აქვს დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეშლის სპეციალური ვალდებულება (სპეცსუბიექტი), ადგილი აქვს დახმარებას, რადგან სახეზეა, როგორც ბრალი ისე მიზეზობრივი კავშირი. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ასეთივე მოქმედებას ჩადის პირი, რომელსაც არ ჰქონდა სპეციალური ვალდებულება ხელი შეეშალა დანაშაულისათვის, თუმცა სახეზე გვაქვს როგორც ბრალი, ისე მიზეზობრივი კავშირი, მაგრამ დახმარება არა გვაქვს, რადგან განუტყულებლობისა და მიმნებლობის წინასწარი დაპირება კანონში არ არის გათვალისწინებული, როგორც დახმარების სახე.

მაგრამ კანონში ხომ განუტყულებლობისა და მიმნებლობის წინასწარი შეპირების ასეთი შემთხვევებიც არ არის გათვალისწინებული, როდესაც ასეთ დაპირებას იძლევა ის, ვისაც სპეციალური ვალდებულება ჰქონდა ხელი შეეშალა დანაშაულისათვის? მაშ, როგორ უნდა დავასაბუთოდ ასეთი პირის, როგორც დამხმარის პასუხისმგებლობა?

ავტორი, როგორც ჩანს, თვლის, რომ ისეთი პირი, რომლის საქმიანობა თავისთავად წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის დაბრკოლებას, მიმნებლობისა ან განუტყულებლობის წინასწარ შეპირებით თვით სპობს ამ დაბრკოლებას და ამიტომ ხვდება დამხმარის საკანონმდებლო ფორმულაში „დანაშაულის ჩადენის დაბრკოლების მოსპობა“.

მაგრამ ამ ფორმულაში შეიძლება მოხვდეს ისიც ვინც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით არ იყო ვალდებული ებრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ? ვთქვათ, ბოროტმოქმედებს სურთ გაქურდონ ბინა, რომლის პატრონი ავარაკზე წასული. მაგრამ ამ დანაშაულის განხორციელებას ხელს უშლის ის, რომ ბინის ერთ-ერთ ოთახში მდგმური ცხოვრობს. მდგმური შეპირდა ბოროტმოქმედებს, რომ იგი ხელს არ შეუშლის მათ ბინის გაქურდვაში და არც განაცხადებს ამის შესახებ. ბოროტმოქმედებმა დაუბრკოლებლივ გაქურდეს ბინა.

მდგმურის წინასწარ შეპირებული მიმნებლობა და განუტყულებლობა, მიზეზობრივი კავშირშია დამდგარ საზოგადოებრივად სამიშ შედეგთან, იგი ბრალეულია და ობიექტურად წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად შექმნილი დაბრკოლების შეგნებულ აცილებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მისი მოქმედება შეესაბამება დამხმარის ცნების საკანონმდებლო ფორმულას — „დანაშაულის ჩადენის დაბრკოლების მოსპობა“.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, იმისდამოკიდებულად, წინასწარ ვინ პირდება და-

მნაშავეს განუტყულებლობას, თუ მიმნებლობას, ერთგვაროვნად უნდა გადაწყდეს. თანამონაწილეობის საკითხის ერთგვაროვანი გადაწყვეტა სრულიად არ ნიშნავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთგვაროვან გადაწყვეტას, რადგან პირი, რომელსაც სპეციალური ვალდებულება ჰქონდა ხელი შეეშალა დანაშაულისათვის და ეს არ გააკეთა, შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მიეცემოდ არა მხოლოდ დახმარებისათვის, არამედ აგრეთვე თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისათვისაც.

მონაგრაფიის მე-3 თავი ეხება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის პრობლემას. ავტორი ამ თეორიულად და პრაქტიკულად მეტად საინტერესო საკითხს ამომწურავად და მკაფიოდ გადმოსცემს. იხილავს ამსრულებლის ექსცესს საკითხს და რაოდენობრივი ექსცესის თვისობრივ ექსცესად გადაზრდას, საფუძვლიანად აკრიტიკებს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, რომლის მიხედვით უშედეგო წაქეზების დროს საქმე გვაქვს დანაშაულის წაქეზების მცდელობასთან. პროფ. თ. წერეთელი საცხებით სწორად მიუთითებს, რომ „ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ დანაშაულის მცდელობას და არა წაქეზების ან დახმარების მცდელობას და რომ საბჭოთა სისხლის სამართლის თანახმად ასეთი შემთხვევები, ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო, განხილულ უნდა იქნან არა თანამონაწილეობის შესახებ არსებული ნორმების საფუძველზე, არამედ როგორც დანაშაულის მოზადება“ (გვ. 209).

სარეგნზიო შრომის მე-3 თავში განხილული აგრეთვე თანამონაწილეთა დასჯადობაზე პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხველი გარემოებების ზეგავლენის საკითხი.

ავტორის აზრით „იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედობას ახასიათებს დამამძიმებელი გარემოებანი, რომლებიც გაძლიერებულ პასუხისმგებლობას იწვევენ, ეს გარემოებანი უნდა შეერაცხოს ყველა თანამონაწილეს, თუ ისინი მოცული იყვნენ თანამონაწილის ბრალით“ (გვ. 213).

ობიექტური გარემოებებისაგან ავტორი ანხვავებს გარემოებას, რომლებიც ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილის პიროვნებას ან დანაშაულის ჩადენის სუბიექტურ მხარეს, ან დანაშაულის სუბიექტისა და ხელყოფის ობიექტის ურთიერთობას შეეხება. სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე ამ გარემოებათა ზეგავლენის სწორად შეფასება დიდ სირთულეს წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ



შეხედულებათა კრიტიკისა და საკითხის ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე ავტორი მიღის შემდეგ საინტერესო დასკვნებამდე:

- ა) „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმანთავისუფლებელი გარემოებანი, რომლებიც პიროვნებასთან არიან დაკავშირებულნი, არავითარ ზეგავლენას არ ახდენენ დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე“ (გვ. 213);
- ბ) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც ერთ-ერთ თანამონაწილეს ახასიათებს აგრეთვე არ ახდენს ზეგავლენას დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე (გვ. 214);
- გ) „თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წმინდა პირადი ხასიათი აქვს, ე. ი. დაკავშირებულია ამსრულებლის პიროვნებასთან, ამ გარემოებამ არ უნდა დაამძიმოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა, თუნდაც იგი შეტანილი იყოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში“ (გვ. 218);
- დ) ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია არა უშუალოდ ამსრულებლის პიროვნებასთან, არამედ ქმედობასთან, შეიძლება თანამონაწილესაც შეერაცხოს (გვ. 219).

აქვე ავტორი იხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადება თანამონაწილეთა მიერ; სასჯელის ინდივიდუალიზაცია თანამონაწილეობის დროს და სხვ. ამ საკითხების განხილვისას პროფ. თ. წერეთელი მიღის მთელ რიგ საინტერესო დასკვნებამდე, რომლებსაც უთუოდ მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვთ.

მონოგრაფია დაწერილია საბჭოთა იურიდიული ლიტერატურის ამომწურავი და ბურჟუაზიული იურიდიული ლიტერატურის ფართო გამოყენებით. შრომაში მოცემულია თანამონაწილეობის შესახებ ბურჟუაზიული თეორიების საფუძვლიანი კრიტიკა, გაანალიზებულია უახლესი ფინალური თეორიები და ნაჩვენებია მათი მანკიერება. ამომწურავად არის გამოყენებული საბჭოთა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის

კანონმდებლობა, გამოყენებულია ავტორის მიერ რუსული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

შრომაში თითქმის ყველა თეორიული საკითხი გაშუქებულია საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ არ არის გამოყენებული საქართველოს სსრ გამოუქვეყნებელი სასამართლო პრაქტიკა, რაც, ჩვენი აზრით, შრომის ხარვეზს წარმოადგენს.

მონოგრაფია კარგი სისტემით არის აგებული. ყველა თავი, თუ პარაგრაფი იძლევა გასაღებს შემდეგი თავისა თუ პარაგრაფის გასახსენლად. ეს შრომას ხდის მონოლითურს, თანამიმდევრულს და კარგად ასათვისებელს.

შრომა დაწერილია კარგი ქართული ენით, თუმცა იგი არ არის დაზღვეული ზოგიერთი ტერმინოლოგიური ხასიათის უზუსტობისგან.

ასე მაგალითად, შრომის 128-ე გვ. წერია: „სამხედრო ძალების სადისციპლინო წესდება“ — უნდა იყოს „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება“, 129-ე გვ. წერია — „თანამდებობის დანაშაული“, უნდა იყოს „თანამდებობითი“, ან „თანამდებობრივი დანაშაული“, 181 გვ. წერია „მილიციონერი“, უნდა იყოს „მილიციელი“ და სხვ.

დასკვნა: პროფ. თ. წერეთლის მონოგრაფია „თანამონაწილეობა დანაშაულში“ — წარმოადგენს ღრმა მეცნიერულ გამოკვლევას, დაწერილს მაღალ მეცნიერულ დონეზე, ნაშრომს, რომელიც უდავოდ გაამდიდრებს არა მხოლოდ ქართულ, არამედ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურასაც. სარეცენზიო მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც მეცნიერ იურისტებსა და სტუდენტებს, ასევე პრაქტიკოს იურისტებს სისხლის სამართლის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის დაძლევისა და მის პრაქტიკაში გამოყენების საქმეში.

**თ. შავჭულიძე,**  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

## საქართველოს ალკ ლავოდების რაიკომის კლენები

საქართველოს კ ლავოდების რაიკომის სხდო-  
მათა დარბაზში გაიმართა კომკავშირის ლავო-  
დების რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც  
მოისმინა და განიხილა რაიონის პროკურორის  
**ა. ვაიტაძის** მოხსენება „საზოგადოებრივი წეს-  
რიგის განმტკიცებისათვის ახალგაზრდობაში  
მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესა-  
ხებ“.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელ-  
შიც მონაწილეობდნენ კომკავშირის ლავოდე-  
ბის რაიკომის პირველი მდივანი **ჯ. ხაჩიძე**, რაი-  
მილიციის უფროსი **მ. ლუფავა**, რაიონის სახალ-  
ხო განათლების განყოფილების გამგე **ა. ბეგია-**

**ვილი**, რაიკომკავშირის ალკ ორგანიზაციის  
მდივანი **ლ. გურაშვილი**, ლავოდების ტურბაზის  
დირექტორი **ი. ტიფიშვილი**, სვობოდნოს რე-  
წლიანი სკოლის დირექტორი **პ. ლაპიჩი**, ცოდ-  
ნისკარის ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეო-  
ბის ალკ კომიტეტის მდივანი **ა. ტაბატაძე**.  
მშრომელთა დეპუტატების ვარდისუბნის სა-  
სოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე  
**ი. ლაცაბიძე**, ლავოდების რუსული საშუალო  
სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი **ა. მე-  
ლიქიძე**, ლავოდების რაიონის ტურისტული  
კლუბის თავმჯდომარე **ს. ბერიშვილი**.

**ლ. ისაბაძე**

## კითხვა-პასუხის სეკცი

საჩხერის სარაიონო კულტურის სახლმა მიმ-  
დინარე წლის 17 აპრილს ჩაატარა კითხვა-პა-  
სუხის საღამო იურიდიულ საკითხებზე.

საღამო გახსნა კულტურის სახლის დირექ-  
ტორმა **დ. შეყრილაძემ**. დამსწრეთა კითხვებზე

პასუხები გასცეს საჩხერის რაიონის პროკუ-  
რორმა **გ. გაფრინდაშვილმა**, რაიონის სახალხო  
მოსამართლემ **ა. კაპანაძემ** და რაიმილიის გან-  
ყოფილების უფროსმა **ს. შუბითიძემ**.

## საჩხერის რაისაბჭოს სესიუზი

მიმდინარე წლის 16 აპრილს ჩატარდა საჩხე-  
რის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბ-  
ჭოს მეტერთმეტე მოწვევის მერვე სესია.

სესია გახსნა მშრომელთა დეპუტატების რაი-  
საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. იაკობიძემ**.

სესიამ განიხილა საკითხი — საჩხერის რაი-  
ონში სოციალისტური კანონიერების დაცვის,  
მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების  
განხილვის მდგომარეობისა და გაუმჯობესების  
ღონისძიებათა შესახებ. მოხსენებით გამოვიდა  
რაიონის პროკურორი **გ. გაფრინდაშვილი**.

სესიამ მოისმინა აგრეთვე რაიონული საბ-

ჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის  
თავმჯდომარის **ზ. ივანიშვილის** მოხსენება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საჩხერის რაი-  
ონის სახალხო სსსამართლოს თავმჯდომარემ  
**ა. კაპანაძემ**, საჩხერის რაიმილიციის განყოფი-  
ლების უფროსმა **ს. შუბითიძემ**, საქალაქო საბ-  
ჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ტ. აბრამიშ-  
ვილმა**.

განხილულ საკითხებზე სესიამ მიიღო შესა-  
ბამისი გადაწყვეტილებები.

**ა. ანასაშვილი.**

# სასამართლო პრაქტიკა

## სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. ადმინისტრაციის მიერ ბრძანების არასათანადოდ გაფორმება პირის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მუშაკის სსზიანოდ

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1966 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ს. ჭაჭუა აღდგენილ იქნა „საქონსერტრესტის“ უფროს რევიზორ-ბუღალტრის თანამდებობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1966 წლის 15 მარტის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

რესპუბლიკის პროკურორმა პროტესტი შეიტანა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ცვლილების შეტანის მიზნით. პროტესტი მოითხოვდა, რომ გ. ჭაჭუა აღდგენილ იქნას არა უფროს რევიზორ-ბუღალტრის, არამედ ბუხალტერ-რევიზორის თანამდებობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი არ დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

დადგენილია, რომ გ. ს. ჭაჭუა 1964 წლის 25 ივნისს დაინიშნა „საქონსერტრესტის“ ბუღალტერ-რევიზორად, ხოლო 1965 წლის 17 აბ-

რილიდან გადაყვანილ იქნა უფროს რევიზორ-ბუღალტრად.

ადმინისტრაციის დაუდევრობის გამო გ. ს. ჭაჭუას უფროს რევიზორ-ბუღალტრის თანამდებობაზე გადაყვანა ბრძანებით არ გაფორმდა. დადგენილია, რომ უფროს რევიზორ-ბუღალტრის თანამდებობაზე გადაყვანის დღიდან გ. ჭაჭუა ფაქტიურად ასრულებდა ამ თანამდებობას, იღებდა უფროსი რევიზორ-ბუღალტრის ხელფასს და სამსახურებრივ დოკუმენტებში მოიხსენიებოდა როგორც უფროსი რევიზორ-ბუღალტერი.

ის გარემოება, რომ ადმინისტრაციამ გ. ჭაჭუას გადაყვანა თავის დროზე სათანადოდ არ გააფორმა, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გ. ჭაჭუას ბუღალტერ-რევიზორად და არა უფროს რევიზორ-ბუღალტრად აღდგენას.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1966 წლის 11 ივლისის დადგენილებით უცვლელად იქნა დატოვებული ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება გ. ჭაჭუას უფროს რევიზორ-ბუღალტრად აღდგენის შესახებ.

2. თვით მოანდერძის მიერ ანდერძის ტექსტში შესწორებების შეტანა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ანდერძის ბათილად ცნობას

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1966 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ნ. ბაინდუროვას სარჩელი და გაუქმებულ იქნა აწ გარდაცვლილ ტ. ა. ბაინდუროვას ანდერძი, რომლითაც მან 9 ძმის ქუჩის მეორე შესახვევის № 8-ში მდებარე პირადი საკუთრების სახლი უანდერძა გიორგი სტეფანეს ძე და ვალენტინა სტეფანეს ასულ ბაინდუროვებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის სასამართლო კოლეგიის 1966 წლის 19 მარტის განჩინებით სახალ-

ხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ შეიტანა პროტესტი უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს

პრეზიდენტმა დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძვლების გამო:

სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ანდერძის ტექსტში არის გადასწორებები და ჩამატებები, რაც ჩათვალა ანდერძის გაყალბებად.

სასამართლო ორგანოების მოსაზრება, რომ ანდერძის ტექსტში გადასწორებები და ჩამატებები თავისთავად ყველა შემთხვევაში იწვევს ანდერძის ბათილობას გაყალბების მოტივით, სწორი არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ ანდერძის ტექსტში შესწორებები შეტანილია თვით მოანდერძის მიერ, ანდერძი არ შეიძლება ცნობილ იქნას ბათილად.

### 3. ერთ ბინაში მცხოვრებ პირებს თანაბარი უფლებები აქვთ ყველა სახის დამხმარე სათავსოებზე

ვ. დ. კოჭლამაზაშვილმა აღძრა სარჩელი ა. თ. გოგშელიძესთან და ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოსთან საერთო სარგებლობის შემინული აივანიდან ზედმეტი ნივთების აღების შესახებ.

თავის მხრივ, ა. თ. გოგშელიძემ შემხვედრი სარჩელით მოითხოვა ვ. დ. კოჭლამაზაშვილის მიერ თვითნებურად აგებული ტიხარის აღება.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1965 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა როგორც მოსარჩელის ისე მოპასუხის მოთხოვნა: ა. გოგშელიძეს დაევალა აივანზე დაწყობილი ნივთების აღება, ხოლო ვ. კოჭლამაზაშვილს ტიხარის აღება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1965 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით შესწორდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მხრივ, რომ ა. გოგშელიძეს უარი ეთქვა შემხვედრ სარჩელზე ტიხარის აღების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტში სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საქართველოს სსრ უმაღლესი

სასამართლო ვალდებული იყო დაედგინა სადავო ანდერძის ტექსტში შესწორებები თვით მოანდერძის მიერ იყო შეტანილი თუ სხვა პირის მიერ და ამის შესაბამისად გადაწყვიტა საკითხი მისი ბათილად ცნობის შესახებ.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტმა 1966 წლის 11 ივლისის დადგენილებით გააუქმა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1966 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1966 წლის 19 მარტის განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძვლების გამო:

თანხმად საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს წესების — „საცხოვრებელი ბინებით სარგებლობისა და მოვლაპატრონობის შესახებ“ მეორე მუხლისა ბინის ყველა მცხოვრებს თანაბარი უფლება აქვს ისარგებლოს ბინის საერთო სარგებლობის ადგილებით.

ამავე „წესების“ მე-4 მუხლის თანახმად დამქირავებლებს ეკრძალებათ ჩატარონ ბინაში რაიმე სახის გადაკეთებანი, კერძოდ ეკრძალებათ ტიხარის დაყენებაც.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტმა 1966 წლის 4 ივლისის დადგენილებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1965 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და ძალაში დატოვა ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1965 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

### 4. ბინების გაცვლის მხოლოდ საეჭვოდ მიჩნევა არ შეიძლება დაედოს საფუძვლად გაცვლის ორდერების გაუქმებას

ქ. თბილისის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომის ბინების გაცვლის ბიურომ აღძრა სარჩელი რ. ა. ვარნაზოვასთან, შ. ი. ლიტენოვასთან, ბ. ი. საბოლთან და ე. ი. საბოლთან

ბინების გაცვლის ორდერის გაუქმების და მოპასუხეთა პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სა-



ხალხო სასამართლომ 1966 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1966 წლის 18 მარტის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძვლების გამო:

ბინების გაცვლამდე ვარნაზოვების ოჯახს, რომელიც ხუთი სულისაგან შედგება, ეკავა 15 კვ.მ. ფართის 1 ოთახი. დაჰმა საბოლეს ოჯახებით ეკავათ ორი ოთახი 42 კვმ. საერთო ფართით, ხოლო ლიტვინოვას, ერთ სულს, ეკავა ორი ოთახი 35 კვ.მ. საერთო ფართით.

თბილისის მშრომელთა დემუტატების საბჭოს აღმასკომის ბინების გაცვლის კომისიის ნებარ-

თვით მოპასუხეებმა ურთიერთშორის გაცვლეს ბინები, რის შედეგად ბორის სობოლმა ოჯახით დაიკავა ლიტვინოვის ბინა, ესფირა სობოლმა ვარნაზოვების ბინა, ხოლო ვარნაზოვებმა და ლიტვინოვამ დაიკავეს საბოლესის ორ ოთახიანი ბინა.

სახალხო სასამართლომ და სკავსაციო კოლეგიამ დაადგინეს ბინის გაცვლის ორდერების გაუქმება იმ მოტივით, რომ გაცვლა „საეჭვო ხასიათს ატარებს“.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 320 მუხლის თანახმად ბინების გაცვლა არ შეიძლება, თუ ის სპეკულაციური ან ფიქტიური ხასიათისაა.

ბინების გაცვლის მხოლოდ საეჭვოდ მიჩნევა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გაცვლის ორდერების გაუქმებას.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით გააუქმა ქ. თბილისის პირველი მისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1966 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1966 წლის 18 მარტის განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

## სისხლის სამართლის საქმეებზე

### 1. მკვლელობისათვის მსჯავრის დადებისათვის აუცილებელია დაზარალებულის სიკვდილი ბრალეულ და მიზეზობრივ კავშირში იყოს სამართალში მიცემულის ქმედობასთან.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 29 მაისის განჩინებით ჯ. ი. თორღია მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 105-ე მუხლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1964 წლის 27 ივნისის განჩინებით სახალხო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა ჯ. თორღიას ქმედობის გადაკვალიფიცირება საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის II ნაწილზე.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

ჯ. თორღიას მსჯავრი დაედო მასში, რომ 1964 წლის 8 იანვარს შეხვდა გ. კვიციანიას, რომლის ცოლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტი-

ლი. გ. კვიციანიამ უარი განუცხადა ჯ. თორღიას შემდგომ შეხვედრებზე. ამით განწყენებულმა ჯ. თორღიამ ვიზის საკეცი დახა ჩაარტყა გ. კვიციანიას მარცხენა ფერდის არეში, რის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. გ. კვიციანია მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაზარალებულს საავადმყოფოში დროულად არ გაეწია სათანადო დახმარება. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის აქტის თანახმად „დაზიანებები, რომლებიც გ. კვიციანიას ჰქონდა მიყენებული სისიკვდილო არ იყო, მათ სიკვდილი არ უნდა მოჰყოლოდა. სიკვდილი გამოიწვია იმან, რომ დროულად არ იქნა მიღებული საქმიო ღონისძიებები, კერძოდ, ავადმყოფს არ გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია“.

დადგენილია, აფრთველ, რომ ჯ. თორღიას არ ჰქონდა გ. კვიციანიას მოკვლის განზრახვა. ამრიგად, დაზარალებულის სიკვდილი არ



არის ბრალეულ და მიზეზობრივ კავშირში მსჯავრდებულის ქმედობასთან.

აღნიშნულის გამო უმადლესი სასამართლოს

პრეზიდიუმმა ჯ. თორდის ქმედობა საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ 110 მუხლის II ნაწილზე.

**2. ავტომანქანის გატაცება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 243 მუხლით იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს მიზნად ჰქონდა ავტომანქანის დროებით გამოყენება და არა მისაკუთრება.**

ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოს 1967 წ. 12 ივლისის განაჩენით გ. თ. სამხარაძეს და ს. კ. გოცაძეს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის II ნაწილით, ავტომანქანის ქურდობისათვის.

განაჩენი უცვლელად დატოვა საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა მსჯავრდებულთა ქმედობის გადაკვალიფიცირება საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის II ნაწილიდან 243 მუხლზე (ავტომანქანის გატაცება დროებით გამოყენების მიზნით) და სასჯელის შემსუბუქება.

საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს

პრეზიდიუმის 1967 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით პროტესტი დანაშაულის გადაკვალიფიცირების ნაწილში არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძვლების გამო:

დადგენილია, რომ მსჯავრდებულებმა მანქანა ვაიტაცეს, ამოიღეს მანქანიდან რადიომიმღები, სათადარიგო საბურავი და დაკავებულ იქნენ იმის გამო, რომ მანქანა თბილისში ჩაუფარდათ.

ეს გარემოებანი მიუთითებენ იმაზე, რომ მსჯავრდებულებს განზრახული ჰქონდათ ავტომანქანის გატაცება მისი მითვისების მიზნით და არა დროებით სარგებლობისათვის.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მსჯავრდებულთა ქმედობის კვალიფიკაცია უცვლელად დატოვა.

**3. გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდა იმის გამო, რომ სამართალში მიცემულს საბრალდებო დასკვნა ჩაბარდა მისთვის უცნობ ენაზე და სამსჯავრო სხდომის მასალები არ ეთარგმნა.**

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოს 1966 წლის 17 დეკემბრის განაჩენით ს. ა. ატალაევს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 17—105 მუხლებით.

საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1967 წლის 31 იანვრის განჩინებით სახალხო სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს განაჩენის და უმადლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

უმადლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

მსჯავრდებული ს. ატალაევი ლეკია. მან ქართული ენა არ იცის. საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ მსჯავრდებულს საბრალდებო დასკვნა ჩაბარდა მისთვის გასაგებ ენაზე.

სახალხო სასამართლოს მიერ სამსჯავრო სხდომაზე დანიშნულია თარჯიმანი, მაგრამ სამსჯავრო სხდომის ოქმიდან არ ჩანს, რომ მსჯავრდებულს ფაქტიურად ეთარგმნებოდა პროცესის მსვლელობა.

სამართალში მიცემულის პროცესუალური უფლებების ამ უხეში დარღვევების გამო საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და უმადლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ს. ატალაევის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სახალხო სასამართლოში.



**4. განაჩენი გაუქმდა იმის გამო, რომ წინასწარი გამოძიების დროს მსჯავრდებულის ამოცნობა ჩატარებულია საპროცესო ნორმების დარღვევით და არ მოხდა მისი დაზარალებულებთან დაპირისპირება.**

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1966 წლის 9 დეკემბრის განაჩენით ჯ. ნინუას მსჯავრი დაედო საქართველოს ასსრ სსკ 96 მუხლის II ნაწილის I პუნქტით, 152 მუხლის II ნაწილის I, II და IV პუნქტებით, 17—104 მუხლის I პუნქტით, 238 მუხლის I ნაწილით და 213 მუხლის II ნაწილით.

ჯ. ნინუას მსჯავრი დაედო მასში, რომ მან სხვა მსჯავრდებულებთან ერთად მოახდინა ყაჩაღური თავდასხმები.

საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1967 წლის 25 იანვრის განჩინებით აღნიშნული განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხო-

ვა განაჩენის და განჩინების გაუქმება და საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება.

საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1967 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით პროტესტი დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძვლების გამო:

სამსჯავრო სხდომაზე დაზარალებულმა და მოწმეებმა არ დაადასტურეს წინასწარი გამოძიების პროცესში მათ მიერ ჯ. ნინუას ამოცნობა. ამოცნობები ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევით.

აღნიშნულის გამო საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენი და საქმის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ჯ. ნინუას მიმართ და საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩატარებულად.

**5. განაჩენი არ შეიძლება გამოტანილი იქნას ისეთი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომელიც საქმის არსებით მასალებს ეწინააღმდეგება.**

ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1967 წლის 10 აგვისტოს განჩინებით დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნებულ იქნა ჯ. ს. წიკლაურის საქმე. ჯ. წიკლაურს ბრალი ედებოდა ქმედობაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ასსრ სსკ 17—105 მუხლებით.

საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1967 წლის 1 სექტემბრის განჩინებით სახალხო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა განჩინების გაუქმება და საქმის გადაგზავნა სახალხო სასამართლოში არსებითად განსახილველად.

საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით უარყო პროტესტი შემდეგი საფუძვლების გამო:

ჯ. წიკლაურს ბრალი ედებოდა მასში, რომ სახლიდან სპეციალურად მკვლელობის მიზნით გამოიტანა ნაჯახი და 5-ჯერ დაარტყა ვ. ვართანანს, რითაც მას მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანება.

საქმეზე ნივთმტკიცებად დართულია ნაჯახი საქმეზე ჩატარებულმა ექსპერტიზამ ნაჯახზე სისხლის კვალი ვერ აღმოაჩინა. სახალხო სასამართლომ დამაჯერებლად არ მიიჩნია ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, რომ 5 მძიმე ჭრილობის მიყენების შემდეგ შესაძლებელია ნაჯახზე სისხლის კვალი არ დარჩეს. ეს დასკვნა ეწინააღმდეგება საქმის სხვა მასალებსაც, კერძოდ — მოწმეთა ჩვენებებს იმის შესახებ, რომ მათ ნაჯახზე შეამჩნიეს სისხლი.

აღნიშნულსა და აგრეთვე წინასწარი გამოძიების სხვა ხარვეზების გამო საქართველოს ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა უცვლელად დატოვა განჩინება საქმის დამატებით წინასწარ გამოძიებაზე დაბრუნების შესახებ.

0 101  
04106730  
008-7010103  
ИНДЕК 185  
ფასი 50 ჰაპ.

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической Комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР